

ტერორისტული აქტების სერია გრძელდება
A2



თბილისის ქუჩების ჯაზი
A6



პრესომბუდსმენი
A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 8 მაისი, 2006 წელი. №99 (1251)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### გაიარეთ რეგისტრაცია!

90-იანი წლების დასაწყისში, კერძო პირის მიერ გახსნილ დასაქმების ცენტრში რეგისტრაციის გავლა ერთი მანეთი ღირდა. ცენტრის მეპატრონეს, მართალია, არავინ დაუსაქმებია, თუმცა სამსახურის მაძიებლების მიერ გადახდილი სიმბოლური თანხით ჩანაფიქრის განხორციელება - ვალების გასტუმრება შეძლო. როგორც ჩანს, სწორედ იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი იმ უნდობლობას დასაქმების სამსახურების მიმართ, რასაც საქართველოს მოსახლეობა დღესაც იჩენს.

A2

## სამართალი

### მკვლელობა შილდაში

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში შემზარავი მკვლელობა მოხდა.
27 წლის თემურ ხატიაშვილმა მამის მოკვლა გადაწყვიტა. მამისთვის მოქნეული დანის მსხვერპლი მისი ძმა, 21 წლის მიხეილ ხატიაშვილი გახდა.

A4

## რევიუ

### მუსიკა ჩუმი ფრანგულით

სანამ კონცერტს გამართავდა, მას უჩვეულო პრესკონფერენცია მოუწყვეს. რიშერ გალიანო ქართული ხალხური ცეკვა-სიმღერით ისე მოიხიბლა, კონცერტის მერე გვითხრა, ტირილი მინდოდაო. 4 მაისს პრესკონფერენცია არ იყო ყველაზე საინტერესო. დაუვიწყარი რამ მისი თბილისელი თაყვანისმცემლისთვის საღამოს მოხდა, როცა კვარტეტი „ტანგარია" პასტელურ ფერებში განათებულ ცარიელ სცენაზე დადგა.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 8/05 | 9/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 27 |
| ტყიბული | 24 | 23 |
| სოხუმი | 20 | 17 |
| დმანისი | 22 | 21 |
| გორი | 23 | 22 |
| ონი | 21 | 18 |
| ზუგდიდი | 25 | 23 |
| ახმეტა | 27 | 26 |
| გაგრა | 18 | 18 |
| სამტრედია | 26 | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8152 |
| ევრო | 2.3033 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3579 |
| რუბლი | 0.0669 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
რეკლამა A 5
რევიუ A 6
ტენდერი A 7
სხვადასხვა A 8

# „ცივილიზებული გაყრა" დაიწყო

დიმიტრი ავალიანი

*საქართველოსა და უკრაინის დსთ-დან გამოსვლის შესაძლებლობა, როგორც ჩანს, უკვე რუსეთმაც დაიჯერა. მოსკოვში ამ ქვეყნების თანამეგობრობიდან გასვლის შემთხვევაში, მათთვის პრეფერენციების გაუქმებაზე ალაპარაკდნენ. კრემლში თბილისისა და კიევის ქმედებებზე ადეკვატური პასუხის მომზადებაზე ფიქრობენ.*

თბილისმა და კიევმა დსთ-ში საქართველოსა და უკრაინის ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხზე კონსულტაციები ერთობლივად დაიწყეს.

**„დავიწყეთ კონსულტაციები დსთ-ში უკრაინისა და საქართველოს ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხზე ექსპერტთა ჯგუფების დონეზე. საქართველოში ჩამოვიდა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფი. დავიწყეთ შეფასებები იმ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე, რომელიც ორივე ქვეყნის დსთ-ში ყოფნა-არყოფნის საკითხებს უკავშირდება,"** - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი.

**„პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაავალა მთავრობას, შეისწავლოს ეს საკითხი, და საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინელ კოლეგებთან ერთად უკვე დაიწყო მისი სერიოზული განხილვა და შესწავლა,"** - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

რუსული სააგენტოები კი მთავრობის ანონიმ მოხელეზე დაყრდნობით ავრცელებენ ცნობას იმის შესახებ, რომ **„საქართველოსა და უკრაინის განცხადებებთან დაკავშირებით მათი დსთ-დან გამოსვლის შესაძლებლობის შესახებ, რუსეთის მთავრობა მუშაობს იმ პრეფერენციების ლიკვიდაციის საკითხზე, რომლებითაც ეს სახელმწიფოები დსთ-ს ფარგლებში სარგებლობენ". „უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში რუსეთმა უნდა გადახედოს მრავალ შეთანხმებას, რაც დსთ-ს ფარგლებში იქნა მიღწეული, მათ შორის სოციალურ სფეროში,"** - აცხადებს რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რეალური შანსი და უსაგნო ქიდილი

### სალომე ზურაბიშვილი: დემოკრატია ოპოზიციისა და დიალოგის გარეშე არ არსებობს

სოფო ბუკია

*საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი „24 საათს" საქართველო- რუსეთის გართულებულ ურთიერთობებზე, საქართველოს ხელისუფლებაში არსებულ „ფსევდორუსიზმზე" და შიდაპოლიტიკურ პრობლემებზე ესაუბრა. რუსეთის თემით სპეკულირება, დემოკრატიული კურსიდან გადახვევა, ჯანსაღი ოპოზიციის არარსებობა, ბურჯანაძის გუნდის გაძლიერება და სააკაშვილის გუნდის დასუსტება, - მოძრაობა „საქართველოს გზის" ლიდერის აზრით, ქვეყანას დღეს ამ საფრთხეების უნდა ეშინოდეს. სალომე ზურაბიშვილი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს და საკუთარი ამომრჩევლის წინაშე პირველ წინასაარჩევნო პირობას დებს; „იქ, სადაც პარტიული თამაშებია, არასდროს ვიქნები," - აცხადებს იგი.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# სიახლე უძრავი ქონების ბაზარზე "ჯიარდისი" მუდმივ ძიებაში

B

მაია ტაკაშვილი

*"საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია" ("ჯიარდისი") კარგად კაპიტალიზირებულ კომპანიას წარმოადგენს, რომელმაც საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ფუნქციონირება 2004 წლიდან დაიყო და ნოვატორის სახელიც დაიმკვიდრა. კომპანიის პოტენციალი ყველა რესურსის გამოყენების საშუალებას იძლევა, რათა მოხდეს მიმზიდველი ქონების შეძენა და ინვესტიციების მოზიდვა იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან და ფონდებისგან, რომლებთანაც ჯგუფს დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს. კომპანიას ასევე პროფესიული და პარტნიორული ურთიერთობები აქვს გამოცდილ არქიტექტორებთან და სამშენებლო ფირმებთან, რათა მისი მიერ განხორციელებული პროექტების ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს.*



# მსგავსი ქვეყნების ერთნაირი ამბიციები

### ხორვატიის პრეზიდენტი საქართველოში

*ხორვატიას და საქართველოს შორის ძალიან დიდი მსგავსებაა - თითქმის თანაბარი ფართობისა და მოსახლეობის ქვეყნების მსგავს კომუნისტურ მემკვიდრეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მათი უახლოესი წარსულიც ერთგვაროვნად მიმდინარეობდა. განმათავისუფლებელი მოძრაობა, სამოქალაქო და ეთნიკურ ნიადაგზე მიმდინარე ომი, ეკონომიკური სიდუხჭირე და შემდგომ სწრაფვა ევროინტეგრაციისკენ - ისევე როგორც საქართველოს, ხორვატიის უკანასკნელი 15 წლის ისტორიის კუთვნილებაა.*
*თუმცა, პარალელები არა მხოლოდ წარსულში, არამედ აწმყოშიც მრავლადაა - მაგალითად, ორი ქვეყნის პრეზიდენტები ერთდღიანი ინტერვალით ერთი და იმავე პოლიტიკოსისგან მსგავს სიტყვებს ისმენდნენ. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ ჩეინიმ ვიულნიუსიდან სწორედ ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკისკენ აიღო გეზი და ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მესიჩსაც იგივე მხარდაჭერა აღუთქვა, რაც მანამდე მიხეილ სააკაშვილს....*

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სტიპე მესიჩი, რომლის დახვედრის ოფიციალური ცერემონია პარლამენტში გაიმართა. გუშინ სტიპე მესიჩი პირისპირ შეხვდა თავის ქართველ კოლეგას მიხეილ სააკაშვილს, შემდეგ კი გაიმართა ორი ქვეყნის დელეგაციების მოლაპარაკება გაფართოებული შემადგენლობით.

„საქართველო ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობას გააღრმავებს და მოსკოვის მხრიდან ზეწოლის პირობებში, რუსეთთან მარტო არ დარჩება", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოსა და ხორვატიას შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამოუცნობი გადადგომა

### პორტერ გოსმა თანამდებობა დატოვა

ორი წლის წინ რეფორმატორის იმიჯით დანიშნულმა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსმა პორტერ გოსმა თანამდებობა პარასკევს დატოვა, თუმცა მისი გადადგომის მიზეზები ჯერჯერობით უცნობი რჩება.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეფორმირების საკითხი დღის წესრიგში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დადგა. თანამდებობიდან გოსის გათავისუფლების მიზეზი არც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს აუხსნია. მიზეზების კომენტირებისაგან თავი თვით გოსმაც შეიკავა შაბათს ამ საკითხზე „სი-ენ-ენ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მეტიც მისი თქმით, ეს გადადგომა „ყოველთვის დარჩება აუხსნელი". ჟურნალისტთა მცდელობას შედეგი არც თეთრი სახლის წარმომადგენლებთან გასაუბრებას მოუტანია. ბუშის ადმინისტრაციის თქმით, პირველი „აგენტის" გათავისუფლება არანაირად არ უკავშირდება მისდამი ქვეყნის პირველი პირის ნდობის დაკარგვას. ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლის დანა პარინოს განცხადებით, ეს მოსაზრება „რეალობაში კატეგორიულად არ არსებობს".

„ბუშისა და გოსის თანამშრომლობაში ყოველთვის არსებობდა ურთიერთგაგება, მაგრამ უკვე დადგა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის შეცვლის დრო, რომელიც აგენტურულ ქსელს კიდევ უფრო განავითარებს", - აღნიშნა პარინომ.

ოფიციალურ პირთა კატეგორიული უარყოფის მიუხედავად ნდობის ფაქტორის დაკარგვის შესახებ, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გოსის გადადგომა აშშ-ს ეროვნული (შიდა) უსაფრთხოების სამსახურის დირექტორად ჯონ ნეგროპონტეს დანიშვნას უკავშირდება. ნეგროპონტეს კანდიდატურა, რომელიც ბუშის ახალი ფავორიტია, გოსისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ჯონ ნეგროპონტე ამერიკის შეერთებული შტატების 15 სადაზვერვო სამსახურს 2 კვირის წინ ჩაუდგა სათავეში. სადაზვერვო სამსახურების გაერთიანების იდეა და მისი ერთი პირისთვის ჩაბარება აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც სპეციალურმა კომისიამ აშს-ს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურების მუშაობა მკვეთრად უარყოფითად შეაფასა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გამამართლებელი ვერდიქტი ხლებნიკოვის მკვლელობაში ბრალდებულებს

*მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ჟურნალისტ პოლ ხლებნიკოვის მკვლელობაში ბრალდებულებს განაჩენი გამოუტანა. „უდანაშაულონი არიან", - ნაფიც მსაჯულთა ჟიურის გამამართლებელი ვერდიქტის შემდეგ, მოსამართლემ განსასჯელები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.*

მოსკოვის საქალაქო სასამართლოში ხლებნიკოვის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვის ბოლო პროცედურა 4 მაისს დასრულდა. მოსამართლე ვლადიმერ უსოვმა ნაფიც მსაჯულებს საქმის მასალები გააცნო - ბრალდების არსი, მტკიცებულებები და მხარეთა პოზიციები. სათათბირო ოთახში გასვლამდე მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს განუმარტა მათი უფლებები და ის ვალდებულებები, რომელიც ვერდიქტის გამოტანისას უნდა გაეთვალისწინებინათ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა დიმიტრი შოხინმა ნაფიც მსაჯულებს მოუწოდა, ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი პროკურატურის ბრალდებებისთვის.

რაც შეეხებათ განსასჯელებსა და მათ ადვოკატს, ნაფიც მსაჯულებს მათ გამართლება მოსთხოვეს. რადგან, მათი განცხადებით, პროკურატურამ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა.

პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა. ასეთი მოთხოვნა პროკურატურამ წამოაყენა და მიუხედავად განსასჯელთა ადვოკატების წინააღმდეგობისა, პროცესი დაიხურა, რადგანაც, როგორც პროკურორი აცხადებდა, საქმეში არსებობდა უამრავი მასალა, რომელსაც გრიფი „საიდუმლო" ედო.

განსასჯელის სკამზე ისხდნენ პოლ ხლებნიკოვისა და სხვა მკვლელობებში, ასევე, არა ერთ მძიმე დანაშაულში ბრალდებულები - ჩეჩენი მუსა ვახაევი, კაზბეკ დუკუზოვი და მოსკოველი ნოტარიუსი ფაილ სადრედტინოვი. იძებნება დუკუზოვის ძმა, მუჰამედ დუკუზოვი.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ახალგაზრდა „რესპუბლიკელების" ახალი ხელმძღვანელი

„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკო თევდორაშვილი გახდა.

ასეთი გადაწყვეტილებით დასრულდა „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის პირველი გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელზეც ეროვნული კომიტეტის არჩევა და ახალი წესდების დამტკიცება განხორციელდა. ნიკო თევდორაშვილი დღემდე, „რესპუბლიკური პარტიის" ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ითვლებოდა, რადგან ერთი წლის წინ ჩატარებულ ყრილობაზე გადაწყდა, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციის მმართველი ბირთვის და თავმჯდომარის არჩევნებამდე, გარკვეულ პერიოდში ახლად შექმნილ ახალგაზრდულ ორგანიზაციას საკუთარი არსებობის აუცილებლობა უნდა დაემტკიცებინა.

გენერალური ასამბლეის სხდომას პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა მიმართეს.

როგორც დავით უსუფაშვილმა განაცხადა, „რესპუბლიკურ პარტიაში" აშკარად შეიმჩნევა გამოცოცხლება და ახალი ტალღის შეტანა, რაც ახალგაზრდული ფრთის დამსახურებაა, თუმცა „გასაკეთებელი ძალიან ბევრია, საჭიროა ახალგაზრდული ფრთა საქართველოს რაიონებში და რეგიონებში დაფუძნდეს და დაიმკვიდროს საზოგადოებაში ძლიერი პოლიტიკური ძალის განცდა. რეალური საქმეები და ქმედითი ღონისძიებები ჩვენი პარტიის ფუნქციაა, რადგან „რესპუბლიკური პარტია" მხოლოდ ინტელექტუალთა გაერთიანებად არ უნდა დარჩეს", - მიმართა დავით უსუფაშვილმა ახალგაზრდა „რესპუბლიკელებს".

უსუფაშვილის განცხადებით, „რესპუბლიკურმა პარტიამ" ძალიან მოკლე დროში უნდა მოახერხოს, რომ ქვეყნის მასშტაბით ეროვნული პოლიტიკური მოძრაობის გასაშლელად საკმარისი რესურსი შექმნას.

*ინტერპრესნიუსი*

# ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობაა

პარლამენტის მიერ დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხის განხილვის შემთხვევაში, პლენარულ სხდომაზე დასწრებისა და ბოიკოტის დროებით შეწყვეტასთან დაკავშირებით, საპარლამენტო ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, „მემარჯვენეები" სხდომაზე დასწრებას არ აპირებენ, რადგან ეს, ფაქტობრივად, ბოიკოტის შეწყვეტა იქნება.

„საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვებას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. თუმცა, დსთ-ს თემით ჩვენ პარლამენტის დარბაზში ვერ შეგვიტყუებენ," - აცხადებს მამუკა კაციტაძე.

„მემარჯვენეებისგან" განსხვავებით, სხდომას დაესწრებიან „მრეწველები". „კენჭისყრაში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას, რადგან ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა" - აღნიშნა ფრაქცია „მრეწველების" წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ანალოგიური გეგმები აქვს ფრაქცია „დემოკრატიულ ფრონტსაც", რომელიც პარლამენტის მიერ საქართველოს დსთ-დან გასვლის საკითხის განხილვის შემთხვევაში, ბოიკოტს დროებით შეწყვეტს.

„მემარჯვენეების" გადაწყვეტილებაზე კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ ჩვენს შორის კონსულტაციები არ გამართულა", - აღნიშნა ფრაქცია „დემოკრატიულ ფრონტის" წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ.

*მედიანიუსი*

# პარლამენტი შრომის კოდექსის განხილვას გააგრძელებს

მომავალ სასესიო კვირას პარლამენტი ორ პლენარულ სხდომას გამართავს.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც დეპუტატები ამ სხდომებზე განიხილავენ, შრომის კოდექსის პროექტია. მას პარლამენტი მეორე მოსმენით განიხილავს. ამჯერად დეპუტატებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი შენიშვნები მუხლების მიხედვით გამოთქვან.

ვინაიდან საპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტს აცხადებს და სხდომებს არ ესწრება, შენიშვნები ძირითადად საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს აქვთ. ეს შენიშვნები ძირითადად ხელშეკრულების ფორმებს ეხება. კანონპროექტის ერთ-ერთი მომხსენებლის პავლე კუბლაშვილის თქმით, დეპუტატების ზემოხსენებულ შენიშვნები გაზიარებულია და კოდექსში ასახული ზეპირსიტყვიერი ხელშეკრულება ე.წ. ჰოლანდიური კოდექსის ფორმას მიიღებს. აღნიშნული კოდექსის მიხედვით კი ზეპირსიტყვიერი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულს ერთი თვის ვადაში წერილობით აცნობოს ხელშეკრულების პირობები.

მომავალ კვირასვე პარლამენტი პირველი მოსმენით განიხილავს კანონპროექტს „1801 წლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული რელიგიური ქმედებების უკანონოდ გამოცხადების შესახებ". ეს კანონპროექტი რუსეთში გატანილი საეკლესიო საგანძურის აღრიცხვასა და მისი უკან დაბრუნების მოთხოვნას ითვალისწინებს.

*მედიანიუსი*

# ბოტკინით დაავადების მიზეზი

რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის რაიონში მცირეწლოვანთა A ჰეპატიტით (ე.წ. ბოტკინით) დაავადების 27 შემთხვევა გამოვლინდა. ამჟამად, დაავადებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დასკვნით, ბავშვების A ჰეპატიტით დაინფიცირება დაბინძურებულმა სასმელმა წყალმა გამოიწვია. ჰეპატიტი ნაწლავთა ინფექციაა, რომელიც ფეკალურ-ორალური გადაცემის მექანიზმით ვრცელდება. ბოტკინით ავადობა ელემენტარული სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დარღვევას უკავშირდება. დაავადების გამომწვევი ორგანიზმში დაინფიცირებული წყლისა და საკვების პროდუქტების მიღებისას ან დაავადებულთა საყოფაცხოვრებო კონტაქტის შედეგად ხვდება. ბოტკინის ინკუბაციური პერიოდი 15-50 დღეს შეადგენს. დაავადებულ ვირუსს ინკუბაციური პერიოდის მეორე ნახევრიდან გამოყოფს, ხოლო სიყვითლის გამოვლინების შემდეგ გადამდებლობა მკვეთრად მცირდება. ბოტკინით მეტწილად ბავშვები ავადდებიან. დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, დაავადებულთა 70 პროცენტს 14 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენენ.

„ჰეპატიტის პროფილაქტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა პირადი ჰიგიენის წესების დაცვას ენიჭება: დაიბანეთ ხელები ხშირად და გულმოდგინედ, აუცილებლად ჭამის წინ, საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ, ქუჩიდან შემოსვლისას; ერიდეთ ქუჩაში ჭამას; სუფრასთან მიტანამდე საგულდაგულოდ გარეცხეთ ხილი და ბოსტნეული; დაბინძურებისაგან განსაკუთრებით დაიცავით რძე, არაჟანი, სალათები; თუ დარწმუნებული არ ხართ წყლის უსაფრთხოებაში, სასმელად მხოლოდ ანადუღარი წყალი გამოიყენეთ, განსაკუთრებით ნაწლავთა ინფექციების ეპიდაფეთქების პერიოდში; დაიცავით ბინაზე სანიტარიული წესრიგი და არ დაუშვათ ფეხსახსრიანი მწერების - ბუზების და ტარაკანების გავრცელება," - ურჩევს დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას.

*მედიანიუსი*

# გაიარეთ რეგისტრაცია!

## ურჩევენ უმუშევრებს

თამარ ქადაგიძე

*90-იანი წლების დასაწყისში, კერძო პირის მიერ გახსნილ დასაქმების ცენტრში რეგისტრაციის გავლა ერთი მანეთი ღირდა. ცენტრის მეპატრონეს, მართალია, არავინ დაუსაქმებია, თუმცა სამსახურის მაძიებლების მიერ გადახდილი სიმბოლური თანხით ჩანაფიქრის განხორციელება - ვალების გასტუმრება შეძლო. როგორც ჩანს, სწორედ იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი იმ უნდობლობას დასაქმების სამსახურების მიმართ, რასაც საქართველოს მოსახლეობა დღესაც იჩენს.*




ეს საკითხი პრობლემატური არ იქნებოდა, ქვეყანაში სამუშაო ადგილების დეფიციტი რომ არ ყოფილიყო. რაც მთავარია, სახელმწიფოს არ აქვს უმუშევართა რაოდენობის ზუსტი მონაცემები. სამუშაოს მაძიებლების რაოდენობის ანალიზს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებების მიხედვით აკეთებს. მაგალითად, თუ თქვენ დიასახლისი ხართ და სახლში, თუნდაც, კომპოტს აკეთებთ, საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებების მიხედვით, თვითდასაქმებულად ითვლებით. აღარაფერს ვამბობთ შინამეურნეებზე და, თუნდაც, კერძო ტაქსის მძღოლებზე. ალბათ, ამით აიხსნება ის დამაიმედებელი ციფრები, რომელსაც სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს და რომლის მიხედვითაც საქართველოში უმუშევარი - შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 13-15 პროცენტია.

წესით, როგორც სხვადასხვა ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება, საქართველოშიც დამსაქმებელსა და დასასაქმებელს შორის შუამავალი დასაქმების სამსახურები უნდა იყოს. სახელმწიფო დასაქმების სამსახურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რამდენიმე კერძო "დამსაქმებელი" ფირმაც მოიძებნება. თუმცა, მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, ანუ ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით, გამოდის, რომ დამსაქმებლები 5 ლარად მხოლოდ იმედს ყიდიან. რადგან, მათ მიერ შეთავაზებული ვაკანსიებს - მომსახურების სფეროდან, მშენებლობიდან, ვაჭრობიდან, ტურისტული ბაზებიდან და სასტუმროებიდან - უმაღლესი განათლების მქონე უმუშევრები, ძირითადად, უკადრისობენ.

დასაქმების სხვადასხვა (კერძო) სამსახურები, დასასაქმებელს ხშირ შემთხვევაში „ვიწრო პროფილის" ვაკანსიებს სთავაზობენ. მაგალითად, ახალგაზრდების დასაქმების საერთაშორისო ასოციაცია „ოპერი" 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდებს გერმანიაში ძიძებად ასაქმებს. თუმცა, გამონაკლისის სახით, ისეთი ფირმებიც მოიძებნება, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებს ვაკანსიის ფართო არჩევანსაც სთავაზობენ. მაგალითად, დასაქმების სააგენტო „საბას" შემდეგი სახის ვაკანსიების შემოთავაზება შეუძლია: დამლაგებელი, ჭურჭლის მრეცხავი, ძიძა, მიმტანი, დარაჯი, დაცვის თანამშრომელი და ა.შ. **„ჩვენ კერძო სტრუქტურებში ვასაქმებთ, სახელმწიფო უწყებები არ გვაწვდიან ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. თუმცა, კერძო სამსახურებში თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ქვეყანაში ამდენი უმუშევარი არ უნდა იყოს,"** - გვითხრა ცენტრის თანამშრომელმა. დასაქმების ცენტრში რეგისტრაციის გავლა 3-დან 5 ლარამდე ღირს. „საბა" თუ დაგასაქმებთ, პირველი ხელფასიდან პროცენტი უნდა აიღოს. პროცენტის ოდენობა არ დაგვიზუსტეს, - გააჩნია ანაზღაურებასო. რაც შეეხება ასაკობრივ შეზღუდვას, დამსაქმებლები დამლაგებლად საშუალოდ 50 წლის ქალბატონებს, ხოლო მიმტანებად - 25 წლამდე ასაკის გოგონებს ანიჭებენ უპირატესობას. ისევე, როგორც დარაჯად 50 წელს გადაცილებული მამაკაცის აყვანა სურთ, ხოლო დაცვის წევრად - 30 წლის ახალგაზრდა მამაკაცის. ცნობილი ფაქტია და ფირმა „საბას" წარმომადგენლებმაც დაგვიდასტურეს, რომ საქართველოში ბევრი უმაღლესი განათლების მქონე ჭურჭლის მრეცხავი და დამლაგებელი გვყავს.

არადა, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი ლევან ფერაძე აცხადებს, რომ დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზეცაა, რომელთაც დამსაქმებელი მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს. თუმცა სააგენტოს ძალიან უჭირს, დამსაქმებელს შესაბამისი კადრი შესთავაზოს. ამის მიზეზად სააგენტოს ხელმძღვანელი ქვეყანაში განათლებისა და კვალიფიკაციის პრობლემას ასახელებს.

მთავარი პრობლემა მაინც სახელმწიფო უწყებებიდან დათხოვნილი მუშაკების დასაქმებაა. თუმცა, ეს რომ გარდაუვალი იყო, მთავრობისთვის ჯერ კიდევ 2003 წლის დეკემბერში იყო ცნობილი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის მაშინდელმა შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის № 108 მუხლის მერვე თავი გააუქმა, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილი მოხელეების გარანტიებსა და კომპენსაციების გაცემას გულისხმობდა.

ბოლო წლებში გაჩნდა არაოფიციალური ასაკობრივი ცენზიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ დამსაქმებელი უპირატესობას სამსახურის 30 წლამდე ასაკის მაძიებელს ანიჭებს.

მიუხედავად ამისა, ლევან ფერაძე უმუშევრებს მოუწოდებს, დასაქმების სააგენტოში დარეგისტრირდნენ. **"სამუშაოს მაძიებელი რეგისტრაციას 15 წუთში გაივლის, რისთვისაც არც ერთი თეთრის დახარჯვა არ დასჭირდება,"** - გვითხრა მან, თუმცა ისიც დასძინა, რომ **"მართალია, გასულ წელს სააგენტომ 5 ათასი უმუშევარი დაასაქმა, მაგრამ მოსახლეობა ნიჰილიზმითაა შეპყრობილი, არ სჯერათ, რომ მათ სახელმწიფო სამსახურს მოუძებნის."** სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში დღეს სამუშაოს 28 ათასი მაძიებელია რეგისტრირებული. არადა, ჩრდილში მყოფი სააგენტო რამდენიმე შუამავლის როლს მცირე დოზით, მაგრამ მაინც ასრულებს, რასაც თუნდაც სააგენტოსა და "დამსაქმებელთა ასოციაციის" ურთიერთთანამშრომლობა მოწმობს, რის შედეგადაც უმუშევრების გადამზადება, შემდეგ კი მათი დასაქმება ხდება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი დავით ოქროპირიძე იმედს მომავალზე ამყარებს. **"სამინისტრო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების განხორციელებას აპირებს, რაც შრომის ბაზარზე სახელმწიფო საშუამავლო როლის წინ წამოწევას გულისხმობს. დღეისათვის ეს ფუნქცია წარმოდგენილია ჩვენი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტოს სახით, რომელიც სოციალური დახმარების კუთხით კარგადაა განვითარებული. გვინდა, რომ ეს სამსახური გახდეს მიმზიდველი, როგორც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის - სამუშაოს მაძიებლებისთვის, ისე დამსაქმებლებისთვის, რომლებიც მათთვის საჭირო კვალიფიკაციის ადამიანებს აქ მოიძიებენ,"** - აღნიშნა დავით ოქროპირიძემ.

ოქროპირიძეს ჰგონია, რომ სახელმწიფო უმუშევრებს ქვეყანაში მინიმალური ხელფასის ოდენობის შემწეობას უხდის, თუმცა, როგორც ლევან ფერაძემ გვითხრა, მოქალაქე 20-ლარიან შემწეობას, სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, მხოლოდ 6 თვის განმავლობაში იღებს. თუმცა ამასაც აუქმებენ, მიზეზად კი თანხის არაეფექტურ ხარჯვას ასახელებენ. მაგალითად, წლევანდელ ბიუჯეტში მოსახლეობის დასაქმებისთვის არც ერთი თეთრი არ არის გათვალისწინებული. ქვეყნის "მთავარი დამსაქმებლები" უმუშევრებს მომავალ წლამდე თავის გატანას ურჩევენ. ქვეყნის გლობალური პრობლემის - მოსახლეობის დასაქმების მოგვარებას კი 2007 წლიდან გვპირდებიან, ანუ მას მერე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში "უსაქმურებისთვის" ფულს ჩადებს.

# ამოუცნობი გადადგომა

პირველი გვერდიდან

თუმცა, ანალიტიკოსთა ნაწილი არც სხვა ვერსიას გამორიცხავს, კერძოდ, საკმაოდ გავლენიანი ფიგურების გადადგომის ფაქტს. კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი და სავარაუდო მიზეზი შესაძლოა ქრთამის აღება და ზოგადად, კორუფციული სისტემა, ფიგურირებს გოსის გადადგომასთან დაკავშირებულ ბურუსით მოცულ ისტორიაში. საქმე ეხება არა უშუალოდ პორტერ გოსს, არამედ მის ერთ-ერთ პროტეჟეს, რომელმაც შავბნელი საქმიანობით ჩრდილი მიაყენა მფარველს.

თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურში ბევრს არ მოსწონდა გოსის ხისტი და უკომპრომისო მართვის სტილი, კერძოდ, სამმართველოს მუშაობის რადიკალურად შეცვლა, ინფორმაციის გადინების შესაძლებლობის აღკვეთა და არაეფექტური საქმიანობიდან შედეგიან მოღვაწეობამდე მიყვანა, პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაცდომა მასთან დაახლოებული პირებისა საკმარისი საბაბი აღმოჩნდა, გოსისთვის საკმარისი კომპრომატების გამოძებნისთვის. ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს ძველ გავლენიან თანამშრომლებს არც ის ფაქტი მოეწონათ, როცა გოსმა თანამდებობის დაკავების შემდეგ საკუთარი ექსპერტებისა და კონსულტანტებისაგან დაკომპლექტებული გუნდი მოიყვანა.

პორტერ გოსის შემცვლელის ვინაობა, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ საჰაერო ძალების გენერალი მაიკლ ჰაიდენიც აღმოჩნდეს, რომელიც ამჟამად ჯონ ნეგროპონტეს თანაშემწეა.

*ბი-ბი-სი*

# ტერორისტული აქტების სერია გრძელდება

თეა მაისურაძე

გუშინ ტერორისტული აქტი განხორციელდა ერაყის დედაქალაქ ბაღდადში და ქერბალას პროვინციაში.

ქერბალაში, რომელიც ბაღდადიდან 80 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და შიიტი მუსლიმებით არის დასახლებული, აფეთქების ხმა დილის 9:30 წთ-ზე გაისმა. ეს ის დროა, როცა სამუშაო დღე იწყება და ავტოსადგურში ხალხმრავლობაა. ტერორისტული აქტი მსხვერპლით დასრულდა, დაიღუპა 21 და დაიჭრა 52 ადამიანი.

გავრცელებული ინფორმაციით, ავტოსადგურში 8 დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. ტერორისტების სამიზნეს ქერბალას პროვინციის ადმინისტრაციული შენობა წარმოადგენდა, რომელიც ავტოსადგურთან ახლოს მდებარეობს.

ქერბალას პროვინციაში მომხდარი ტერაქტის პარალელურად, გუშინ სამჯერ გაისმა აფეთქების ხმა ბაღდადის ჩრდილოეთშიც, რის შედეგადაც დაიღუპა 9, ხოლო სხეულის დაზიანება 20-მდე ადამიანმა მიიღო. პირველი აფეთქების ხმა 8;50 წთ-ზე ადჰამიას რაიონში გაისმა და მიმართული იყო ერაყის არმიის პატრულისადმი, თუმცა დაზარალებულთა შორის მშვიდობიანი მოქალაქეებიც არიან. აფეთქების შედეგად დაიღუპა რვა ადამიანი, ხოლო დაშავებულთა რაოდენობა 15-სს შეადგენს.



*გავრცელებული ინფორმაციით, ავტოსადგურში 8 დანაღმული ავტომობილი აფეთქდა.*

ათი წუთის შემდგომ დანაღმული მანქანა აფეთქდა ბაღდადის იმ რაიონში, რომელიც მჭიდრო სატრანსპორტო კავშირებით გამოირჩევა, აქვე მდებარეობს იბნ ალ-ჰაიტმანის კერძო კოლეჯი. ტერორისტთა სამიზნეს მეორე შემთხვევაშიც პოლიცია წარმოადგენდა. დაიღუპა ერთი და დაშავდა 5 ადამიანი.

გარდა ამისა, ბოლო 2 დღის განმავლობაში, ბაღდადში აღმოჩენილია 43 ადამიანის გვამი. ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 15 ადამიანის გვამი ნაპოვნი იქნა ერაყის დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო დანარჩენი კი ბაღდადის სხვადასხვა რაიონებში. საყურადღებოა ისიც, რომ გარდაცვლილები მამაკაცები არიან, რომელთაც ხელები აქვთ შეკრული და თავში ნატყვიარი აღენიშნებათ.

ბაღდადში ყოველდღიურად რელიგიური ძალადობის მსხვერპლი ათობით ადამიანი ხდება. ბოლო ორი თვის განმავლობაში, ერაყის ქალაქ სამარიას შიიტურ მეჩეთში „ალ-ასკარიაში" მომხდარი აფეთქების შემდეგ, მხოლოდ ქალაქის მორგში აღმოჩნდა მშვიდობიანი მოქალაქეების 2 500 ცხედარი. ეს კი ამერიკის არმიის დანაკარგს სამი წლის განმავლობაში ბევრად აღემატება.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შიიტი მუსლიმების წინააღმდეგ მეტად აქტიური კამპანია მიმდინარეობს, რაც ტერორისტული აქტებითა და თავდასხმებით გამოიხატება. ვარაუდობენ, რომ ქერბალაში მომხდარი ინციდენტი მიზნად ისახავს შემდგომში ურთიერთობების დაძაბვას და დაპირისპირებას ერაყელ შიიტ მუსლიმებსა და სუნიტური არაბი მოსახლეობის უმცირესობას შორის.

საყურადღებოა ასევე ერაყში შაბათს მომხდარი ინციდენტი, როცა ქალაქ ბასრაში ბრიტანული შვეულმფრენი ჩამოვარდა. ერაყის ხელისუფლების ცნობით, შემთხვევის შედეგად ბორტზე მყოფი ოთხივე ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა.

ერაყში არჩევნები 5 თვის წინ ჩატარდა, თუმცა მთავრობის ფორმირების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. მინისტრთა კაბინეტის ფორმირება ერაყის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჯავად ალ-მალიკიმ 21 მაისამდე უნდა დაასრულოს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი ყველაზე პრიორიტეტულად ქვეყნის უსაფრთხოების საკითხების მოგვარებას მიიჩნევს, ერაყში ამ მხრივ მდგომარეობა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების დაძაბვის ფონზე სულ უფრო და უფრო უარესდება. თუმცა, აშშ და ერაყის მთავრობა იმედოვნებენ, რომ შეძლებენ ადგილობრივ სუნიტებსა და შიიტებს შორის უთანხმოების მოგვარებას და ქვეყანაში სტაბილურობის განმტკიცებას. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მაშინ ერაყის უსაფრთხოების დამცველი 133, 000 ამერიკელი მეომარი თავის ქვეყანას დაუბრუნდება.

## მოკლედ

### ამერიკის მიგრაციის ბიუროს წარმომადგენლები საქართველოში

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს პროგრამების ოფიცერს რუსეთში, სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში, ეტა ბი ტოურესას და სახელმწიფო დეპარტამენტის მუდმივ წარმომადგენელს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ტიმ რიჩარდსონს შეხვდა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეტი ბი ტოურესი საქართველოს დევნილთა მიმართ სტრატეგიის შემუშავების და დევნილთა ბინების ვაუჩერიზაციის პროექტის ფარგლებში ეწვია. „გიორგი ხევიაშვილი მიმდინარე წლის იანვრის თვეში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში. ეტა ბი ტოურეს საქართველოში ჩამოსვლა საპასუხო ვიზიტია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი წამყვან როლს შეასრულებს დევნილთა საბინაო პრობლემების გადაჭრის საკითხში და ქართულ მხარეს ურბანული პრობლემების სპეციალისტებითაც დაეხმარება" - აცხადებენ ლტოლვილთა და განსხალების სამინისტროში. **მედიანიუსი**

### სიახლეები აბიტურიენტებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი განაგრძობენ აბიტურიენტთათვის ღია კარის დღეების ჩატარებას. მორიგი შეხვედრა გუშინ ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაგეგმილი სიახლეები აბიტურიენტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა და ამავე ცენტრის სხვა წარმომადგენლებმა გააცნეს. როგორც მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, ერთიანი ეროვნული გამოცდები 10-დან 25 ივლისის ჩათვლით ჩატარდება. სიახლეები, ძირითადად, ადმინისტრაციული ხასიათისაა. კერძოდ, რეგისტრაციის გავლის შემდეგ აბიტურიენტებს არა ქაღალდის, არამედ პლასტიკური საგამოცდო ბარათები დაურიგდებათ. სიახლეა ისიც, რომ გამოცდების მიმდინარეობისას ამა თუ იმ საგნის ტესტების გასწორებული ვარიანტები ინტერნეტში განთავსდება. ის აბიტურიენტები, რომლებსაც კომპიუტერზე ხელი არ მიუწვდებათ, ტესტების სწორ პასუხებს შესაბამის საგამოცდო ცენტრებში გაეცნობიან. ღია კარის დღეები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გაგრძელდება. **მედიანიუსი**

### ახალი სკოლა კონფლიქტის ზონაში

გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელ ქერეში ახლადაშენებული სკოლა გახსნეს. ახალი სკოლის თანამედროვე ტიპის ნაგებობის მშენებლობა 7 თვეში დასრულდა. შენობა 130 მოსწავლეზეა გათვლილი, დღეისათვის კი სკოლას 102 მოსწავლე ჰყავს. აქამდე სასწავლო პროცესი მწყობრიდან გამოსულ შენობაში მიმდინარეობდა. სკოლის გახსნისას ალექსანდრე ლომაია სკოლის მოსწავლეებს კომპიუტერებსაც დაჰპირდა და აღნიშნა, რომ კონფლიქტის ზონასთან ასეთი სკოლის აშენება მნიშვნელოვანია. „ეს სკოლა ძალიან ნათელი მინიშნებაა იმისათვის, რომ კონფლიქტის დროს ამ სოფლიდან წასული ყველა ეთნიკური ოსი უნდა დაბრუნდეს, რადგან მათ შვილებს აქ ელიან," - განაცხადა მან. მხარის გუბერნატორის თქმით, ქერე ქართულ-ოსური სოფელია და ახალი სკოლაც ქართველ და ოს ბავშვებს ერთნაირად მოემსახურება. „წელს შიდა ქართლის რეგიონში 7 ახალი სკოლის მშენებლობაა დაგეგმილი," - აღნიშნა ქარელმა. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერეგეი შამბას განცხადებით, აფხაზური მხარე კატეგორიულად გამორიცხავს საქართველოსთან ფედერაციულ ან კონფედერაციულ თანაარსებობას. შამბას თქმით, სწორედ ამას გულისხმობდა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი პიერ ლელუში, როცა აცხადებდა, რომ აფხაზური მხარე საქართველოსთან მოლაპარაკებების გამართვის მცირე საშუალებას იძლევა. სეპარატისტთა საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით, აფხაზურ მხარეს მოლაპარაკებებისთვის უარი არასოდეს უთქვამს, თუმცა მოლაპარაკებების მთავარი პირობა აფხაზეთის დამოუკიდებლობაა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა 11-12 მაისს, ქალაქ ცხინვალში გაიმართება. კონფლიქტების მოგვარების საქმეში სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახურის ინფორმაციით, კომისიის სხდომაზე შემდეგი საკითხების განხილვაა დაგეგმილი: სამშვიდობო პროცესის განვითარების ერთიანი პროგრამის შესაქმნელად ერთობლივი ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ შეთანხმების რეალიზაცია; ასევე, კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც საერთაშორისო დონორების კონფერენციაზე უნდა იყოს წარდგენილი. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# მსგავსი ქვეყნების ერთნაირი ამბიციები

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხორვატიის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტისა და ამ ქვეყანასთან თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების გამო კმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ საქართველომ ბევრი რამ უნდა ისწავლოს ძველი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყნისაგან, რომელმაც დამპყრობლებს თავი დააღწია, სეპარატიზმი დაძლია და წარმატებულ ქვეყნად იქცა.

**„რუსეთში მოღვაწე პოლიტიკურმა წრეებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველო თავის ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობას გააღრმავებს, დასავლეთის დემოკრატია საქართველოს მოსკოვის ზეწოლის პირობებში არ მიატოვებს და საქართველო რუსეთთან პირისპირ მარტო არ დარჩება“,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომლის მტკიცებითაც, **„როგორი ზეწოლაც არ უნდა განახორციელოს რუსეთმა, საქართველო ევროპულ არჩევანზე, კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაზე უარს არ იტყვის“.**

მისივე თქმით, ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე მოსკოვის „არაადეკვატური, ისტერიული რეაქციის“ მიუხედავად, საქართველო გააძლიერებს ჰორიზონტალურ ურთიერთობებს ყველასთან, ვისთვისაც ღირებულია თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალები.

სააკაშვილის ინფორმაციით, მან ხორვატიის პრეზიდენტთან სტიპე მესიჩთან გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაფართოების ფართო სპექტრი განიხილა და იმედოვნებს, რომ ხორვატიასთან კონტაქტების გაღრმავებით, საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდება.



*ხორვატიასთან კონტაქტების გაღრმავებით, საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდება, - იმედოვნებს ხელისუფლება.*

საქართველოსა და ხორვატიას შორის თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს და ხორვატიის პრეზიდენტებმა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და ორი ქვეყნის თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

**„საუკუნეების განმავლობაში ორივე ქვეყანა დამპყრობლების ქვეშ ვიყავით. ორივემ გამოვიარეთ სეპარატისტული კონფლიქტი, უფრო სწორად, საქართველო ჯერ კიდევ იმყოფება ამ პრობლემის წინაშე, ორივე მივისწრაფვით ევროატლანტიკური სივრცისკენ“,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ვილნიუსში გამართულ სამიტზეც ისაუბრა და ამ სამიტს ყველაზე წარმატებული უწოდა.

„სამიტზე ჩამოვიდა ძალიან ბევრი ქვეყნის ლიდერი, ასევე აშშ-ის ვიცე პრეზიდენტი და ეს იყო დიდი გამარჯვება საქართველოში და მთლიანად ევროპაში“,-განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ, ახალი რეგიონული გაერთიანება არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული

**„გვინდა გავამყაროთ ჰორიზონტალური პოლიტიკური კავშირები ჩვენს მეზობლებთან და ძლიერ სახელმწიფოებთან. დავდგეთ ფეხზე, რომ საქართველოს ხმა კარგად ისმოდეს დანარჩენ მსოფლიოში. ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის ეგზეკუცია ვერ განხორციელდება ისე, რომ დანარჩენმა მსოფლიომ ზურგი შეგვაქციოს და არ შეიმჩნიოს ის, რაც დღისით და მზისით ხდება, მხოლოდ იმისათვის, რომ მას თავისუფლება და განვითარება სურს“,-** განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს სურს საკუთარი ხალხის კეთილდღეობა და უკეთესობისკენ სვლას გააგრძელებს.

**„დავიწყებთ კონსულტაციებს მეგობარ ქვეყნებთან დსთ-ის ორგანიზაციის მომავალთან დაკავშირებით. საქართველო მზად არის, მიიღოს თავისი ხალხისთვის სასიკეთო ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, მაგრამ გვინდა, რომ არაფერი არ იყოს ერთპიროვნული. გვსურს შეთანხმებული და კოორდინირებული ურთიერთობა იგივე დსთ-სთან მიმართებაში“, -** აღნიშნა პრეზიდენტმა და იქვე დასძინა, რომ ბალტიის ქვეყნები არ შედიან დსთ-ში, მაგრამ წარმატებული ქვეყნები არიან.

ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დოკუმენტს ხორვატიის მხრიდან ხელი მოაწერა ხორვატიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ნევენ მადეიმ, ხოლო საქართველოს მხრიდან, - საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.

*24 საათი*

# „ცივილიზებული გაყრა“ დაიწყო

პირველი გვერდიდან

ამგვარად, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დსთ თავის დროზე „ცივილიზებული გაყრისთვის“ შეიქმნა, ასეთ პრაქტიკულ განხორციელებას ჰპოვებს - მხარეები (თბილისი და კიევი მოსკოვის პირისპირ) გაყრისთვის ემზადებიან, და გაყრის პროცესში საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად დაცვაზე და მეტოქის დაზარალებაზე ფიქრობენ.

რუსეთში შესაძლო ზარალზეც მსჯელობენ, რომელიც მას საქართველოსა და უკრაინის მიერ დსთ-ს დატოვებით მიადგება.

**„თბილისმა და კიევმა ნატოსკენ აიღეს გეზი, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ მთელი ჩვენი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გარდაქმნა მოგვიწევს, რომელიც დიდწილად უკრაინაზეა დამოკიდებული,“** - აცხადებს რუსი პოლიტოლოგი ვიაჩესლავ ნიკონოვი.

**„მოგვიწევს, სადღაც გავიყვანოთ შავი ზღვის ფლოტი. დიდი ბრძოლა გველის სომხეთსა და აზერბაიჯანისათვის: თუ ვის მხარეს დადგებიან ისინი. მეორე მხრივ კი, ისტორია მოწმობს, რომ პოლიტიკური ბლოკები მსოფლიოში სამუდამო რამ არ არის. ჯერ კიდევ უცნობია, რაოდენ მტკიცე გამოდგება ყოფილი „მოძმე რესპუბლიკების“ მეგობრობა დასავლეთთან,“** - მიაჩნია ნიკონოვს.

გერმანელი ექსპერტის, გერჰარდ სიმონის აზრით, არც საქართველო, და არც უკრაინა დსთ-ს სრულყოფილი წევრები არასდროს ყოფილან. ორივე ქვეყანა დსთ-ში „უხალისოდ“ გაწევრიანდა. საქართველოს ამ ნაბიჯისკენ რუსეთის აფხაზეთის კონფლიქტში ჩარევამ უბიძგა, ხოლო უკრაინა ფორმალურად არც არის თანამეგობრობის წევრი, რადგან მას ამ ორგანიზაციის წესდებისათვის ხელი არ მოუწერია.

**„თუ კიევი და თბილისი თავიანთ განცხადებებს შეასრულებენ და დსთ-ს დატოვებენ, საეჭვოა, ამ ნაბიჯმა დსთ-ს სხვა წევრების მხრიდან პროტესტი გამოიწვიოს,“** - მიაჩნია გერჰარდ სიმონს. მისი აზრით, დსთ უკვე დიდი ხანია, წმინდა ფორმალური გაერთიანებაა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში რაიმე მნიშვნელოვან როლს აღარ ასრულებს.

**„საქმე მხოლოდ ისაა, ღირს თუ არა ამის გაკეთება ასე დემონსტრაციულად. იქნებ, უფრო ჭკვიანური იქნებოდა, დალოდებოდნენ, მიეცათ დსთ-სთვის საშუალება, ჩუმად მომკვდარიყო. თანაც, ნატო-ში წევრობა სულაც არ გამორიცხავს წევრობას დსთ-ში,“** - აღნიშნავს გერჰარდ სიმონი.

გერმანელი ექსპერტი იქვე შენიშნავს, რომ ორივე ქვეყანა ნატო-ში წევრობისკენ ისწრაფვის, და მათი დსთ-დან გამოსვლა სიმბოლურ აქტად შეიძლება შეფასდეს, რომელიც მათი პოლიტიკური კურსის დასავლეთის მიმართულებით ორიენტირებას კიდევ ერთხელ დაადასტურებს.

# რეალური შანსი და უსაგნო ჭიდილი

პირველი გვერდიდან

- სამწუხაროა, რომ რუსეთი ხელახლა გახდა საქართველოში დომინანტური თემა. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ყველაზე მტკივნეული. ეს გვაბრუნებს უკან, იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ რუსეთიდან გამოსულიც კი არ ვიყავით. და ეს ხდება მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ენერგია და მცდელობა უნდა იყოს მიმართული იქეთკენ, რომ როგორმე მივუახლოვდეთ ევროპას, მოვამზადოთ ჩვენი ნატო-ში შესვლა და საბოლოოდ გავხდეთ ევროპის ნაწილი.

ჩვენი ხელისუფლების მთავარი საზრუნავი იმ არაჩვეულებრივი რეალობის გამოყენება უნდა იყოს, რომელიც საქართველოსთვის დღეს არსებობს. საქართველოს მსოფლიოში ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს. თვით ევროპა, რომელიც ძალიან დიდხანს პასიური იყო, უკვე მზად არის მხარი დაგვიჭიროს. ანგელა მერკელის თანახმად, ევროპაში მიიჩნევენ, რომ კავკასია დღეს სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია.

სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი ქცევით შეიძლება ეს ძვირფასი მომენტი ხელიდან გავუშვათ. ამერიკაც და ევროკავშირიც მზად არიან მხარი დაგვიჭირონ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეშიც და პროცესებში აქტიურად ჩაერთონ.

ამ ძალიან პოზიტიურ გარემოსა და კეთილგანწყობას, რომელიც საქართველოს მიმართ რევოლუციის შემდეგ გაჩნდა და რევოლუციის შემდგომ ნაბიჯებს მოჰყვა - ვკარგავთ რაღაც უსაგნო ჭიდილში. მაგალითად, მიდის ევროკავშირთან მოლაპარაკებები და არავინ საქმის კურსში არ არის რა კეთდება, რა არ კეთდება ევროკავშირის იმ ახალ სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია.

ეს არ არის ხუმრობა. ეს არის სწორედ იმ ეკონომიკური ბაზრების გახსნა, იმ ურთიერთობების გაღრმავება, რაც ჩვენ ასე გვჭირდება. და ამ დროს რას ვაკეთებთ? ვეჭიდავებით მოსკოვს. რა შედეგი უნდა მივიღოთ მოსკოვთან ჭიდაობისგან გარდა იმისა, რასაც ახლა ვღებულობთ? ნუთუ მყვირალა განცხადებების შემდეგ, რომლებსაც ჩვენ ვაკეთებთ, ველოდით, რომ მოსკოვი გაგვიღიმებდა და მეგობრულად ხელს ჩამოგვართმევდა? ის, რასაც რუსეთი დღეს აკეთებს, არის მისი პოლიტიკა, მისი ბუნებრივი რეაქცია, რომელიც აბსოლუტურად არ არის გასაკვირი.

და ეს საქართველოს ხელისუფლებაშიც კარგად იციან. ის ხალხი, ვინც დღეს ხელისუფლებაშია, გაცილებით უკეთ იცნობს რუსეთს, ვიდრე მე.

თუ გადავხედავთ უკანასკნელ წელს, 2005 წლის გაზაფხულიდან დღემდე, ვნახავთ, რომ საქართველოს პარლამენტმა ორი ულტიმატუმი მიიღო და ორივე ყველაზე არასაჭირო მომენტში. ერთი ლავროვთან ჩემი მოლაპარაკებების დროს, რის გამოც კინაღამ ჩავარდა ეს მოლაპარაკებები; და მეორე მაშინ, როდესაც ყველაზე აქტიურად იწყებოდა სამშვიდობო პროცესი ცხინვალის რეგიონში. დააკვირდით ტერმინოლოგიას, რომლითაც ჩვენი პარლამენტი მეტყველებს: გაეთრიეთ აქედან და თუ არა და ნახავთ რაც მოგივათ, თქვენ აქ არავის სჭირდებით და ა.შ. ეს ძალიან არასერიოზულია.

ამას დაუმატეთ პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლები. სადაც არ წავიდა ბურჯანაძე ბოლო თვეების განმავლობაში, ყველგან გამოვიდა თავისი ძალიან პატრიოტული და ანტირუსული განცხადებებით. მერე ამას გაზის ირგვლივ დაძაბულობა მოჰყვა, შემდეგ ისევ ცხინვალის ირგვლივ ვითარების გართულება. და რა მივიღეთ? ეს არის მთავარი კითხვა. მივიღეთ ის, რომ დღეს სწორედ ამ ჯადოსნურ წრეში ვართ, რუსეთის თემიდან ვერ გამოვდივართ.

გაფაციცებით ვუსმენთ და ველოდებით რუსეთი რას იტყვის, რუსეთი რას გვიზამს, შემდეგი ნაბიჯი რა იქნება... ეს სიტუაცია ჩვენ თვითონ შევქმენით. ჩვენ თვითონ დავარწმუნეთ ჩვენი ხალხი იმაში, რომ საქართველოს ეკონომიკა ბევრად უფრო დამოკიდებულია რუსეთზე, ვიდრე ეს სინამდვილეში არის. ორი დღის წინ იმერეთის რეგიონში ვიყავი და ხალხს სწორედ ეს განწყობა შევატყვე. ნაცვლად იმისა, რომ მოსახლეობას ავუხსნათ, - მართალია, რუსეთის ბაზარი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა უალტერნატივო, - მოვლენების დრამატიზებას ვახდენთ. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ ასი პროცენტით ვართ დამოკიდებული რუსეთზე და არა მხოლოდ გაზის გამო. ხალხში ჩნდება ბუნებრივი კონტრრეაქცია - თუ ასე ვართ დამოკიდებული რუსეთზე, მაშინ რატომ ვიკლავთ თავს და რატომ არა ვართ რუსეთთან? ანუ ვქმნით უკურეაქციას: საქართველოს მოსახლეობა, რომელიც მიმართული უნდა იყოს დასავლეთისკენ, ევროპისკენ, ფიქრობს რუსეთზე, მისტირის მას. წყნარად და მშვიდად ვაკეთოთ ჩვენი საქმე, ავაშენოთ ახალი სახელმწიფო - ეს არის ნამდვილი პატრიოტიზმი და არა რუსეთის ლანძღვა, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

**- თუმცა, ჩვენ ბოდიშის მოხდაც შეგვიძლია...**

- რა დროს ბოდიშის მოხდაა! ეს არის ფსევდოანტირუსიზმი. ჯერ რაღაცებს ვაცხადებთ და ამითი რაღაცა ეროვნულ სახეს ვიძენთ, ეს ეხება ბურჯანაძეს, და მერე სინამდვილეში, ამ პოზიციას ბოლომდე ვერ ვიჭერთ და დათმობაზე გადავდივართ. მაინტერესებს, ეს დათმობები სადამდე მიგვიყვანს. არასოდეს უნდა დაიწყო ბრძოლა, რომლისთვისაც მზად არ ხარ. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. ჩემი აზრით, რუსეთთან ჯერ გაცლა სჯობს. ჯერ მივიდეთ ევროპასთან, შევიდეთ MAP-ში (ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა - რედ.). ამაზე გავაკეთოთ აქცენტი. რუსეთს, თუ საჭიროა, ზრდილობიანად ვესაუბროთ, რას დავკარგავთ ამით?

**- თქვენი აზრით, რუსეთთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებაში ერთიანი პოზიცია არ არის?**

- რუსეთის ფაქტორი საქართველოს შიდა პოლიტიკის განმსაზღვრელიც გახდა. დღეს ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ არის უფრო მეტად ანტირუსი. მგონი, მე ერთადერთი ვარ, ვისაც ეს არ აწუხებს, რადგან არავისთვის არაფერი მაქვს დასამტკიცებელი. მე მინდა ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული საქართველო და სულ არ მაინტერესებს რუსეთი სად იქნება ამ მომენტში. თუ ამის მისაღწევად საჭიროა, და მე მჯერა, რომ საჭიროა, ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან, მაშინ რატომ არ უნდა გვქონდეს მასთან ნორმალური ურთიერთობა?!

საქართველოს აღმშენებლობის გზა ლანძღვა-გინებაზე და შემდეგ ბოდიშის მოხდაზე არ გადის. ჩვენ თანამიმდევრულები უნდა ვიყოთ, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა და განუხრელად უნდა დავიცვათ ჩვენი მთავარი ინტერესი.

**- რამდენიმე დღის წინ ვილნიუსში ძალიან საინტერესო და წარმომადგენლობითი კონფერენცია მიმდინარეობდა, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ერთადერთი არ იყო, ვინც რუსეთის მიმართ კრიტიკული განწყობა გამოხატა. რუსეთის მისამართით მწვავე განცხადებებით აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტიც გამოვიდა. თქვენი აზრით, რა მთავარი გზავნილები მიიღო საქართველომ დასავლეთისგან?**

- ვილნიუსში საქართველომ ის დიდი მხარდაჭერა მიიღო, რაზეც საუბრის დასაწყისშივე მოგახსენეთ. ეს არის საქართველოს შანსი. ამ მხარდაჭერას გაფრთხილება სჭირდება. როგორც კი ჩვენ გადავუხვევთ ჩვენს კურსს, დავკარგავთ ამ მხარდაჭერას. დღეს ჩვენს პარტნიორებს სჯერათ, რომ ჩვენ ვართ ის ქვეყანა, ის რეგიონი, რომელიც დემოკრატიისკენ, სტაბილური სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიდის და როგორც კი იგრძნობენ, რომ ეს ასე არ არის, მხარდაჭერა დაიკარგება. ჩვენ აღმოვჩნდებით ძალიან მარტო, ისევ რუსეთთან პირისპირ... და მაშინ ჩვენ არც ჩეინი გვიშველის და არც ბუში.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება აპირებს დეკლარირებულ კურსს გადაუხვიოს?**

- ვფიქრობ, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, ნეოკომუნისტების, ნეობოლშევიკების გუნდი ძლიერდება. ეს არის ბურჯანაძე-შევარდნაძის ძველი გუნდი თავისი მაჭავარიანებით, გოგორიშვილებით და გაბაშვილებით. ეს ის ხალხია, ვინც ყოველთვის ხელისუფლებაში იყო და მოსკოვთანაც კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდა. დღეს ისინი თამაშობენ რაღაც ეროვნულ პარტიას და თამაშობენ დემოკრატებს.

მეორე მხრივ, ძალიან სუსტდება სააკაშვილის გუნდი, რადგან პრეზიდენტი ვერ შეელია მერაბიშვილს და მისთანებს. სააკაშვილი პოპულარობასაც კარგავს.

გამოდიან სააკაშვილის თანაგუნდელები და ამბობენ, რომ ჩვენ ხალხთან დიალოგი არ გვჭირდებაო. ვის სჭირდება ხალხი, თუ არა სააკაშვილის გუნდს? სააკაშვილი არჩევნებით მოვიდა, ხალხის მხარდაჭერით. თუ ამას დაკარგავს, არაფერი ექნება.

ხოლო ის გუნდი, ვისაც მე ნეობოლშევიკებს ვეძახი - მათ ხალხის მხარდაჭერა არ სჭირდებათ, რადგან არც არასოდეს ჰქონიათ ეს მხარდაჭერა. მათ იციან, რომ არჩევნებით ვერ მოვლენ. ესენი მოვლენ მხოლოდ მაშინ, თუ დესტაბილიზაცია მოხდება.

**- ექვს თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ ოპოზიციაში ხართ. როგორ შეაფასებდით თქვენს მოღვაწეობას ოპოზიციონერის ამპლუაში. ფიქრობთ, რომ ოპოზიციონერი სალომე ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილზე წარმატებულია?**

- თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ქართულ სატელევიზიო სივრცეში არასასურველი სახე ვარ და ჩემს გამოჩენას უფრო და უფრო ხშირად გაურბიან, ეს ალბათ ნიშნავს, რომ რაღაც წარმატება მაქვს.

„საქართველოს გზა“ ძალიან სერიოზულ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, ერთადერთ სერიოზულ ძალას.

შეხედეთ, როგორ თამაშობს ოპოზიცია - ხან ერთს უგორებს კოჭს, ხან მეორეს. არა მგონია, რომ ეს იყოს სერიოზული ოპოზიცია.

სერიოზული, კონსტრუქციული ოპოზიცია ეს არის ის, რაც საშინლად დააკლდა ამ მთავრობას. სწორედ იმის გამო, რომ ხელისუფლებას დღეს ჯანსაღი ოპოზიცია არ ჰყავს, რევოლუციურმა გუნდმა თავის იდეალი დაკარგა, გადაუხვია აღებულ დემოკრატიულ კურსს და გახდა ავტორიტარული. დემოკრატია ოპოზიციისა და დიალოგის გარეშე არ არსებობს. ამდენად, ჩვენ ვართ აუცილებელი ძალა, რათა გამოვაფხიზლოთ ხელისუფლება და დავაბრუნოთ იგი დემოკრატიის ჩარჩოებში...

**- თქვენი მოძრაობა შედარებით ახალგაზრდაა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისთვის მზად ხართ?**

- დიახ, ჩვენ ვაპირებთ, მონაწილეობა მივიღოთ უახლოეს არჩევნებში. ამ არჩევნებზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული.

ყოველთვის ვეუბნები ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხშირად მოდიან ჩემთან - თუ გვინდა გადავარჩინოთ რევოლუცია, რომელიც 2003 წელს იყო და ის იმედი, რომ საქართველო ბოლომდე გამოვა საბჭოთა წყობიდან - ერთადერთი ალტერნატივა არის შიდა, ძლიერი ოპოზიცია და გარედან სერიოზული შენიშვნები და ზეწოლა დღევანდელ მთავრობაზე.

**- ოპოზიცია თქვენ ხშირად გსაყვედურობთ, რომ მათთან ურთიერთობისას თავდაჭერილი და დისტანციური ხართ. ეს დისტანცია ბოლომდე შენარჩუნდება? რა არის იმის მიზეზი, რომ ოპოზიციასთან უფრო აქტიურად არ თანამშრომლობთ?**

- ამას ერთადერთი ახსნა აქვს - ვერ ვხედავ იმ მტკიცე ხაზს, რომლის გარშემოც შესაძლებელია გაერთიანება. მე მინდა, ერთიანი, დემოკრატიული ღირებულებების დასავლური ტიპის სახელმწიფო, მაინტერესებს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობა და არ მაინტერესებს ოპოზიციონერობა, არ მაინტერესებს რაღაც ადგილის მოპოვება. მე ვერ ვხედავ ასეთ მიდგომას დანარჩენ ოპოზიციაში. დღეს ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ ბურჯანაძეს, მეორე დღეს პატარკაციშვილს, რადგან იქ ბევრი ფულია. ცხადია, ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ოპოზიციონერთა უმრავლესობისთვის, როგორც ჩანს, პარტიულობა და ოპოზიციონერობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო ინტერესები.

პოლიტიკური მოღვაწეობის ეს მოდელი მე ბავშობიდან მახსოვს - საქართველოს პირველი დამოუკიდებლობა 1921 წელს დაღუპა იმან, რომ პარტია იდგა პირველ რიგში, სახელმწიფო კი მეორეში. სხვათაშორის, მე ეს ვთქვი სამინისტროში 2005 წლის 26 მაისსაც და ამ პოზიციაზე ვარ დღესაც. იქ, სადაც პარტიული თამაშებია, არასდროს ვიქნები. ჩემს მხარდამჭერებს ვპირდები, რომ არც ერთ გარიგებაში არ მნახავენ. მე ერთადერთი რამ მინდა - საქართველომ თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვას.

**- თქვენ საუბრისას აღნიშნეთ, რომ ევროპელი მეგობრები სულ უფრო ხშირად მოდიან თქვენთან. კონკრეტულად ვინ არიან სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერები ქვეყნის გარეთ?**

- ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ევროპელები მცნობენ, როგორც სერიოზულ ოპოზიციონერს. ამის მანიშნებელია ის, რომ საქართველოში ვიზიტად ჩამოსული ოფიციალური დელეგაციების წარმომადგენლები ჩემთან სახლში მოდიან და ჩემი აზრი აინტერესებთ. ეს არის ჩემთვის მხარდაჭერა. რამდენიმე დღის წინ ჩემთან ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრები იყვნენ, მანამდე ევროკავშირის ახალი სპეციალური წარმომადგენელი. ნატო-ს დელეგაციასთან ძალიან საინტერესოდ ვისაუბრეთ, კარგად ვიცი მათი განწყობა და ხელისუფლებას ვურჩევ, თვალში ნაცარს ნუ გვაყრიან.

**- ალბათ, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მაინც საინტერესოა, რა იქნება თქვენი მოძრაობის წინასაარჩევნო ლოზუნგი, რა ნიშნით წარიმართება „საქართველოს გზის“ საარჩევნო კამპანია?**

- ადგილობრივი არჩევნები და ადგილობრივი დემოკრატია - ეს იქნება ჩვენი პირობითი ლოზუნგი. თუ მართლა გვინდა დემოკრატია ავაშენოთ, მაშინ ადგილობრივი დემოკრატიით უნდა დავიწყოთ. თუ არ იქნება თვითმმართველობა, არ გვექნება დემოკრატია. რეგიონების მოსახლეობა მზად არის, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მშენებლობის საქმეში, მაგრამ იქ ყველაფერი ნაციონალური პარტიის ხელშია და გასაქანი არავის აქვს. დღევანდელ საქართველოში მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობის“ ტიპის ძალა, რომელიც სხვას არავის აკარებს ხელისუფლებასთან. თუ ხელისუფლება არ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოპოზიცია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, არაფერი გამოუვა. ხვალ მეც რომ მოვიდე ხელისუფლებაში, ოპოზიციის გარეშე ვერაფერს გავხდები და ალბათ მომივა ის, რაც ამათ მოსდით.

ყოველთვის ვეუბნები და ვთხოვ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, რომ ყურადღება არ მოადუნონ, დააკვირდნენ, მონიტორინგი გაუწიონ მომავალ არჩევნებს და იყონ ძალიან აქტიურები საქართველოში იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი.


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## სასამართლოს მიერ გაუქმებული დადგენილება

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საქმეში „საქენერგო-2000“-ის დაზარალებულად ცნობის დადგენილება გააუქმა. როგორც განსასჯელის ერთ-ერთი ადვოკატი იასონ ბესელია აცხადებს, მოსამართლე ლია ორკოდაშვილმა გააუქმა საქმეში დაზარალებულად ცნობის შესახებ მიღებული დადგენილება, რის გამოც, მირცხულავას ის მძიმე ბრალდებები უნდა მოეხსნას, რის საფუძველზეც, პირველი ინსტანციის სასამართლომ ხანგრლივი პატიმრობა შეუფარდა.

„მირცხულავას პროცესზე ამგვარი მნიშვნელოვანი ფაქტი ჯერ არ მომხდარა. თუ ყველაფრის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო თანხების მითვისების ბრალდებას ძალაში დატოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ მხარეს „არმენენერგოსთვის“ ხელახლა მოუწევს იმ საჯარიმო სანქციების გადახდა, რაც საქართველომ 1998-1999 წლებში, სომხეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო უკვე დაფარა. თუკი მირცხულავას საქმეს თბილისის სააპელაციო სასამართლო ობიექტურად განიხილავს, მაშინ დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმებით, განსასაჯელს უნდა მოეხსნას ისეთი მძიმე ბრალდებები, როგორიცაა, თაღლითობა და სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“, - აცხადებს მირცხულავას ადვოკატი.

გენერალური პროკურატურის ბრალდების საფუძველზე, მირცხულავს კიდევ ერთი ბრალდება აქვს წაყენებული - ოფიციალური დოკუმენტების გადამალვა, რომელიც სასაჯელის მაქსიმალურ ზომას 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

როგორც ადვოკატები განმარტავენ, პროკურატურის თანამშრომლებმა ის დოკუმენტები, რომლის გადამალვასაც მირცხულავას ედავებიან, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის სამუშაო ოთახის კაბინეტში აღმოაჩინეს.

*ინტერპრესნიუსი*

## გამამართლებელი ვერდიქტი ხლებნიკოვის მკვლელობაში ბრალდებულებს

პირველი გვერდიდან

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ თავდაპირველად აღებულ კურსს არც ბოლოს გადაუხვია და ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის, ჟურნალ „ფორბსის“ რუსულენოვანი ვერსიის რედაქტორის, პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის გამოძიებისას სწორედ ჩეჩნურ კვალს და, მეტიც, მკვლელობაში ეჭვმიტანილ ჩეჩენებსაც მიაკვლია. შეკვეთილი მკვლელობის ორგანიზატორად ჩეჩენ მებრძოლთა ყოფილი მეთაური ხოჟ-ახმედ ნუხაევი დასახელდა.

**„ნუხაევმა კრიმინალური დაჯგუფების წევრები დაიქირავა და მათ ხლებნიკოვის მკვლელობა შეუკვეთა, რადგან ხლებნიკოვმა თავის წიგნში, „საუბრები ბარბაროსთან“, ნუხაევი მკაცრად გააკრიტიკა. ძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა სისრულეში მოიყვანა ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ, რომლის წევრებიც იყვნენ ჩეჩენი კაზბეკ დუკუზოვი, მისი ძმა მუჰამედი, მუსა ვახაევი, ედილ სულტანოვი და სხვები“**, - წერია რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში, რომელიც მოსამართლე ვლადიმერ უსოვმა ბოლო სასამართლო პროცესზე წაიკითხა.



*ხლებნიკოვის მკვლელობაში ბრალდებულები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.*

საბრალდებო დასკვნაში პროკურატურამ დაწერა, რომ, გარდა ხლებნიკოვის მკვლელობისა, ჯგუფის წევრებმა ჩეჩნეთის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იან სერგუნინიც მოკლეს.

რუსული გაზეთის „ვრემია ნოვოსტეის“ ცნობით, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მიაკვლია მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ 2004 წლის ზაფხულში მოსკოვში მომხდარ ყველაზე გახმაურებულ - პოლ ხლებნიკოვისა და იან სერგუნინის მკვლელობებს შორის კავშირი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მოკლულები ერთმანეთს არ იცნობდნენ. თუმცა, ამ ვერსიას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ სერგუნინის ოჯახის წევრები.

ერთი სიტყვით, რუსმა სამართალდამცველებმა ამერიკელი ჟურნალისტის მკვლელობის ვერსიებიდან, რომლებიც მსხვილ ბიზნესმენებთან, ვლადიმირ პუტინის მეგობრებთან, რუსეთის სპეცსამსახურებთან ჟურნალისტის დაპირისპირებას უკავშირდებოდა, ჩეჩნური კვალის დადასტურება არჩიეს და „ფორბსის“ რუსული რედაქციის ხელმძღვანელის მკვლელობაც გახსნილად გამოცხადდა.

განსასჯელები ამერიკელი ჟურნალისტის მკვლელობასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფდნენ. მკვლელობის გახსნას და გენერალური პროკურატურის ვერსიას, ასევე, ეჭვით უყურებენ ჟურნალისტებიც, ხლებნიკოვის მეგობრები.

ჟურნალ „ფორბსის“ რუსული ვერსიის გამომცემელმა ლეონიდ ბერშიდსკიმ რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ **„ამ საქმეში ჩეჩნური კვალის არსებობის შესახებ ჩვენც გვსმენია. ეს ვერსია იქიდან წამოვიდა, რომ ხლებნიკოვმა ერთ-ერთი საველე მეთაურის ინტერვიუს სახით დაწერა წიგნი ჩეჩნეთსა და ტერორიზმზე. თუმცა, ეს ვერსია სერიოზულად არასოდეს აღგვიქვამს“**, - განაცხადა ბერშიდსკიმ.

ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი ოლეგ პანფილოვიც მიიჩნევს, რომ ხლებნიკოვის მკვლელობაში ჩეჩნების მონაწილეობა ძალზე საეჭვოა.

**„ჩეჩნურ კვალზე საუბარი მხოლოდ პოლ ხლებნიკოვის წიგნიდან გამომდინარე შეიძლება, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ეს სიმართლესთან ახლოს იყოს. თითქმის გამორიცხულად მიმაჩნია, რომ ჩეჩნებს ამ სახით ყურადღების მიქცევა სურდეთ**, - ამბობს პანფილოვი, - **მაინც მგონია, რომ აქ რაღაც დამთხვევას ან მიზანმიმართულ კამპანიას უნდა ჰქონდეს ადგილი. ვფიქრობ, სამართალდამცველი ორგანოები ამ შემთხვევაში „ჩეჩნური კვალის“, ასე ვთქვათ, „ყურით მოთრევას“ ცდილობენ“.**

**„მათ სურდათ აბსურდი დაემტკიცებინათ, თითქოს მე ვიყავი ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და ამ ორგანიზაციის ლიდერის სიძე, მაგრამ ვერაფერი გამოუვიდათ,“** - განაცხადა ვერდიქტის გამოტანის შემდეგ გათავისუფლებულმა სადრედტინოვმა.

**„წელიწადნახევრიანი უკანონო პატიმრობისთვის მინიმუმ მილიონ ნახევარი დოლარი უნდა გადამიხადონ, ჩემი წვალება უფრო მეტიც ღირს“**, - განუცხადა ჟურნალისტებს კაზბეკ დუკუზოვმა.

6 მაისს, მკვლელობაში ბრალდებულებისთვის გამოტანილ გამამართლებელ ვერდიქტს გამოეხმაურა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია.

**„რუსეთის ხელისუფლებას ვთხოვთ, გააკეთონ ყველაფერი - იპოვონ და დასაჯონ პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის შემსრულებლები და შემკვეთები. ამ საქმეში რუსეთის ხელისუფლებას დახმარებას ვთავაზობთ“**, - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტისა და ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

გამამართლებელ ვერდიქტს ეთანხმებიან ხლებნიკოვის ოჯახის წევრები.

**„ჩვენ მივესალმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას. ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი გამოიტანეს იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომელიც მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს. გამოტანილ ვერდიქტს ვღებულობთ,“** - განაცხადეს ხლებნიკოვის ოჯახის წარმომადგენლებმა, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებას თხოვენ გააგრძელონ საქმის გამოძიება.

**„საბოლოოდ დავკმაყოფილდებით მაშინ, როცა დაისჯებიან არა მარტო მკვლელები, არამედ შემკვეთებიც. ისინი, ვინც პოლის მკვლელობის ბრძანება გასცეს. რუსეთის ხელისუფლებას ვთხოვთ, მიიღონ აშშ-ს ხელისუფლების წინადადება, დახმარების თაობაზე,“** - განაცხადა პოლ ხლებნიკოვის ძმამ მაიკლ ხლებნიკოვმა.

მოსკოვის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელ ვერდიქტს რუსეთის გენერალური პროკურატურა რუსეთის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

**„განაჩენის სამართლიანობას უზენაესი სასამართლო განიხილავს და საბოლოო სიტყვას ის იტყვის,“** - განაცხადა ბრალმდებელმა პროკურორმა დიმიტრი შოხინმა. რუსეთის უზენაესი სასამართლო გენერალური პროკურატურის სარჩელს, სავარაუდოდ, დღეს მიიღებს.

## მკვლელობის საქმის შეწყვეტის მოთხოვნა

ასლან აბაშიძის ადვოკატი გენერალური პროკურატურისგან აჭარის ყოფილი მეთაურის წინააღმდეგ განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვს. საუბარია, „პოლიტიკური მოძრაობა „მრგვალი მაგიდის“ აჭარის რეგიონალური მოძრაობის სპიკერის ნოდარ იმნაძის მკვლელობაზე. იმნაძის მკვლელობა 1991 წლის 30 აპრილს, ასლან აბაშიძის კაბინეტში მოხდა.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად საქმე აჭარის ავტონომიის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის წინააღმდეგ განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, თუმცა მაშინდელმა პროკურატურამ დაასკვნა, რომ ასლან აბაშიძემ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების მიზნით ჩაიდინა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილად ასლან აბაშიძე 15 წლის შემდეგ გამოცხადდა. იმნაძის განზრახ მკვლელობის მუხლით, მას ბრალდება რამდენიმე თვის წინ, დაუსწრებლად წარუდგინეს და ასევე დაუსწრებლად, წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს.

„ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობის ბრალდება ასლან აბაშიძეს 2006 წელს წაუყენეს, მაშინ, როცა, კანონით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, პროკურატურას ბრალის წაყენების უფლება არ ჰქონდა. 1991 წელს (როცა იმნაძე მოკლეს) მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, განზრახ მკვლელობაზე პირის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა 10 წელი იყო, დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი, ეს ვადა 15 წლამდე გაიზარდა“, - აცხადებს ასლან აბაშიძის ინტერესების დამცველი. მისივე განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონის ახალ ნორმას უკუქცევითი ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა იგი პირის პასუხისმგებლობას ამსუბუქებს.

„ამ შემთხვევაში, იმნაძის მკვლელობიდან 10-წლიანი ვადა 2001 წელს ამოიწურა, აღნიშნული დანაშაულისთვის 2006 წელს პირისთვის ბრალის წაყენება დაუშვებელია“, - ირწმუნება ასლან აბაშიძის დამცველი. აბაშიძის წინააღმდეგ აღძრული საქმის შეწყვეტის შუამდგომლობით, საქართველოს გენერალურ პროკურორს მან ორჯერ მიმართა, თუმცა ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.

„ვინაიდან ასლან აბაშიძე პასუხისგებაში გენერალურმა პროკურორმა მისცა, ჩემს შუამდგომლობაზე პასუხის გაცემის უფლება ზურაბ ადეიშვილზე ნაკლები რანგის პროკურორს არ გააჩნია“, - აცხადებს აჭარის ყოფილი მეთაურის ადვოკატი.

*ინტერპრესნიუსი*

## გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს საპატიმრო ვადა გაუგრძელეს

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობის ორთვიანი ვადა ამოეწურათ. როგორც სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი აცხადებს, კანონით, ამ ეტაპზე ბრალდების მხარემ დაკავებულებისთვის ან წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე უნდა იზრუნოს, ან მათ წინააღმდეგ აღძრული საქმე განხილვისთვის სასამართლოს გადასცეს, ან ბრალის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, დაკავებულების წინააღმდეგ აღძრული საქმე უნდა შეწყვიტოს და ისინი გაათავისუფლოს.

დაზარალებულის ადვოკატს თბილისის პროკურატურისგან, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს - კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილ უფროსს გია ალანიას, ამავე დეპარტამენტის ყოფილ ოფიცრებს ავთანდილ აფციაურს, ალექსანდრე ღაჭავას და მიხეილ ბიბილურს თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ერთი თვით გაუგრძელა. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, გამოძიებას საქმის მოკვლევისთვის წინასწარი ოთხთვიანი ვადა გააჩნია, რის შემდეგაც, საქმე არსებითი განხილვისთვის სასამართლოს უნდა გადაეცეს.

*24 საათი*

## 20 ათასი ლარი ბრალდებული სამართალდამცველის თავისუფლების სანაცვლოდ

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის თორნიკე საჯაიას ადვოკატი დღეს საჩივარს თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გუშინწინ გამოტანილი იმ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, რომლის მიხედვითაც, მისი დაცვის ქვეშ მყოფს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა.

ადვოკატი ირწმუნება, რომ სამართალდამცველებმა საჯაიას ბრალი ხელოვნურად დაუმძიმეს. ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს საჯაიას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს სახით 20 000 ლარის გადახდას შესთავაზებს. საჯაიას ინტერესების დამცველი უახლოეს დღეებში იმ დოკუმენტაციის საჯაროდ გამოქვეყნებას გეგმავს, რომლის მიხედვითაც, მისი განმარტებით, ბრალდებულის უდანაშაულობა დასტურდება.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე საჯაია რამდენიმე დღის წინ დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, მათ შორის მტკიცებულების ფალსიფიკაციისა და განზრახ უკანონო დაკავება-დაპატიმრების მუხლებით წაუყენეს. გამოძიება თორნიკე საჯაიას თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს. საუბარია იმ პერიოდზე, როდესაც საჯაია ფოთის პოლიციის უფროსი იყო.

*ინტერპრესნიუსი*

## მკვლელობა შილდაში

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში შემზარავი მკვლელობა მოხდა. 27 წლის თემურ ხატიაშვილმა მამის მოკვლა გადაწყვიტა. მამისთვის მოქნეული დანის მსხვერპლი, მისი ძმა, 21 წლის მიხეილი ხატიაშვილი გახდა.

ყვარლის რაიონში პირველი შემთხვევა არ არის, როცა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მკვლელობა ხდება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ რაიონში უკვე მეხუთე შემთხვევა მოხდა.

თემურ ხატიაშვილმა, რომელიც სასჯელს ყაჩაღობის ბრალდებით იხდიდა და ციხიდან შვიდი თვის წინ გამოვიდა, შურისძიება მამაზე გადაწყვიტა. მამისთვის დასარტყმელად გამეტებულ დანას თემურის ძმა, 21 წლის მიხეილ ხატიაშვილი გადაეფარა, რომელმაც მძიმე ჭრილობა მიიღო და რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

რას ედავებოდა თემურ ხატიაშვილი მამას, ამაზე სოფელში არ საუბრობენ. მეზობლები მხოლოდ იმ დეტალებს იხსენებენ, რომ მკვლელობის ღამეს ხატიაშვილებს სტუმრები ჰყავდათ და ძალზე ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ.

სამართალდამცველებმა თემურ ხატიაშვილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს, რომელმაც დაკავების დროს პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია.

ამჯერად, მკვლელობაში ბრალდებული თემურ ხატიაშვილი უკვე ციხეშია გადაყვანილი. მის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე 109 მუხლით აღიძრა, რომელიც პატიმრობას 10 დან 15 წლამდე ითვალისწინებს.

*24 საათი*









## ცვლილება 04.05.2006 წელს შ.ს.ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ოფიციალური ვიზიტებისა და სტუმრების მომსახურების ტენდერის ჩატარების შესახებ

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | ბანკეტების და ოფიციალური სადილების გამართვა (ევროპული და ქართული კერძები, სხვადასხვა სახის სასმელები) | 250 პერსონამდე | მიწოდების ადგილი მოთხოვნილების შესაბამისად |
| ლოტი | სხვადასხვა სემინარებისა და კონფერენციების მომსახურება (ყავა, ჩაი, ნამცხვარი, მინერალური წყლები, შესვენებებზე მცირე სადილი) | 300 პერსონამდე | მიწოდების ადგილი მოთხოვნილების შესაბამისად |

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტი**

**არსი**
**არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი**
**1989 წლიდან**

## "არსის" რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

### უძრავი ქონება - კაპიტალის დაბანდების საუკეთესო საშუალება

**.ადამიანთა დიდი უმრავლესობისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი საცხოვრებელი ბინა, ან სხვა სახის უძრავი ქონებაა. ამიტომაც ჩვენი მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება ინფორმაცია იმ ფაქტორების თაობაზე, რომლებიც განსაზღვრავს უძრავი ქონების ფასს, მის ზრდის თუ კლების ტენდენციებს.**

სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ჩვენი დღევანდელი თემა - **"ფასების დინამიკა Sუძრავი ქონების ბაზარზე".**

ბინის შეძენისას, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი რაზეც მყიდველი აქცენტს აკეთებს ეს არის მისი ფასი. უკნასკნელი სამი წლის განმავლობაში ბინების ღირებულება 2-3-ჯერ გაიზარდა. ექსპერტთა გათვლებით, ფასები უძრავ ქონებაზე მომავალში კიდევ უფრო აიწევს, რასაც მოსახლეობის დიდი ნაწილიც ეთანხმება. თუმცა არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ბინების გაიაფებას ელიან იმ იმედით, რომ ქვეყანაში ბინათმშენებლობა პიკს აღწევს, ჭარბი პროდუქტი იქმნება, უფრო მეტიც, შესაბამისი არგუმენტიც კი მოჰყავთ, დღეს უძრავი ქონების ბაზარზე მოწოდება უსწრებს მოთხოვნას. თუმცა უძრავი ქონების გაიაფებას ახლო მომავალში არ უნდა ველოდოთ, უფრო მეტიც, ფასები ახალ აშენებულ ბინებზე კიდევ უფრო გაიზრდება, რაც შემდეგ ფაქტორებით აიხსნება:

**1. ნორმალური საცხოვრებელი ფართის დეფიციტი** - მიუხედავად დღეს გაჩაღებული ბინათმშენებლობისა, დედაქალაქში ნორმალური საცხოვრებელი ფართის დეფიციტია. მოწოდება, როგორც მშენებარე, ასევე აშენებულ ბინებზე მოთხოვნას წინ ვერ უსწრებს. გარდა ამისა, აშენებული ბინები გაცილებით მეტი იყიდება, ვიდრე მშენებარე. თუმცა, გასათვალისიწნებელია, რომ მომავალში მოთხოვნა ახალაშენებულ და მშენებარე ბინებზე მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც უძრავი ქონების გაძვირების ერთ-ერთი წინაპირობაა. კერძოდ, დედაქალაქის საბინაო ფონდის ძირითადი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია, ის ბინებიც რომელიც ჯერ ანალოგიურ მდგომარეობამდე არ მისულა, ელემენტალურ პირობებს, არასწორი დაგეგმარების, თუ მოძველებული ინფრასტრუქტურის გამო, ვერ აკმაყოფილებს.

გარდა ამისა, შეინიშნება ახალი ტენდეცია, ახალ და მშენებარე ბინებს ყიდულობენ ის პირები, რომლებიც საქართველოში არ ცხოვრებენ და უახლოეს მომავალში აპირებენ რეპატრიაციას, ან უბრალოდ სურვილი აქვთ სამშობლოში ჰქონდეთ სახლი.

**2. მშენებლობის გაძვირება** - მსოფლიოში ენერგომატარებლები დღითიდღე ძვირდება, რაც პირდაპირ აისახება მშენებლობის ხარჯებზე. კერძოდ, ძვირდება სამშენებლო მასალები, მომსახურება და ასე შემდეგ. შესაბამისად, იზრდება და მომავალშიც გაიზარდება აშენებული ფართების ღირებულება, სხვაგვარად სამშნებლო კომპანიები გაწეულ ხარჯებს ვერ დაფარავენ, წაგებაზე გასვლას კი ბუნებრივია არცერთი კომპანია არ ისურვებს. და თუ პროდუქციის რეალიზაცია არ მოხდა, ეცდებიან მშენებლობა დააკონსერვონ ან მორიგი მეშენებლობა აღარ წამოიწყონ. მოვლვენების მოცემული სცენარით განვითარების შემთხვევაში ბაზარზე მიწოდება შემცირდება, რასაც თავის მხრივ კვლავ ფასების ზრდა მოჰყვება, რომელმაც შესაძლოა საწყის ნიშნულს მნიშვნელოვნად გადააჭარბოს.

**3. ეკონომიკური პროცესები** - უძრავი ქონება ის პროდუქტია, რომელზეც ფასები მუდმივად იზრდება. მართალია, არსებობს შემთხვევები, როდესაც ბინებზე ფასები ეცემა, მაგრამ, როგორც წესი, ეს დროებით ხასიათს ატარებს. ეს განპირობებულია, უძრავი ქონების შეზღუდული მოცულობით, რაც ვერ უზრუნველყოფს არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამიტომაც არის რომ, მასზე ფასები მუდმივად მატულობს. ამის თანმდევი ფაქტორია საზოგადოებაში ახალი შემოსავლების გაჩენა, ანუ შესამოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება მათი მოთხოვნილებაც, ჩნდევა რესურსი რამდენიმე საცხოვრებელი სახლი შეიძინონ.

და მაინც, რამ შეიძლება გამოიწვიოს ფასების დაცემა:

**1. მწვავე კრიზისი** - ფასების დაცემა, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით, რის გამოც მოსახლეობა ხდება გადახდისუუნარო ან გამორიცხული არ არის უძრავი ქონების შეძენა არაპოპულარული ან სახიფათოა. თუმცა, გასათავლისწინებელია, რომ ფასები დაცემა ქვეყანაში ყოველთვის დროებით ხასიათს ატარებს, ის ზღვრულ დონეს მალე უბრუნდება, უფრო მეტიც, ზრდას განაგრძობს.

**2. ჭარბი პროდუქტი** - ფასების დროებით დაცემა შესაძლებელია გამოიწვიოს ჭარბი პროდუქტის წარმოქმნამ. საბინაო ფონდის ავარიული მდგომარეობა და საცხოვრებელ ფართზე მზარდი მოთხოვნა ფასების ვარდნას გამორიცხავს. ამ ფაქტორმა შესაძლებელია გავლენა იქონიოს მხოლოდ უხარისხო მშენებლობებზე, ეს საფრთხე წარმატებულ სამშენებლო კომპანიებს არ ემუქრებათ.

ალბათ ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ უძრავი ქონების ბაზარზე ფასების დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებაში. თუმცა დასკვნების გაკეთებისას გაითვალისწინეთ, რომ უძრავი ქონება ისეთი პროდუქტია, რომელზეც ფასები გრძელვადიან პერიოდში (5 წელი) აუცილებლად იმატებს, თუ ამ პერიოდში, ომი, რაიმე კოკატასტროფა, ეპიდემია, ან მძიმე ეკონომიკური კრიზისი არ მოხდა,

ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

მომავალი ორშაბათის თემაა: რა მინიმალური მოთხოვნებია გასათვალისიწნებელი ბინის შერჩევისას. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

*გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე,*
*"არსის" აღმასრულებელი დირექტორი ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ*

**დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია '"არსი"**
**ტელ: 25-19-04**
**info@arci.ge, www.arci.ge**

# მუსიკა ჩუმი ფრანგულით

სოფო კილასონია



სანამ კონცერტს გამართავდა მას უჩვეულო პრესკონფერენცია მოუწყვეს. რიშერ გალიანო ქართული ხალხური ცეკვა-სიმღერით ისე მოიხიბლა, კონცერტის მერე გვითხრა, რომ ტირილი მინდოდაო. 4 მაისს პრესკონფერენცია არ იყო ყველაზე საინტერესო. დაუვიწყარი რამ მისი თბილისელი თაყვანისმცელისთვის საღამოს მოხდა, როცა კვარტეტი „ტანგარია“ პასტელურ ფერებში განათებულ ცარიელ სცენაზე დადგა. თუმცა არა, სცენაზე სიცარიელე არ ყოფილა. იქ ყველაფერი იყო, რისი დანახვაც მხატვრულად თუ მუსიკალურად მოაზროვნე ადამიანს გაახარებდა. კონტრაბასი, ვიოლინო, ნაირფეროვანი ტამტამები და, რა თქმა უნდა, აკორდეონი.

ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი ბოლომდე შეივსო. იყვნენ ისინი, ვინც გალიანოს მუსიკას იცნობდნენ და ისინიც, ვინც მიხვდა, რომ თეატრში მისვლით ნამდვილად არ ინანებდა. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები თუ ხელოვანები, როგორც ხდება ხოლმე, დასწყისში ერთნაირი მოლოდინითა და განყენებულ თემებზე მუსაიფით ერთობოდნენ, სულ ბოლოს კი ერთნაირ, შეძახილებსა და უწყვეტ აპლოდისმენტებს აგებებდნენ მათთვის შესრულებულ მუსიკას, რომელშიც უცნაურად აღმაგზნები ნაზავი იყო ლათინოამერიკული ტანგოსი და ფრანგული შანსონისა.

როცა გამოვიდნენ, არაფერი უთქვამთ, მხოლოდ მუსიკა იყო. მუსიკა იყო ბოლომდე, თუმცა მას შიგადაშიგ მაყურებლის ემოცია აჩუმებდა, ხანდახან კი რიშერ გალიანოს ჩუმი ფრანგული, დაახლოებით ასეთი წყობის: „მოგესალმებით, ეს იყო არგენტინული ტანგოს თემაზე შესრულებული კომპოზიციები, ახლა პიაცოლას „ბანდონიერას“ დროა“. გასაგებია, რომ ყველამ, იცოდა თუ არა ფრანგული, პიაცოლა გაიგონა და გაიგო. იყო კიდევ მისი „ლიბერტანგო“, რომელმაც კიდევ ერთხელ მოგვაგონა თავი, გაგვახსენა როგორია ის, არა უბრალოდ თავისუფალი, არამედ დაუსრულებელიც, ზუსტად ისეთი უსასრულო ბიძგებისა, რაველის ბოლერო რომ არის, თუმცა სულ სხვა „რეგისტრისა“ და სულ სხვა „ამბებით“.

პიაცოლა არ იყო 4 მაისს მთავარ როლში, სულაც არა. არაერთი კომპოზიცია შესრულდა თავად გალიანოსი, კიდევ სხვებიც, სადაც ხან ფრანგული მოტივები მძლავრობდა, ხანაც „ზანგური ჯაზისა“. „ტანგარიას“ მუსიკალურ მოტივებს ვერ ჩამოვთვლი, ძალზე ფართო იყო ამ მუსიკალური ჰიბრიდების სპექტრი.

კონცერტს მოსვენება არ ჰქონია, მაგრამ არც არავინ დაღლილა. დასასრულისკენ თითო-თითო სოლო კომპოზიცია ყველა მუსიკოსმა შეასრულა. აკორდეონი რომ ვიოლინოს უხდებოდა, კარგად ვიცოდით, მაგრამ მსმენელი გალიანოს ინსტრუმენტისა და კონტრაბასის შეხამებით განსაკუთრებულად აღტაცდა. რა თქმა უნდა, იყო „ბის!“, თანაც რამდენიმე. მაგრამ კიდევ იყო მუსიკოსების პრომენადე მაყურებელთა დარბაზში, როცა სცენაზე დაწყებული ტანგო დარბაზში გაგრძელდა, მერე რამდენიმე წუთი მოლოდინისა და თეატრის დერეფნებიდან შემომავალი დაკვრის ხმა, ასე იყო სანამ მუსიკოსები სცენას დაუბრუნდებოდნენ და ხელახალი დაბრუნებისთვის დამატებითი აპლოდისმენტების კიდევ ერთ ტალღას გაუძლებდნენ.

„თაგის არტის“ მორიგი პროექტი დასრულდა, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მომხიბვლელი პროექტი. თუმცა ვინ იცის, კიდევ რას, ანდა რომელ ლეგენდას შემოგვთავაზებენ ამ სახელწოდების მიღმა არსებული ადამინები, რომლებმაც გალიანოს თბილისური გასტროლისთვის, როგორც ჩანს, ბევრზე ბევრი იშრომეს.

# თბილისის ქუჩების ჯაზი

## წლევანდელი ჯაზ-ფესტივალის ბილეთები განსაკუთრებული მეთოდითაა დაცული

ია ვეკუა

თბილისის მეათე ჯაზ-ფესტივალის პროგრამისა და სიახლეების შესახებ თქვენ უკვე იცით. ამჟამად კი იმ დამატებით პროგრამას გაგაცნობთ, რომელიც თბილისელი ჯაზის მოყვარულებისთვის კომპანიებმა „ისტერნ პრომოუშენმა“ და „M-ჯგუფმა“ მოამზადეს.

პროგრამა სახელწოდებით „ჯაზი ძველ თბილისში“ სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება და იმ „უქმე“ დღეებს შეავსებს, რომლებიც Jamiroquai-სა და ჰერბი ჰენკოკის კვინტეტის კონცერტებს შორის გველოდება. თუ ქვემოთ მოყვანილ პროგრამას გადაავლებთ თვალს, თავად დარწმუნდებით, რომ ფესტივალის ორგანიზატორები მოდუნების უფლებას არ გვაძლევენ და ჯაზით ჩვენს „ინფიცირებას“ დაჟინებით განაგრძობენ.



„ქუჩის ჯაზის“ ლოკალიზება თბილისის ყველაზე ცნობილ შარდენის ქუჩასა და რკინის რიგში მოხდება. აქცია არა მხოლოდ ღიაცისქვეშეთს, არამედ ახლო-მახლო მდებარე თითქმის ყველა კაფეს, ბარსა და რესტორანს მოიცავს.

„ჯაზი ძველ თბილისში“ 23 ივნისს, Jamiroquai-ს კონცერტის მომდევნო დღეს დაიწყება. „მეიდან კლუბში“ საღამოს 11 საათზე დაიწყება ჯეი ქეის ქუდების კარნავალი. აქ სტუმრობის მსურველებისთვის ერთი მარტივი, თუმცა კატეგორიული მოთხოვნა არსებობს: აუცილებლად უნდა აღიჭურვოთ თავსაბურავით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯეი ქეის კლანიდან გაგრიცხავენ! თუ გარდერობში ამ დღისთვის შესაფერისი ქუდი არ აღმოგაჩნდებათ, მაშინ სასურველ მოდელს ადგილზე შეარჩევთ, რადგან იქვე ქუდების გამოფენაც იგეგმება.

იმავე დღეს, ოღონდ ორი საათით ადრე, შეგიძლიათ კლუბრესტორან „თუ საიდში“ Right Side Jazz Band-ისა და თათია ხაბურძანიას კონცერტს დაესწროთ. უფრო ადრე კი შარდენის ქუჩაზე მდებარე რესტორან „ჩაინა თაუნში“, „შარდენ 12-ში“, „მეიდანში“, „შარდენ ბარში“, „სომელიერსა“ და „კრეპერში“ ქართული ჯაზბენდებისა და შემსრულებლების ჯაზურ თემებს მოისმენთ.

დაახლოებით იგივე განწყობა გაგრძელდება 24 ივნისსაც: ზემოთ ჩამოთვლილი რესტორნებისა და კლუბების ბენდები თუ სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შეკრებილი კოლექტივები საღამოს საათებიდან დაიწყებენ თავიანთი ხელოვნების დემონსტრირებას და მხოლოდ უკანასკნელი სტუმრის წასვლის შემდეგ დატოვებენ ძველი თბილისის ქუჩებს.

25 ივნისს ცვლილებაა იმ მხრივ, რომ რესტორანი „მეიდანი“ საღამოს რვა საათიდან ჯარჯი მაღალაშვილის ჯაზ-ბენდის მასპინძელი იქნება, „თუ საიდში“ კი კვლავ Right Side Jazz Band-ისა და თათია ხაბურძანიას მოსმენის შესაძლებლობა მოგეცემათ. რაკი ორივე კონცერტი ერთსა და იმავე დროს იწყება, არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. ამიტომ გირჩევთ, თათია ხაბურძანია და კომპანია 23 ივნისს დააფასოთ, რათა 25 ივნისი ჯარჯი მაღალაშვილისთვის შემოინახოთ. „ჯაზი ძველ თბილისში“ „შარდენ ბარში“ დაგეგმილი VIP წვეულებით დასრულდება, სადაც მხოლოდ განსაკუთრებული სტუმრები იქნებიან მიწვეული.

როგორც „ქუჩის ფესტივალის“ ორგანიზატორები ამბობენ, ამ დღეებში შარდენისა და რკინის რიგის მიმდებარე ტერიტორია შესაბამისი დიზაინით იქნება გაფორმებული, ხოლო ოფიციანტები თავიან უნიფორმას თბილისის ჯაზ- ფესტივალის სპეციალურ მაისურებზე გაცვლიან. ჯაზის მოსმენის გარდა, თქვენ ცნობილ ჯაზმენებთან ფოტოების გადაღებაც შეგეძლებათ. მათი ნატურალური სიდიდის ფოტოები თქვენს განკარგულებაშია - გადახვიეთ ხელი ჯორჯ ბენსონს ან ჯეი ქეის და საოჯახო ალბომს კიდევ ერთი სამახსოვრო ფოტო შემატეთ.

ახლა კი წლევანდელი ფესტივალის კიდევ ერთი სიახლე: ვისაც ბილეთების გაყალბება და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეპარვა აქვს გადაწყვეტილი, ფუჭად ნუ გაირჯება. წელს ბილეთები მაქსიმალურადაა დაცული. მაგალითად, Jamiroquai-ს კონცერტის ბილეთები პლასტიკურმა ბარათებმა შეცვალეს, რომლებიც ცხრანიშნა კოდითაა დაცული. ყველა კოდი ერთიან სისტემაშია შეყვანილი და მათი იდენტიფიკაცია მხოლოდ ფილარმონიის შესასვლელებში სპეციალურად დამონტაჟებული დანადგარებით იქნება შესაძლებელი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოში ამ ტიპის ბილეთები გაიყიდა და ალბათ მომავალშიც ამას უნდა ველოდოთ. ასევე საგულდაგულოდაა დაცული დანარჩენი კონცერტების ქაღალდის ბილეთებიც, რომლებიც წელს განსაკუთრებულ ქაღალდზე განსხვავებული მეთოდით დაიბეჭდა.

„ტუსოვკა“

# Ladoevent

სულ მალე:
ladoevent.art.ge
ladoevent@gmail.com

„ლადო ივენტები“ ყოველ პარასკეობით, საღამოს 8 საათზე „ბითლზ კლუბში“ წარმოგიდგენთ თანამედროვე კავკასიურ როკ-მუსიკას და როკ-შემსრულებლებს.

ამ ჟანრის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის ეს ერთადერთი აქციაა მთელს კავკასიაში, სადაც მუსიკის მოყვარულებს სტაბილურად შეუძლიათ მოუსმინონ კავკასიელ ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებლებს და გაეცნონ კავკასიურ თანამედროვე მუსიკას. ჩვენი სურვილია ამ აქციებით შევქმნათ ერთიანი კავკასიური მუსიკის ინფრასტრუქტურა, სადაც ეტაპობრივად განვითარდება და გავრცელდება იდეა „მშვიდობიანი კავკასიისთვის“; იდეა, რომელსაც ერთად განახორციელებენ როკ-ჯგუფები და მუსიკოს-შემსრულებლები ისეთი კონფლიქტური და დაპირისპირებული ზონებიდან როგორიც არის ჩეჩნეთ-რუსეთი, საქართველო-აფხაზეთი-ოსეთი, სომხეთი-აზერბაიჯანი.

გამომდინარე იქიდან, რომ როკ-მუსიკა დღეს კავკასიის რეგიონში არ არის პოპულარული, ჩვენ ვცდილობთ ამ აქციების საშუალებით და მასმედიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, თანმიმდევრული ეტაპებით ამ იდეის ხელშეწყობას. ჩვენ მზად ვართ სამომავლოდ ამ აქციების განვრცობისთვის კავკასიის სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში.

დღეს კი გთავაზობთ წინა კვირას გამართული საღამოს ფოტორეპორტაჟს.



*სადაც ბაკურია, იქ ხომ მუდამ ტელევიზიაც არის;*
*საღამოს სტუმარი - მუსიკოსი ბაკური ბურდული.*



*ლადოს მეგობრები: მარჯვნივ - შვეიცარიის კონსული კავკასიაში ნიკ ჯაგერი,*
*მარცხნივ - უბრალოდ მიშა ვიედერჰოლდი და სტუმარი ჰოლანდიიდან.*



*აქ არის სიჩუმე, შეხება ჩემს თავთან*
*და ფიქრი - იქნებ ჩვენი დროც დადგა*
*მილიონ ფერში მილიონ ხმაში*
*მე ვეძებ იმას, რაც მომიყვანს შენთან*



*დათო ეულის შემოქმედება ყოველთვის სავსეა*
*უცნაური ინტიმით;*
*საღამოს სტუმრები - მუსიკოსი ყორა.*



*ყველას თავისი საქმე აქვს*
*კონცერტის მსვლელობის დროს.*



*მუდამ ახალგაზრდა და სიყვარულით სავსე, ქართული როკ-მუსიკის*
*ერთ-ერთი საკულტო ქალბატონი ქეთი მესხი.*



*„მინდა წარმოგიდგინოთ ახალგაზრდა, საინტერესო მუსიკოსი*
*ბექა ქალდანი ჯგუფ „ტელესკოპიდან“.*



*ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა,*
*ფქვილი აქა - დასასრული.*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**შ.პს. "საქაერონავიგაცია" აცხადებს ტენდერს სააეროდრომო მანიშნებლების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების და გადამცემი რადიოცენტრის სარემონტო სამუშაოების ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

შესყიდვის ობიექტები:

ლოტი 1 - სააეროდრომო მანიშნებლების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

ლოტი 2 - გადამცემი რადიოცენტრის სარემონტო სამუშაოები.

დაფინანსების წყარო - შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" სახსრები.

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ შპს "საქაერონავიგაციის" შესაბამისი ობიექტების ტერიტორიაზე. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადებია 2006 წლის ივნისიდან 2006 წლის 1 სექტემბრამდე. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული. სამუშაოს დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია", ტელ: 27-43-27. დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე საკონტაქტო პირები: ეკა ბუთხუზი და ეკა გურგენაძე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 29 მაისის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ადმინისტრაციული შენობა. ინტერნეტ მისამართი: **www.airnav.ge**

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051

ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო სამუშაო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 29 მაისის 10 საათიდან 2006 წლის 29 მაისის 17 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიუდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა ან სანაციის (რეაბილიტაციის) საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ერ. სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკურმა ასევე იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ;
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესახებ.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

კონვერტს უნდა მიეთითოს: რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას.

**სატენდერო კომისია**




# შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ლოკომოტივის მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 4 მაისს გამოცხადებული იქნა ტენდერი ლოკომოტივის მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობეთ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლელბა რის მიხედვითაც ლოტი N20, 34. 35, 36, 37, 38, 39 და 40 განისაზღვროს შემდეგი სახით:

| ლოტი | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ლოტი №20 | დენმიმღები პ-5-ის თხილამური(მკოკი) | ც | 100 |
| | დენმიმღები პ-5-ის ეტლი | ც | 80 |
| | დენმიმღები პ-5-ის კონუსური მილი | ც | 200 |
| | დენმიმღები პ-5-ის რკინის თხელკედლიანი მილი | გრ.მ | 500 |
| ლოტი №34 | შალის ძაფი | კგ | 1600 |
| ლოტი №35 | ძენძი | კგ | 6000 |
| ლოტი №36 | საკიპერო ლენტა | კგ | 400 |
| ლოტი №37 | ლაქი საიზოლაციო ფლ-98 | ცალი | 5000 |
| ლოტი №38 | ქსილოლი | ცალი | 2000 |
| ლოტი №39 | წყვილთვალების არტახები | ცალი | 278 |
| ლოტი №40 | ჩასადუღებელი მავთული | ტ | 6 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობის შესაბამისად.

# განცხადება

## სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს 0.4-6-10 კვ- ის მოწყობილობების შეკეთებისათვის საჭირო მასალების შესყიდვაზე

**მარჯანიშვილის ქ. N16ა. თბილისი, 0102 ტ:911192**

შესყიდვის ობიექტებია:

| ლოტი | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საიზოლაციო ლენტა მაღალი ძაბვის | | კგ | 100 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 15.06.06-15.07.06 |
| | საიზოლაციო ქაღალდი 0,1 მმ სისქის | | კგ | 200 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | ბამბის ლენტი „კიპერნი" 35 მმ სიგანის | | მ | 4 000 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | საგრაგნილე მავთული 0,315 | | კგ | 100 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ალუმინის კაბელების გადასაბმელი მილისა 95მმ2, (ვაზნა) | | ცალი | 300 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ალუმინის კაბელების გადასაბმელი მილისა 120მმ2, (ვაზნა) | | ცალი | 400 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ალუმინის სადენი, საგრაგნილე, ქაღალდის იზოლაციით | 3,45 მმ2 | კგ | 640 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | 3,60 მმ2 | კგ | 650 | | |
| | | 4,15 მმ2 | კგ | 80 | | |
| | | 5,75 მმ2 | კგ | 500 | | |
| | | 9,60 მმ2 | კგ | 90 | | |
| | | 10.0 მმ2 | კგ | 90 | | |
| | სწორკუთხა ალუმინის სადენი, საგრაგნილე, ქაღალდის იზოლაციით | 15,5 მმ2 | კგ | 400 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | 22,5 მმ2 | კგ | 680 | | |
| | | 25,0 მმ2 | კგ | 200 | | |
| | | 30,5 მმ2 | კგ | 600 | | |
| | | 50,0 მმ2 | კგ | 360 | | |
| | | 54,0 მმ2 | კგ | 220 | | |
| | | 44,0 მმ2 | კგ | 250 | | |
| | | 80,0 მმ2 | კგ | 150 | | |
| 1 | ფტოროპლასტის ლენტი 0,15 მმ | | კგ | 200 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 15.06.06-15.07.06 |
| | ლაკოქსვილი ლკმ-105-0,15 მმ2 | | მ2 | 200 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | ლაკოქსვილი ლკმს - 105-0,15მმ2 | | მ2 | 200 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | ლაკოქსვილი ლსმმ-105/120-0,24 მმ2 | | მ2 | 200 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | რეზინის შუასადები, ზეთმედეგი | 4 მმ სისქის | კგ | 200 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | 6 მმ სისქის | კგ | 400 | | |
| | | 8 მმ სისქის | კგ | 600 | | |
| | | 10 მმ სისქის | კგ | 600 | | |
| | ლატუნის ღერო 12 მმ2 | | კგ | 40 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | | | 40 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო 16 მმ2 | | კგ | 50 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | | | 50 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო 20 მმ2 | | კგ | 60 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | | | 60 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო 27 მმ2 | | კგ | 60 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | | | 60 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 19 | | კგ | 50 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 27 | | კგ | 60 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 32 | | კგ | 70 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 36 | | კგ | 70 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | საპოხი "ლიტოლ 24"-ის ანალოგიური | | კგ | 40 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |
| | | | | 80 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | სპილენძის ღერო =22მმ | | კგ | 80 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | სპილენძის ღერო =32მმ | | კგ | 100 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 19 | | კგ | 50 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 27 | | კგ | 60 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 32 | | კგ | 70 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | 15.06.06-15.07.06 |
| | ლატუნის ღერო ექვსგრანიანი 36 | | კგ | 70 | მცხეთა (საწყობი ნარეკვავზე) | |
| 2 | სატრანსფორმატორო ზეთი 1500 | | ტონა | 20 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2006 წლის 15 ივნისიდან 2006 წლის 15 ივლისის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 29 მაისიდან 1 ივნისის 1600 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით (რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთ დახურულ კონვერტში) და ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია - ხელშეკრულების ჯამური ღირებუყლების 5 %-ის ოდენობით (რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში).

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 30 ივნისის ჩათვლით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
5. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი ფიზიკური პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. . ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
4. ცნობა ბანკიდან ანგარიშის თაობაზე;
5. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მარჯანიშვილის ქ. N16ა, მეორე სართული. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე**: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905, სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარი.** პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის I ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) **ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. E-mail : giwi.khvedaguridze@uedc.ge**

ნოდარ ლადარია




ოდესღაც ერთი ჩემი მოსკოველი კოლეგის ქმრისგან, რომელიც პროფესიით ექიმი იყო, ერთი ამბავი გავიგე და სულ ახლახან სადღაც ამოვიკითხე კიდეც იგივე ისტორია. ეს ამბავი, როგორც ეტყობა, ერთგვარი სტუდენტური სამედიცინო ფოლკლორია. მოკლედ, სტუდენტები იკრიბებიან სასამართლო მედიცინის პირველ ლექციაზე, რომლის შემდეგ პროფესორი აცხადებს: ხვალ ოთხი საათისთვის აქვე მობრძანდებით გაკვეთაზე. ერთი განსაკუთრებით გამბედავი გოგონა კითხულობს: კი მაგრამ, ვისი გაკვეთა იქნება? რაზეც პროფესორი მიუგებს: გოგონი, ეს კლინიკური კი არა, სასამართლო პროზექტურაა, ასე რომ ჩვენი გვამი ამ წუთას ჩვენზე ცოცხალია და იმის აინუნშიც არაა, რომ ხვალ პათანატომიური გამოკვლევა აქვს დანიშნული და სტუდენტებიც დაბარებული...

ვისაც ჰგონია, რომ საუბარი **მაია ნიკოლეიშვილზე** გვექნება, იმედი უნდა გავუცრუო — ასეთ საგნებზე მსჯელობით მკითხველს ვერ მოვაცდენ.

ჩვენი თემა გაცილებით უფრო ღრმაა. ზოგადად მივუდგეთ ზემოთ მოყვანილ ანეკდოტს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ აქ საქმე გვაქვს ეგრეთ წოდებულ პროფესიულ ცინიზმთან. ექიმებს განსაკუთრებით ახასიათებთ ეს თვისება, მაგრამ დანარჩენი პროფესიებიც წარმოუდგენელია ცინიზმის შესაბამისი წილის გარეშე. ახლა კი დავფიქრდეთ: არ გაშფოთებთ, რომ ქართულ კულტურაში ასე მცირე ადგილი უკავია შავ იუმორს? — ჩემი აზრით, ეს გარემოება მიანიშნებს, რომ მარადიული არაპროფესიონალიზმისთვის ვართ განწირულნი. საზოგადოება, რომელიც მზად არ არის ჯეროვნად დააფასოს ცინიზმი, რომელიც არ გამოიმუშავებს ჯანსაღი ცინიზმის მაცოცხლებელ დოზებს, ვერასოდეს ამობობღდება უნიჭო სწორხაზოვნების უფსკრულიდან.

პირადად მე ორი ქართველისაგან შევსწრებივარ შემოქმედების დონეზე აყვანილი ცინიზმის უნარს. ერთი მათგანი ჯერაც ცოცხალია. მაგრამ ორივეს ერთი და იგივე სენი სჭირდა: როგორც კი საქმე საჯარო გამოსვლაზე მიდგებოდა, მთელი მათი ნიჭი ერთსა და იმავე გამოხატულებას პოულობდა: ორივენი სრულიად ურცხვად ტრანსფორმირდებოდნენ ხოლმე იმ იაფფასიანი მელოდრამატული ეფექტების ნიმუშად, რასაც, მათი გაგებით, ხალხი მოელის. ზუსტად ამგვარი უშნო და უსახური მელოდრამატიზმის გამოვლინებად უნდა იქნეს მიჩნეული თითქმის ყველა რეაქცია, რაც თბილისის ცენტრში ორი შეიარაღებული პირის ლიკვიდაციას მოჰყვა.

აქ კი საყოველთაო არაპროფესიონალიზმის კიდევ ერთ გამოვლინებას ვაწყდებით, რაც ცინიზმის უქონლობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია: სტილის გაურკვევლობა. თუმცა სისტემურად მივუდგეთ საქმეს...

**პოლიცია**. ერთი შეხედვით პირველ დღეს სხვა რა უნდა მოგვესმინა. მაგრამ მაინც დარჩა გაურკვევლობა — ყველაფერი მართლაც ასე ზუსტად და უნაკლოდ ჩატარდა, თუ საქმე გვაქვს საბჭოთა ტრადიციის რეციდივთან? ხომ გახსოვთ უკვდავი ფრაზა: "რის შემდეგაც სამხრეთ-კორეული თვითმფრინავი გასცილდა საბჭოთა რადარების კონტროლის სფეროს"... არა, არც ერთი ჭკუათმყოფელი არ ელის იმას, რომ ისინი, ვინც გუშინ მხოლოდ იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ კამერებში ფარულად და დაუსჯელად უსწორდებოდნენ ადამიანებს, დღეს ისე ჩაატარებენ უფაქიზეს ოპერაციებს, როგორც ჩემი მუსიკის მასწავლებელი მთხოვდა ხოლმე, მე კი უხერხულად ვიყურებოდი ჭერში: თავიდან ბოლომდე, ტემპში და უშეცდომოდ. საქმე ისიც არაა, რომ გუშინდელი და დღევანდელი პოლიცია სხვადასხვა ადამიანებითაა დაკომპლექტებული: ჯერ ერთი, ეს სხვადასხვაობა არც ისე რადიკალურია, როგორც ბევრს სურს ან ჰგონია, მეორეც — გუშინდელი კორუმპირებული ახვარიცა და დღევანდელი სამართლიანობით გულანთებული პატრულიც ერთი და იმავე ბედკრული საქართველოს შვილები არიან, ადამიანებზე კი, გარემოებათა ამჟამინდელი მოთხოვნების გარდა, ბევრი სხვა, უფრო ღრმა ფაქტორიც მოქმედებს, ეს ფაქტორებიც არავის გაუუქმებია.

სწორედ პროფესიულმა ცინიზმმა და სტილის გრძნობამ უნდა უკარნახოს ადამიანს, რომ მასალის მოწოდების ოდნავ უფრო გაუბედავი ტონი უფრო მეტ ნდობას აღძრავს მსმენელში, ვიდრე **დონაძის** მოგონილი ტელეგადაცემების დამახასიათებელი ყალბი სიმხნევე.

**პოლიტიკოსები**. ამათ სტილის უქონლობისა და უსახური მელოდრამატიზმის კიდევ უფრო ყბადაღებული ნიმუშებით

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



გაგვახარეს. მხოლოდ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდეთ. კაცმა რომ თქვას, **კახა კუკავა** თავისი პარტიის ორივე ლიდერს აშკარად ჯობნის მჭევრმეტყველებით: მის ლაპარაკს არც 1990-იანი წლების მიტინგთა ამძაღებული გემო ეტყობა და არც მსმენელის ზნეობის გამთელავი სპეცეფექტები. და მაინც, რატომ ხდება, რომ ყოველ ჯერზე წინასწარ იცი, რას იტყვის? თანაც აშკარაა, რომ ეს შესაშური სიმტკიცე არაა გამოწვეული განსაკუთრებული პრინციპულობით — ამ უკანასკნელის დემონსტრაციას შესაბამისი შინაარსობრივი დაძაბულობა სჭირდება, რომელსაც ჩვენი ორატორი უმრავლეს შემთხვევაში ვერ აღწევს ხოლმე.

მაგრამ ჩვენ აქ იმიჯმეიკერობის სახელმძღვანელოს არ ვწერთ. ჩვენ უფრო მარტივი რამის თქმა გვწადია: მთელი ეს ერთფეროვანი და საბრძოლო მზადყოფნის წარმოუდგენელ დონეზე განხორციელებული კომენტარი, რომელსაც არ აინტერესებს საქმის აღიარებულ ექსპერტთა თვალსაზრისი, მხოლოდ იმას გვაფიქრებინებს, რომ მის უკან ერთადერთი მოტივაცია ძევს: ვინც არ უნდა იყოთ, როგორც არ უნდა აკეთებდეთ საქმეს, არ გენდობით, ჩვენ სიმართლე კი არ გვაინტერესებს, არამედ ის, რომ თქვენს ადგილზე ჩვენი ხალხი იყოს!

მე რომ მკითხოთ, თუ სხვა შესაძლებლობა არაა, რატომღაც მირჩევნია ქუჩაში და უცაბედად კლავდნენ ადამიანებს, ვიდრე კამერებში და განზრახ. თუნდაც იმიტომ, რომ პირველს სწავლა და ვარჯიში უშველის, მეორეს კი შეიძლება სახელმწიფო გადატრიალებამაც ვერაფერი უყოს. და თუ საქართველო შავი იუმორის ამ დოზას ვერ მოინელებს, მით უარესი მისთვის.

ბოლოს და ბოლოს, არ უნდა მიხვდნენ ისინი, რომელთაც რაღაც გაუგებარი ჩვევის თანახმად პოლიტიკოსებს ვუწოდებთ, რომ სიმამაცე ის კი არაა, დღენიადაგ ხალხის იმ მოდელს უგორო კოჭი, რომელიც შენ თვითონ შეიქმენი, და ენამწარეობით გული გაუწვრილო შენს უფრო იღბლიან მოწინააღმდეგეს, მაშინ როცა იგი მაინცდამაინც არ გდევნის — სიმამაცე ისაა, რომ ხალხის შესახებ შეკოწიწებულ და ხალხის მიერ ათვისებულ წარმოდგენებს დაუპირისპირდე და სწორედ იმათგან მიიღო კარიერის მომდევნო საფეხურზე ასვლის მანდატი, ვისაც გამუდმებით სთავაზობდი მწარე წამალს.

**მედია**. ოჰ, ეს სულ სხვა სიყვარულია! — ხომ ჩაგესმით "იმედის" ხმა: "**ჩოგბურთის კორტებთან ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციის შედეგად...**". გავიგეთ, ბატონებო, გაქვთ წინასწარი განწყობის შექმნის სურვილი — რა ვუყოთ, ასეთი რამეებიც ხდება. უფრო ღარიბ ადამიანებსაც მოსდით ხოლმე თავში უარესი ხუშტურები. საკითხავი სულ სხვაა: რაღა მაინცდამაინც სუფლიორის ეკრანზე დაწერილი ხიროსიმასავით კაშკაშა და ხიშტივით სწორხაზოვანი ზედსართავით ლამობთ ამ მიზნის მიღწევას: "სისხლიანი სპეცოპერაცია". გეთანხმებით, მეფისტოფელისა არ იყოს, სისხლი სულ სხვა ბუნების წვენია, მაგრამ ამ ბანალური დასკვნის მისაღწევად ნახსენებ სიტყვიერ ხიშტზე ჩვენი ხელობის ელემენტარული მოთხოვნები და ზნეობრივი საფუძვლებიც ხომ არ უნდა წამოვაცვათ.

თავის დროზე **ასლან აბაშიძემ**, რომელსაც მკვლელობაში სდებდნენ ბრალს, ერთი რუსული ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ მან "**საკუთარი სახსრებით დაფარა საცეცხლე წერტილი**". თუმც ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ აბაშიძემ რუსული უარესად იცის, ვიდრე **პატარკაციშვილმა** — ქართული. მაინც მოახერხა და ენობრივი ხერხებით შეარბილა ბრალდების სიმწვავე. ამის საწინააღმდეგოდ, როცა მედია ცალსახა ემოციური დატვირთვის მქონე სიტყვებს იყენებს, ორმაგ შეცდომას უშვებს: მაღლა მყოფთაგან ზუსტად და კონკრეტულად მონიშნულ ადამიანებს ეუბნება ყველას გასაგონად: "ბიჭებო, თქვენიანი ვარ!", დაბლა მყოფებს კი ასევე მჭექარე ხმით აფრთხილებს: "ხალხნო, ხომ ხედავთ, თქვენს დაზომბირებას ვცდილობ!". ერთი სიტყვით, ბატონმა **მერდოკმა** იკითხოს, რა ხვითოსაც გადაეყარა, თორემ ჩვენ აგერ, "კავკასიაზე" გადავრთავთ — იქ ცოცხალ შპიონებს მაინც გვაჩვენებენ და იმისიც არ ეშინიათ, რომ პირველი მაისი უკვე ჩავლილია.

მოკლედ, პროფესიული ცინიზმი კი არა, ემოციათა და გრძნობათა მთელი მორევი ტრიალებს ჩვენს გარემომცველ სინამდვილეში. თანაც ეს ემოციები და გრძნობები სულაც არ გამოირჩევიან მდიდარი პალიტრით: სულ რამდენიმე სპექტრული ფერია, როგორც ფლომასტერების ორლარიან საბავშვო "ნაბორში": პოლიციელთა მხნე შემართება, უიღბლო ხელისუფალთა წმინდათაწმინდა რისხვა, ჟურნალისტთა გულისგამგმირავი თანაგრძნობა და წუხილი... მერე და შედეგი?!

არა, დეტალებისთვის არ გვცალია. დეტალებში ჩაღრმავება ადამიანს ცინიკოსად აქცევს. ჩვენ ფრესკული ხასიათის ფართო გრძობების მომხრენი ვართ. ჩვენ გიჟებივით ვცმუკავთ და გვიხარია, აშშ ვიცე-პრეზიდენტის, **დიკ ჩეინის** სიტყვები: "**დემოკრატიას ახალი მტერი ჰყავს — ეს რელიგიური ექსტრემიზმი და ბირთვული იარაღია. მეგობრების დახმარებით, რომელთა შორის საქართველო და უკრაინა იყო, ერაყში დიქტატურა დავამარცხეთ. მიმაჩნია, რომ კაცობრიობის ყველაზე დიდი ძალა თავისუფლების სიყვარულია და ამას წინ ვერაფერი დაუდგება**". ამ სამი წინადადებიდან ყველაზე მეტად მეორე გვახარებს — ბიძია დიკმა შეგვამჩნია, დაგვაფასა! ვაშა!

მაგრამ პირველ და მეორე წინადადებას საერთოდ ვერ ვამჩნევთ: რა დროს ესენია, ჩვენ ხომ დიკმა შეგვამჩნია! ბირთვული იარაღი რა ჩვენი საქმეა, ამაზე ზესახელმწიფოებმა იმტვრიონ თავი. რაც შეეხება რელიგიურ ექსტრემიზმს, აქ უკვე გვყავს მრჩეველი — **გიგი უგულავა**. მერე რა, რომ მისი კომპეტენცია იმით შემოიფარგლება, რომ ოდესღაც იცოდა, როგორ იცვამენ სტიხარს, მაგრამ ეს არაა მთავარი: უფრო მცოდნე ადამიანებთან საქმის დაჭერა ხათაბალაა. გვინდა ჩვენ ახლა ზედმეტი თავის ტკივილი? — ჩვენ ხომ უფრო დიდი ამოცანები გვიდგას წინ, აი, **ლაშა ბაქრაძე** მიხვდა, თქვენ კი რა ღმერთი გაგიწყრათ, რომ ვერ ხვდებით: ჯერ ხომ თავისუფლების მონუმენტი უნდა აღვმართოთ მოედანზე, მერე კიდევ ოდნავ მომცრო — ბათუმში; ყოველი ნაციონალ-რაიკომის წინ ხომ გვჭირდება მინი-მოდელები; ახლა მიკრო-მოდელების სერიული წარმოებაც ხომ უნდა გავმართოთ, რომ ათასი ჯურის საჯარო მოხელემ კაბინეტში დაიდგას ტელეკამერებისათვის განსაკუთრებით მისაწვდომ კუთხეში წმინდა გიორგის ხატსა და "გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის" შორის უშნოდ დარჩენილ ცარიელ ადგილას. ამას ხომ ყველაფერს მოსწრება სჭირდება. სად გვცალია წვრილმანებზე ფიქრისთვის! აბა, ჩვენ რომ არა, ვინ გაანაწილებდა მშივრებს სასადილოებში, ბრიყვებს კი თანამდებობებზე.

ჩვენ ვერც იმას ვამჩნევთ, რომ ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის ზემოთ მოყვანილი ციტატიდან მესამე წინადადება იმ სიტყვების ზუსტი გამეორებაა, რასაც რამდენიმე თვით ადრე ტელევიზიითა და პრესით ამბობდა ჯერ დაპატიმრებული, მერე კი ბელარუსიდან გაძევებული მთავარეპისკოპოსი **მალხაზ სონღულაშვილი**, ვინც 2004 წლის გაზაფხულზე ზურაბ ჟვანიას გვერდით იდგა ჩოლოკის გადასასვლელთან, მაშინ, როცა ბევრი სხვა, მათ შორის აჭარაში მოღვაწე სასულიერო პირები, მოვლენების განვითარებას ელოდებოდნენ, რადგან არ იცოდნენ, მოვიდა თუ არა დრო, როცა შეიძლება უსაფრთხოდ უგანო ძველ პატრონს.

მალხაზ სონღულაშვილი აჭარის გათავისუფლების ზეიმზე არ მიგვიწვევია, არც ის გაგვხარებია მაინცდამაინც, ლუკაშენკოს ჯურღმულს რომ დაუძვრა. ჩვენ პირდაპირი და ხალასი ადამიანები ვართ: ხვეულები არ გაგვაჩნია...

თუმცა ყველა ჩვენგანი როდია ასეთი განურჩეველი და ტლანქი. აი, მაგალითად, 5 მაისის ნომერში ხელოვნებათმცოდნე **დიმიტრი თუმანიშვილი** ხატწერის თანამედროვე მდგომარეობაზე მსჯელობს და სწუხს, რომ ხატები კი დახატეს, მაგრამ მათი უმრავლესობა ხატები კი არა, სურათები აღმოჩნდაო. ფიზიკიდან მახსოვს ეგრეთ წოდებული რეინოლდსის კრიტერიუმი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ერთმანეთისაგან მკაცრად გავარჩიოთ ლამინარული და ტურბულენტური მოძრაობა. ნეტა ასეთივე კრიტერიუმი თუ არსებობს ხატისა და სურათის ერთმანეთისგან გასარჩევად? ნეტა, უშაკოვის დახატული ღვთისმშობელი ხატია თუ სურათი? მაგრამ, როგორც ეტყობა, ბ-ნი თუმანიშვილი რაღაც იდუმალ ცოდნას ფლობს... ღმერთმა კარგად ამყოფოს.

ის კი არა და, ნეტა ჩვენც მოგვცა რეინოლდსის მსგავსი კრიტერიუმი, რომლის საშუალებით ერთმანეთისაგან განვასხვავებდით უვიცობასა და ბოროტებას, შიშველ რიტორიკასა და აზრიან ლაპარაკს, დიპლომსა და განათლებას, ორლარიან ხვანჭკარასა და ღვინოს, იორდანეში მოჭყუმპალავე ზეპურ დედათა საცვლებსა და საქართველოს სულიერ საჭიროებას, მტერსა და მოყვარეს... ერთი სიტყვით, კიდევ ბევრი რამაა გასარჩევიც და გასარკვევიც, რადგან თუ ვერ მოვახერხეთ, ოკეანის გაღმელი uncle Dick ზურგს შეგვაქცევს და ხელში კავკასიონის გაღმელი uncle's dick შეგვრჩება.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

ცენტრ პოინტ ჯგუფი

იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.
სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.
განვადება უპროცენტოა.
მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.

შვილები ზაური, ვენედი და გიორგი ბენიძეები ოჯახებით, და თამარ გაგილაძე, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მულისშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ გაგილაძე-ბენიძისა

პანაშვიდი 9, 10 მაისს, დაკრძალვა 11 მაისს 15 საათზე, ქ. ცაგერი, ნინოშვილის ქ. N 3

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## აბა, "ბორჯომი" და "ნაბეღლავი"? ჯერ იფიქრე და მერე ილაპარაკე!

B2

## Forbes-მა კასტროს მილიონები დაუთვალა



## აზია ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის ემზადება

## სამხრეთ კავკასიის გაზრდილი როლი საერთო ენერგოშანტაჟის ფონზე

## ბაფეტი ბიზნესს ისრაელში დაიწყებს



## იაპონია და ამერიკა ახალ თვითმფრინავს გამოუშვებს

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3964 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0104 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4942 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8152 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8441 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1778 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3089 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3162 |
| 1 ევრო | EUR | 2,3033 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4722 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3491 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3760 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1595 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3579 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1986 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2556 |
| 1 ისრაელის სიკელი | ILS | 0,4062 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6368 |
| 1 ლატვური ლატი | LVL | 3,2647 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,6265 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3974 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2971 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,6035 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6098 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0669 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1520 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4068 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5647 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4877 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6181 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8865 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2162 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1473 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4449 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2467 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4749 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0814 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2266 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2342 |




# სიუჟეტი ბათუმის აეროპორტის ასაფრენი ზოლიდან

დიანა ჩაჩუა

*როდესაც ჩვენმა ე.წ. "თვითმფრინავმა" დასაშვებად მზადება ლამის გორის მისადგომებთან დაიწყო, მივხვდით, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე: ან თავად ბორტზე გვქონდა პრობლემები, ან ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის დასაფრენი ზოლი არ იყო სრულ მზადყოფნაში. საბოლოოდ ორივე ვერსია რეალური აღმოჩნდა, თუმცა ჩვენი "ჰაეროვანი დაშვების" შემდეგ თავადაც მიხვდებოდით, რომ მთავარი "დამნაშავე" აქ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი იყო. თუ თქვენ ექსტრიმის მოყვარული ბრძანდებით და თბილისიდან ბათუმში ასეთი გზით არასოდეს აღმოჩენილხართ, გაცნობებთ, რომ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, უკანასკნელი შანსი გაუშვით - ბათუმის აეროპორტი დაიხურა, ზუსტად ერთ წელიწადში კი აჭარის დედაქალაქს ახალი საერთაშორისო აეროპორტი ექნება.*





B2

# სიახლე უძრავი ქონების ბაზარზე "ჯიარდისი" მუდმივ ძიებაში

მაია ტაკაშვილი

*"საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია" ("ჯიარდისი") კარგად კაპიტალიზირებულ კომპანიას წარმოადგენს, რომელმაც საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ფუნქციონირება 2004 წლიდან დაიყო და ნოვატორის სახელიც დაიმკვიდრა. კომპანიის პოტენციალი ყველა რესურსის გამოყენების საშუალებას იძლევა, რათა მოხდეს მიმზიდველი ქონების შეძენა და ინვესტიციების მოზიდვა იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან და ფონდებისგან, რომლებთანაც ჯგუფს დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს. კომპანიას ასევე პროფესიული და პარტნიორული ურთიერთობები აქვს გამოცდილ არქიტექტორებთან და სამშენებლო ფირმებთან, რათა მის მიერ განხორციელებული პროექტების ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს.*

- **"პირველი საბროკერო" - ასე ეწოდება კომპანიას, რომელიც სულ ახლახანს "ჯიარდისიმ" დააფუძნა. მნიშვნელოვანია, რომ მისი ანალოგი დღეს საქართველოში არ არსებობს. კომპანიის ძირითადი მიზანია მომხმარებელს მაღალი დონის საშუამავლო მომსახურება გაუწიოს.**
- **ჩვენი მიზანია გავხდეთ უფრო მიმზიდველები, დავნერგოთ მორიგი სიახლეები უძრავი ქონების ბაზარზე და მაღალკვალიფიციური მომსახურება შევთავაზოთ მომხმარებელს.**



ირაკლი კილაურიძე

B2

# სოფლის მეურნეობა

## რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე

გაგრძელება. დასაწყისი №98

თეიმურაზ ღოღობერიძე

*"24 საათი ბიზნესის" წინა ნომერში უკვე აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ მიწის რეფორმის განხორციელება საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. წარმატებული პირველი ნაბიჯის შემდეგ აუცილებელი იყო შემდგომი ნაბიჯების გადადგმა - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვა აგრარული წარმოების საშუალებების, მათ შორის, ტრაქტორების, კომბაინების, ფერმებისა და გადამამუშავებელი საწარმოების სწრაფი და გამჭვირვალე პრივატიზაცია, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ა. შ. სამწუხაროდ, არც ერთი ეს ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა. როგორც დაგპირდით, სოფლის მეურნეობის თემაზე საუბარს ლიტვაში განხორციელებული რეფორმის მიმოხილვით განვაგრძობთ.*

- **1 მლნ ჰექტარი მიწა, როგორც წარმოების საშუალება, პრინციპში, საკმარისი არ არის საქართველოს რურალურ რეგიონებში მცხოვრები დაახლოებით 2 მლნ ადამიანისათვის საჭირო სამუშაო ადგილების შესაქმნელად.**
- **არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მომუშავეთა საერთო რაოდენობის 5 პროცენტს არ აღემატება.**

B4

# აბა, "ბორჯომი" და "ნაბეღლავი"? ჯერ იფიქრე და მერე ილაპარაკე!

დიანა ჩაჩუა

*2006 წლის 10 მაისიდან დარღვევათა აღმოფხვრამდე შეჩერებულია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნებისა და რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტის მოქმედება "ნაბეღლავზე", ხოლო 7 მაისიდან - მინერალურ წყალ "ბორჯომზე". ქართული მინერალური წყლის "ნაბეღლავის" მწარმოებელი კომპანია ს/ს "წყალი მარგებელის" წარმომადგენლებს "ნაბეღლავის" აკრძალვის შესახებ რუსეთიდან ოფიციალური შეტყობინება არ მიუღიათ, თუმცა კომპანიამ გუშინდელი დღიდან რუსეთში "ნაბეღლავის" ექსპორტი შეწყვიტა.*

"ნაბეღლავის" რუსეთში ექსპორტის აკრძალვის შესახებ ხმები "ბორჯომზე" არანაკლებ ადრე დაირხა, თუმცა რეალობად მხოლოდ 5 მაისს იქცა, როდესაც რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშენკომ რუსეთის ფედერაციის საბაჟოს უფროსს შესაბამისი წერილი გაუგზავნა.

გამოვლენილი დარღვევების მასშტაბი შთამბეჭდავია: მხოლოდ მოსკოვში ერთი კვირის განმავლობაში 175 560 ბოთლი წყალი იქნა დაწუნებული. კერძოდ, "როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელმა გენადი ონიშენკომ განაცხადა, რომ ბოლო კვირის მანძილზე გამოვლენილია "ნაბეღლავის" დიდი პარტია, რომელიც ნორმატიულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. "ვიხელმძღვანელე რა მოქმედი კანონმდებლობით, მოვამზადე შესაბამისი ბრძანებულება ფედერალური საბაჟო სამსახურისა და ტერიტორიული სამმართველოს სახელზე, რათა მათ მიიღონ ზომები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აღნიშნული სახის პროდუქტის გავრცელების წინააღმდეგ," - განაცხადა "როსპოტრებნოდზორის" ხელმძღვანელმა.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის, გენადი ონიშენკოს ბოლო გადაწყვეტილებას სასაცილოს უწოდებს. "ონიშენკოს უსაფუძვლო და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე კომენტარების კეთებას აღარ ვაპირებ. დროა, ქართული პროდუქციის გასასაღებლად ახალი ბაზარი ვეძებოთ და რუსეთი დავივიწყოთ," - განაცხადა ნოღაიდელმა.

მინერალური წყლების რუსული ბაზრის ბევრი მოთამაშე "გაგებით" მოეკიდა ონიშენკოს გადაწყვეტილებებს და უკვე გამოთავისუფლებული ნიშის დაკავებაზე ბჭობს. როგორც მინერალური წყლების ქარხნის "ელიტა-მინერალის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ედუარდ დადაშევმა რუსულ ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა-რუ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: "ჩრდილოეთ კავკასიის მინერალური წყლები არაფრით ჩამოუვარდება, მეტიც, სჯობს კიდეც ე.წ. "ბორჯომს", რომელიც ჩვენთან იყიდება. ამიტომაც მე ამ აკრძალვას მშვიდად ვუყურებ - რუსული წყლები უნდა წავახალისოთ."

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" კი საკუთარი ნაწარმის 60 პროცენტს, რომლის იმპორტიც რუსეთში ხდებოდა, უკრაინის, აზერბაიჯანის, ბალტიისპირეთის და დსთ-ს სხვა სახელმწიფოთა ბაზრებზე გადაანაწილებს. კომპანიის ინფორმაციით, რუსეთის შემდეგ უკრაინას, მინერალური წყლის რეალიზაციის თვალსაზრისით, მეორე ადგილი უკავია და "ბორჯომზე" მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. კომპანიამ აზერბაიჯანის ბაზრის შესწავლა უკვე დაიწყო, ბალტიისპირეთის ქვეყნებში კი ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანია მიმდინარეობს.

МИНЗДРАВСОЦРАЗВИТИЯ РОССИИ
ФЕДЕРАЛЬНАЯ СЛУЖБА
ПО НАДЗОРУ В СФЕРЕ
ЗАЩИТЫ ПРАВ ПОТРЕБИТЕЛЕЙ И
БЛАГОПОЛУЧИЯ ЧЕЛОВЕКА
(РОСПОТРЕБНАДЗОР)
Вадковский пер., 18/20, г. Москва, 127994
Тел.: (095) 973-27-44 Факс: (095) 973-18-02
E-mail: depart@gsen.ru http://www.gsen.ru
ОКПО 00083339 ОГРН 10477961512
ИНН 7707515984 КПП 770701001
05.05.2006 № 0100/5155-06-23

Руководителю Федеральной таможенной службы А.Е. Жерихову

Руководителям территориальных управлений Федеральной службы по надзору в сфере защиты прав потребителей и благополучия человека по субъектам Российской Федерации, по железнодорожному транспорту – Главным государственным санитарным врачам по субъектам Российской Федерации, по железнодорожному транспорту

**О принятии дополнительных мер, направленных на прекращение оборота минеральной воды «Набеглави» и «Боржоми», не соответствующей установленным требованиям**

Уважаемый Александр Егорович!

Федеральной службой по надзору в сфере защиты прав потребителей и благополучия человека в Ваш адрес было направлено письмо от 25.04.2006 № 0100/4724-06-23 «О принятии мер, направленных на прекращение реализации минеральной воды, не соответствующей установленным законодательством Российской Федерации требованиям, в целях обеспечения прав потребителей на качество и безопасность товаров».

В результате проводимых территориальными управлениями Роспотребнадзора мероприятий по контролю (надзору) за исполнением хозяйствующими субъектами постановления Главного государственного санитарного врача Российской Федерации от 6 апреля 2005 года № 13 «Об усилении надзора за производством и оборотом минеральной и питьевой воды» продолжают отмечаться факты реализации населению минеральной лечебно-столовой воды, не соответствующей установленным показателям качества и безопасности, а также с маркировкой, не отвечающей обязательным требованиям к информации для потребителей. При этом выявляются крупные партии минеральной воды «Набеглави», не соответствующей нормативным требованиям по общей минерализации, содержанию кальция, хлоридов, магния, перманганатной окисляемости (так, только в г. Москве за последнюю неделю было выявлено несколько партий указанной воды общим объемом 175560 бутылок, при исследовании содержимого которых 100 процентов отобранных образцов признаны неудовлетворительными).

Учитывая изложенное и руководствуясь статьями 50,51 Федерального закона «О санитарно-эпидемиологическом благополучии населения», статьями 3, 20, 21 Федерального закона «О качестве и безопасности пищевых продуктов», а также в целях исполнения соответствующих положений ст. 10 Федерального закона «О защите прав юридических лиц и индивидуальных предпринимателей при проведении государственного контроля (надзора)» приостанавливаю с 10.05.2006 действие санитарно-эпидемиологических заключений и свидетельства о государственной регистрации на минеральную воду «Набеглави», а с 07.05.2006 - в дополнение к письму Роспотребнадзора от 04.05.2006 № 0100/5043-06-23 - свидетельств о государственной регистрации на минеральную воду «Боржоми» производства Республики Грузия до устранения причин и условий, способствовавших совершению вышеназванных нарушений.

В этой связи прошу принять предусмотренные законодательством меры по недопущению ввоза на территорию Российской Федерации вышеуказанной продукции, а также дать по этому поводу соответствующие указания региональным таможенным управлениям ФТС.

Территориальным управлениям Роспотребнадзора в отношении хозяйствующих субъектов, осуществляющих оборот минеральной воды «Набеглави», в установленном порядке принять меры, направленные на прекращение ее реализации и изъятие из оборота.

Руководитель Г. Г. Онищенко

## სიახლე უძრავი ქონების ბაზარზე

# "ჯიარდისი" მუდმივ ძიებაში

პირველი გვერდიდან

"ჯიარდისის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა უძრავი ქონების შეძენა და მისი განვითარება. იგი ინვესტირებას ახდენს თბილისის ცენტრში, პრესტიჟულ ადგილას განთავსებულ უძრავ ქონებაში. დღესდღეობით "ჯიარდისი" რამდენიმე მნიშვნელოვან და სხვადასხვა მასშტაბის პროექტზე მუშაობს, ეს არის ბიზნესცენტრების, სავაჭრო ცენტრების, სასტუმროების, საცხოვრებელი გარემოს განვითარება. ამ ეტაპზე მუშაობის აქტიურ სტადიაშია რამდენიმე პროექტი: "კინოქალაქი", "თბილისი სიტი", "ბიზნეს ცენტრი მარჯანიშვილზე", "ლისის ტბის განვითარების პროექტი" და სხვა.

"ჯიარდისი" მუდმივი სიახლის ძიებაშია და დღესაც მომხმარებელს მორიგ ინოვაციას სთავაზობს. **"პირველი საბროკერო"** - ასე ეწოდება კომპანიას, რომელიც სულ ახლახანს "ჯიარდისიმ" დააფუძნა. მნიშვნელოვანია, რომ მისი ანალოგი დღეს საქართველოში არ არსებობს. კომპანიის ძირითადი მიზანია მომხმარებელს მაღალი დონის საშუამავლო მომსახურება გაუწიოს. ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარი დღითიდღე იზრდება და ვითარდება, შესაბამისად განვითარების ტემპს მიჰყვება მისი თანმდევი მომსახურება, რადგან უძრავი ქონების ბიზნესის მნიშვნელოვანი ატრიბუტი ამ ქონების რეალიზაციაა.

"დღეს ქართულ ბაზარზე ბევრი საშუამავლო-საბროკერო კომპანია ფუნქციონირებს, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული არიან უძრავი ქონების რეალიზაციაზე და საკუთარ ინტერესებს ატარებენ. ჩვენ მომხმარებელს განსხვავებულ ურთიერთობებს ვთავაზობთ, "პირველი საბროკერო" ორიენტირებული იქნება მათ ინტერესებზე. შეიცვალა მოთხოვნილებები, მყიდველს პრეტენზია გაუჩნდა კომფორტზე, ცივილურ ურთიერთობებზე. "პირველი საბროკეროს შექმნის იდეაც, სწორედ აქედან წამოვიდა" - "ჯიარდისის" მორიგ ინოვაციაზე საუბრობს **კომპანიის გენერალური დირექტორი ირაკლი კილაურიძე** და მიაჩნია, რომ ეს სიახლე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ "ჯიარდისის', არამედ სხვა დეველოპერული კომპანიის განვითარებისთვის.



ზაურ გოლიაშვილის ფოტო

*ირაკლი კილაურიძე.*

**- რაში ხედავდით კომპანიის "პირველი საბროკერო" შექმნის საჭიროებას?**

- "ჯიარდისი" ორიენტირებულია ინოვაციაზე, ვცდილობთ ვიყოთ ნოვატორები, ჩვენ მიერ განხორციელბულ პროექტებს თუ გადავხედავთ, მათი ანალოგი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში არ არსებობს. ზოგადად, მომხმარებელს უნდა შესთავაზო პროდუქტი, რომელიც მას სჭირდება. ჩვენ მუდმივად ვაწარმოებდით უძრავი ქონების ბაზრის კვლევას, სწორედ ამ კვლევების საფუძველზე, იმ გამოკვეთილ მოთხოვნილებიდან გამომდინარე, დავაფუძნეთ ასეთი ტიპის საბროკერო კომპანია. პოტენციურ მომხმარებელს უკვე ვხედავთ როგორც ადგილობრივ, ასევე სხვა ქვეყნების უძრავი ქონების ბაზარზე. დღეს ადამიანს გააჩნია მიწის ნაკვეთის ან საცხოვრებელი სახლის შესაძენად შესაბამისი თანხა, მაგრამ დაბნეულია, რადგან მისთვის უცნობია სად, როგორ და რა ფასად შეიძინოს. ამასთან, მისთვის საკმარისი არ არის მიიღოს მხოლოდ ინფორმაცია, არამედ მას სჭირდება სრული მომსახურების პაკეტი, დაწყებული ბინის შერჩევიდან, დასრულებული მისი თანმდევი პროცედურებით. ხშირ შემთახვევაში კი ძალიან ბევრი მყიდველი ბრმად ახდენს საცხოვრებელი თუ კომერციული ფართის შეძენას, შემდეგ კი აწყდება უამრავ პრობლემებს. ჩვენი კომპანიის შექმნის საჭიროებასაც აქ ვხედავდით. გარდა ამისა, ჩვენ კლიენტს შევთავაზებთ ბინის ყიდვის მოქნილ ფინანსურ მექანიზმებსაც. "თიბისი ბანკი" "ჯიარდისის" პარტნიორია. აქედან გამომდინარე, ერთობლივად ვახორციელებთ უძრავი ქონების შეძენის პროექტებს, ანუ მყიდველს საშაულება ექნება უძრავი ქონება '"თიბისი ბანკის" სესხით შეიძინოს, რომლის სრულ მომსახურებასაც უკვე ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს.

**- უძრავი ქონების რეალიზაციაში თქვენს პოტენციურ კონკურენტებსაც დაეხმარებით?**

- ესეც ერთგვარი სიახლეა. მართალია, "პირველი საბროკერო" "ჯიარდისიმ" დააფუძნა, თუმცა ის საკუთარ ქმედებებში თავისუფალია. კომპანია თითოეული კლიენტის საქმიანობას დამოუკიდებელ ბიზნესად აღიქვამს, ყველას ინდივიდუალურად მოემსახურება და ექსკლუზიურობით ვერავინ ისარგებლებს. ჩვენი მიზანია მივცეთ სწორი მიმართულება ნებისმიერ კლიენტს, რომ მან ეფექტური გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებაში. საქართველოში ბევრი საცხოვრებელი და საოფისე ფართია, რომლის რეალიზაცია ძალიან ჭიანურდება, რაც ზოგიერთი სამშენებლო კომპანიის არასწორი გაყიდვების პოლიტიკისა და გამოუცდელი კადრების შედეგია. ჩვენი მიზანია გავხდეთ უფრო მიმზიდველები, დავნერგოთ მორიგი სიახლეები უძრავი ქონების ბაზარზე და მაღალკვალიფიციური მომსახურება შევთავაზოთ მომხმარებელს.

# სიუჟეტი ბათუმის აეროპორტის ასაფრენი ზოლიდან

პირველი გვერდიდან

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ექსპლუატაციის შემდეგ, შაბათს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად ერთი წლით დაიხურა. ახალი აეროპორტის მშენებლობის დაწყება, როგორც მოსალოდნელი იყო, აჭარლებისთვის ორმაგ დღესასწაულს: გიორგობას და რევოლუციის ორი წლისთავს დაამთხვიეს. დილიდან, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის დასაფრენ ზოლზე, ერთიმეორის მიყოლებით დაეშვა საქართველოს პრეზიდენტის დელეგაციის ხომალდი, შემდეგ - ზემოთ ხსენებული "თვითმფრინავი", ბოლოს კი - თურქეთის სახელმწიფო დელეგაციის კუთვნილი "მინი-ბოინგი".

აჭარის რევოლუციის ორი წლისთავთან დაკავშირებით ბათუმში მყოფმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა-რეკონსტრუქციას თავად ჩაუყარა საფუძველი. საზეიმო ცერემონიალს, სააკაშვილთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი ქურშად თუზმენი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

სიტყვით გამოსვლისას, ბათუმის აეროპორტის მშენებლობის დაწყებას პრეზიდენტმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში ბათუმი იქნება პირველი ქალაქი, რომელსაც ახალი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა ექნება. **"ბათუმის აეროპორტში იქნება მუდმივი რეისები, მათ შორის, სტამბოლის მიმართულებით, საიდანაც მსურველებს ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში შეეძლებათ**



**გასვლა,"** - აცხადებდა გუშინ პრეზიდენტი.

ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში თავისი მთავარი პროექტების დასრულების შემდეგ TAV AIRPORTS HOLDING-მა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 30 მილიონდოლარიანი ინვესტიციის განხორციელება და ახალი აეროპორტის პრეზიდენტისთვის ჩაბარება 2007 წლის ზაფხულის სეზონამდე უნდა მოასწროს.

ახალი ტერმინალის სამშენებლო ფართი 4,000 კვ.მეტრს, მთლიანი სამშენებლო ტერიტორია კი 232,000 კვ.მ შეადგენს. საბოლოოდ ახალი აეროპორტი 565 ათას მგზავრს მოემსახურება. უნდა აშენდეს ახალი სამგზავრო ტერმინალი, სახანძრო სადგური და სანაპირო ზოლის დამცავი კედელი, ასევე აშენდება სანავიგაციო კოშკურა და დამონტაჟდება ახალი შუქმანიშნი მოწყობილობები, განხორციელდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და ბაქანის რეკონსტრუქცია, მოეწყობა ორი სამიმოსვლო ბილიკი, ავტომანქანების სადგომი და სააეროპორტო ინფრასტრუქტურა. მშენებლობა-რეკონსტრუქციის შემდეგ ბათუმის აეროპორტს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს და გაუშვას Boeing 737, Airbus 318, Yak 40, Yak 42, An 24, An 140, Tu 134 ტიპის საჰაერო ხომალდები. როგორც TAV AIRPORTS HOLDING-ისა და URBAN-ის ჯგუფის მთავარმა აღმასრულებელმა მენეჯერმა სანი შენერმა განაცხადა, როგორც საქართველოსთვის, ისე თურქეთისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ის, რომ ავიაციის სექტორში განუხრელად აღმავალმა კურსმა მსოფლიო მასშტაბით აეროპორტების ინვესტირება დააჩქარა. **"წინა წლებში მთლიანად მსოფლიოში განხორციელებულმა სააეროპორტო ინვესტიციებმა მილიარდობით დოლარი შეადგინა. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს დიდი ადგილი უკავია ჩვენს მცდელობებში, TAV-ის ჯგუფის მომსახურება საზღვარგარეთ, როგორც საერთაშორისო მარკა, გავიტანოთ. ჩვენი მიზანია, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო დავაჩქაროთ ჩვენი წინსვლა,"** - დასძინა შენერმა.

ბათუმის ახალი აეროპორტი, დამატებით, მოემსახურება თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონიდან როგორც თურქეთის რესპუბლიკის, ასევე საერთაშორისო მიმართულებით მოძრავ მგზავრებს, ბარგს, ტვირთს და ფოსტას. **"აეროპორტის ერთობლივი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ორივე ქვეყნისთვის და, განსაკუთრებით, აჭარის რეგიონისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ბათუმში გაიზრდება მგზავრთა ნაკადი, რაც, პირველ რიგში, საშუალებას მისცემს ადგილობრივ ბიზნესს, არა მარტო სეზონურად, არამედ მთელი წლის განმავლობაში წარმატებით იმუშაოს. ამასთან, ეს ხელს შეუწყობს ტურიზმისა და, მთლიანად, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას,"** - განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ.

## ლარის კურსი გამყარდა

გასულ კვირაში ამერიკული დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი გამყარდა. კვირის ბოლოს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 1 აშშ დოლარი 1,81 52 ლარის ნიშნულზე დაფიქსირდა. საანალიზო კვირაში შიდა სავალუტო ბაზრის ბანკნოტურ სეგმენტზე აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის მიმოქცევის ამპლიტუდა 1,81 50 - 1,82 20 დიაპაზონში მერყეობდა. ამავე პერიოდში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 33 980 000 აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბირჟო სესიებზე 25 080 000 აშშ დოლარი შეისყიდა, 3 მილიონი აშშ დოლარი კი გაყიდა. საანალიზო კვირაში ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობა ევროზეც მიმდინარეობდა. ევროზე გარიგებების საერთო მოცულობამ 350 000 ევრო შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ეროვნული ბანკი სსფ-ს რეკომენდაციებს ასრულებს

2005 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მთლიანად შეასრულა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებები. კერძოდ, მკვეთრად გაუმჯობესდა კომერციული ბანკების ზედამხედველობა, რითაც საბანკო სექტორის სტაბილურობის განმტკიცებას ჩაეყარა საფუძველი. შემუშავდა, ასევე, საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006-2009 წლებისთვის, რომელიც ეროვნული ბანკის საბჭომ დაამტკიცა.

გაზრდილია საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები. ამ მაჩვენებელში 50-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. 83 პროცენტითაა მომატებული მთლიანი სესხების მოცულობა. განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ მომატებულია ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების რაოდენობა. თუ აქამდე ლარის მიმართ მოსახლეობის ნდობის ინდიკატორად დეპოზიტებზე არსებული სახსრები მიიჩნეოდა, ამ პარამეტრს დაემატა გაცემული სესხების მაჩვენებელიც. ეს, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის - ლარის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე მიუთითებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში აზერბაიჯანული შაქრის იმპორტი დაიწყო

საქართველოში აზერბაიჯანული შაქრის იმპორტი დაიწყო. 400 ტონა აზერბაიჯანული წარმოების შაქრის ფხვნილი საქართველოში რკინიგზის მეშვეობით, 6 ვაგონით შემოვიდა. როგორც ჯგუფ "აზერსუნ ჰოლდინგის" ვიცე-პრეზიდენტმა სალახედინ ხუნმა განაცხადა, იმიშლინის შაქრის ქარხანა, რომელიც ცოტა ხნის წინ ამოქმედდა, მსოფლიო სტანდარტების შესაბამის შაქარს აწარმოებს. "ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში აზერბაიჯანი შეძლებს, რეგიონის ქვეყნების მოთხოვნა შაქარზე დააკმაყოფილოს," - განაცხადა მან. საქართველოში იმპორტირებული შაქრის ფხვნილი "შაქრის მწარმოებელთა აზერბაიჯანული გაერთიანების" პროდუქციაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ხორვატია ევროკავშირში საქართველოს ლობისტი გახდება

ხორვატია უახლოეს მომავალში ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება და იმედი გვაქვს, რომ იგი სხვა ქვეყნებთან ერთად, რომლებიც ახლად გაწევრიანებული არიან ევროკავშირში, საქართველოს ლობისტი გახდება.

ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძე, საქართველოს პარლამენტში, ხორვატიის პრეზიდენტის სტიეპან მესიჩის საზეიმო დახვედრის ცერემონიალის დაწყებამდე განაცხადა.

მისი თქმით, ხორვატია კარგი მაგალითია იმისა, რომ აბსოლუტურად დანგრეული ქვეყნიდან იგი წარმატებულ ევროპულ ქვეყნად იქცა. "ხორვატიამ არა მარტო ტერიტორიული მთლიანობა აღადგინა, ამავდროულად, სერიოზული ეკონომიკური ზრდის ტემპებს მიაღწია. ჩვენთვის ხორვატია მისაბაძი მაგალითია ბევრ სფეროში. ვფიქრობ, რომ ასეთი ვიზიტები ხელს შეუწყობს საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას," - აღნიშნა ჩოგოვაძემ. **ინტერპრესნიუსი**

## აზია ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის ემზადება

ჩინეთის, იაპონიის და სამხრეთ კორეის ფინანსთა მინისტრებმა სამი ქვეყნისათვის ევროს მსგავსი საერთო ვალუტის შემოღების შესაძლებლობა განიხილეს. უახლოეს მომავალში ეს ქვეყნები სავალუტო პოლიტიკის სფეროში თავიანთი მოქმედების კოორდინირებას განახორციელებენ. ერთიანი აზიური ვალუტის, სახელად A.C.U. , შემოღების იდეა რამდენიმე წლის წინ გაჩნდა და აზიელ ფინანსისტთა მოწონება დაიმსახურა. მათი აზრით, ერთიანი ვალუტის შემოღება რეგიონში სავალუტო ბაზრის სტაბილიზაციას და დოლარის კურსის დაცემას გამოიწვევს. საერთოდ, ერთიანი ვალუტის შექმნის იდეა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სულ უფრო პოპულარული ხდება. მაგალითად, ამ საკითხზე გასული წლის ბოლოს მსჯელობდნენ ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ფინანსისტები. ერთიანი ვალუტის შემოღების იდეამ გაიჟღერა სამხრეთ აფრიკის ქვეყნებშიც.

## საწვავის გაძვირება ამერიკელების ჯიბეზეც აისახა

ბენზინის გაძვირებამ ამერიკელები დიდ საგონებელში ჩააგდო. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ერთ-ერთი სააგენტოს ინფორმაციით, ათი ამერიკელიდან შვიდმა სერიოზული ფიქრი დაიწყო იმაზე, თუ როგორ დაზოგოს და შეამციროს მოხმარებული საწვავის რაოდენობა. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ბენზინის ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, მოსახლეობის ორმა მესამედმა ავტომობილებში კონდიციონერები გამორთო და არასავალდებულო მგზავრობათა რიცხვიც საგრძნობლად შეამცირა. ასე, რომ გამოკითხულთა 60%-მა აღიარა, რომ ავტომობილს მხოლოდ აუცილებელი შემთხვევებისთვის იყენებს. მოსახლეობის 70% თვლის, რომ საწვავის ფასის ასეთი ზრდა, რამდენიმე თვეში მათ საოჯახო ბიუჯეტს სერიოზულ ზარალს მიაყენებს. ერთი წლის წინ, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 45%-ს შეადგენდა. ამერიკელები ფინანსების დაზოგვის მიზნით "ეკონომიურ" ავტომობილებს ამჯობინებენ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა ხუთიათასზე მეტმა სრულწლოვანმა ამერიკელმა მიიღო.

## იაპონია და ამერიკა ახალ თვითმფრინავს გამოუშვებს

ამერიკული და იაპონური კომპანიები მიმდინარე წლის მიწურულს ახალი თაობის თვითმფრინავის გამოშვებას აპირებენ. ცნობილია, რომ აღნიშნულ პროექტში, იაპონიის მხრიდან ისეთი კომპანიებიც მიიღებენ მონაწილეობას, როგორიცაა Kavasaki და Mitsubishi. ამერიკის მხრიდან კი კომპანია Boing და NACA. ახალი ლაინერის მთავარი უპირატესობა მის ეკონომიურობაში მდგომარეობს. ჰაერის წინაღობის შემცირების ხარჯზე, ახალი თვითმფრინავი ნაკლებ საწვავს დახარჯავს. პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ ლაინერის ხმა მის ანალოგ ფრანგულ კონკორდთან შედარებით ასჯერ ნაკლები იქნება. აღსანიშნავია, რომ კომპანია კონკორდმა 2003 წელს ფრენა სწორედ, რომ არაეკონომიურობისა და დიდი ხმაურის გამო შეწყვიტა. ახალი იაპონურ-ამერიკული ავიალაინერი ფრენას საშუალო სიჩქარით განახორციელებს. სალონი კი 100-დან 200 მგზავრზე იქნება გათვლილი. თვითმფრინავი სივრცეს ორჯერ უფრო სწრაფად დაფარავს, ვიდრე ახლანდელი ლაინერები. მაგალითად, თვითმფრინავი რეისს ტოკიოდან ლოს-ანჯელესამდე დაახლოებით ხუთ საათში შეასრულებს.

## ბაფეტი ბიზნესს ისრაელში დაიწყებს

მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ინვესტორი უორენ ბაფეტი საქმიანობას ისრაელში დაიწყებს. ინვესტორმა განაცხადა, რომ ისრაელის კომპანია Iscar Metalworking-ის შესყიდვას აპირებს. ბაფეტი მზადაა, კომპანიის 80 პროცენტში 4 მილიარდი დოლარი გადაიხადოს. კომპანია Iscar Metalworking დანებსა და სხვა ინსტრუმენტებს აწარმოებს. კომპანიის ქარხნები ისრაელის გარდა კიდევ სხვა ქალაქებშიც არის განლაგებული. კომპანია ისრაელში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი და მდიდარი პირის, ვერტჰაიმეროვის საკუთრებაა. ცნობილი ბიზნესმენის თქმით, მასთან თანამშრომლობა კომპანიას დიდ წარმატებებსა და ფინანსურ მოგებას მოუტანს. ვერტჰაიმერების ოჯახი კი მსოფლიოში უმდიდრეს ოჯახთა რიგებში აღმოჩნდება. ბაფეტი აცხადებს, რომ ის კომპანიის ხელმძღვანელობისა და ტოპ-მენეჯმენტის საკითხებში არ ჩაერევა, რაც იმას ნიშნავს, რომ Iscar Metalworking-ს ხელმძღვანელობას მესაკუთრის ვაჟი, ეიტან ვერტჰაიმერი გაუწევს. 2006 წელს ბაფეტმა კომპანია Coca-Cola დატოვა. იგი ამ კომპანიის დირექტორთა საბჭოს 17 წელი ხელმღვანელობდა. ბაფეტი კომპანია Coca- Cola-დან წამოსვლის მიზეზებზე საჯაროდ არ საუბრობს და აცხადებს, რომ ახალი პროექტების განხორციელებით არის დაინტერესებული.



# სამხრეთ კავკასიის გაზრდილი როლი საერთო ენერგოშანტაჟის ფონზე

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

### კონფლიქტები და ეკონომიკა

გასულ კვირას ბაქოში ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის სამიტი შედგა. აქ პრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურების დონეზე იყვნენ წარმოდგენილნი აზერბაიჯანი, ირანი, ავღანეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, პაკისტანი და თურქეთი. სამიტზე წარმომადგენლები მიავლინეს ორგანიზაციის დანარჩენმა წევრებმა: უზბეკეთმა, ყირგიზეთმა და თურქმენეთმა. შეხვედრა ორი მოვლენით იყო აღსანიშნავი: გაიმართა აზერბაიჯანისა და ირანის პრეზიდენტების შეხვედრა და ერთობლივი დეკლარაციის მიღება, სადაც ხაზი გაესვა რეგიონში კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობას.



თომას ფრიდმანი

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ აუცილებელია იმ კონფლიქტების სასწრაფოდ მოგვარება, რომლებიც ხელს უშლიან რეგიონულ ეკონომიკურ თანამშრომლობას. იქვე აღინიშნება, რომ კონფლიქტები საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამგვარი მიდგომა, ცხადია, აზერბაიჯანს აძლევს ხელს, რომლისთვისაც ყარაბაღის საკითხის მოგვარება სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.



უგო ჩავესი

ეს მნიშვნელოვანი დეკლარაცია აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის ვაშინგტონში ვიზიტს მოჰყვა. წინა მიმოხილვაში უკვე აღვნიშნავდით, რომ არ არის გამორიცხული ალიევმა ვაშინგტონსა და თეირანს შორის შუამდგომლის როლი იკისროს. ენერგორესურსები, დიდი მოსახლეობა და მზარდი ეკონომიკა ბაქოს საშუალებას აძლევს, დაბალანსებული პოლიტიკა გაატაროს და ყველა დიდი ქვეყნის ინტერესზე ითამაშოს. ვაშინგტონი აზერბაიჯანს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კასპიური ენერგორესურსების ტრანსპორტირების საქმეში; რუსეთს არ სურს, რომ აზერბაიჯანული ენერგორესურსების ტრანსპორტირებისას თამაშგარე მდგომარეობაში დარჩეს; ირანი საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავს და აზერბაიჯანის ტერიტორიის მის წინააღმდეგ გამოყენებას უფრთხის. ილჰამ ალიევს ბოლო ერთი თვის განმავლობაში სამივე ამ ქვეყნის ლიდერთან ჰქონდა შეხვედრა. ამ შეხვედრებზე (ისევე, როგორც ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის სამიტზე), აზერბაიჯანის ლიდერი, ალბათ, წამოსწევდა მისი ქვეყნისათვის ყველაზე მტკივნეულ თემას, ყარაბაღს.



ევო მორალესი

### "ნავთობის ფასი დემოკრატიის უკუპროპორციულია"

ცნობილი მიმომხილველი თომას ფრიდმანი აცხადებს, რომ ნავთობის ფასი დემოკრატიის უკუპროპორციულია: "რაც უფრო ძვირდება "შავი ოქრო", მით უფრო კადნიერდებიან უგო ჩავესის დარი მემარცხენე პოპულისტები, რადგან იოლი შემოსავალი საშუალებას აძლევთ, მოსახლეობა დააპურონ და თავი არ შეიწუხონ თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიის განვითარებით."

2006 წლის 1 მაისი - მშრომელთა სოლიდარობის დღე - ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა ქვეყნის ენერგოსექტორის ნაციონალიზაციით აღნიშნა. მან დასავლურ კომპანიებს საკონტროლო პაკეტების დათმობა უბრძანა და ახალ სინამდვილესთან შეგუებისათვის ექვსთვიანი ვადა მისცა. დაახლოებით ერთი თვის წინ ანალოგიური ნაბიჯი გადადგა უგო ჩავესმაც. მორალესის ქმედებამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ თომას ფრიდმანის მიერ აღმოჩენილი კანონი მთელი ძალით ამოქმედდა და ამგვარ სიურპრიზებს მომავალშიც უნდა ველოდოთ.

მაგრამ, რამდენად წაადგება ამგვარი ნაბიჯები თავად ბოლივიას? ქვეყანას უცხოური ინვესტიციები სჭირდება. ენერგოსექტორის ნაციონალიზაციასა და ნავთობკომპანიებისათვის ულტიმატუმების წამოყენებას, საეჭვოა, ბოლივიაში კაპიტალის მოზღვავება მოჰყვეს. ცხადია, რომ გაძვირებული ნავთობის პირობებში ბოლივიას სურს, მისი კუთვნილი საბადოებიდან მეტი მოგება მიიღოს და ამიტომ უცხოურ კომპანიებს ახალ პირობებს უყენებს. ისტორია მოწმობს, რომ მსგავს ნაბიჯებს გრძელვადიან პერსპექტივაში ნავთობქვეყნებისათვის მხოლოდ ცუდი მოაქვთ. ბოლივიამ ანალოგიური რამ უკვე მესამედ ჩაიდინა, ვენესუელა კი ამას მეორედ აკეთებს. აქამდე ინვესტორების გაძევების ყოველი მცდელობა მუდამ ერთი სცენარით სრულდებოდა: როგორც კი ენერგორესურსებზე ფასი ეცემოდა, ბოლივიაცა და ვენესუელაც ველარ ახერხებდნენ, საკუთარი სახსრებით აეთვისებინათ ახალი საბადოები და კვლავ დასავლურ კომპანიებს უხმობდნენ. ისინიც ბრუნდებოდნენ, მაგრამ ადრინდელზე გაცილებით უფრო მკაცრი პირობებით, რომლებზეც ნავთობქვეყნები იძულებით თანხმდებოდნენ. ნაციონალიზაცია წარსულს ბარდებოდა, უცხოურ კომპანიებს კი უფრო მეტი მოგება მიჰქონდათ. რაც კიდევ უფრო მთავარია, ნავთობქვეყნები კარგავდნენ ძვირფას დროს.

ბოლივიისა და ვენესუელის პოლიტიკას ტიპური ნეომარქსიზმის სუნი უდის: ჩამორჩენილი ქვეყნები თავიანთ პრობლემებს განვითარებულ სახელმწიფოებს აბრალებენ და მათ წინააღმდეგ რეგიონულ ფრონტს ქმნიან. 1 მაისის "ღირსეულად" აღნიშვნის შემდეგ მორალესი ლათინური ამერიკის ენერგეტიკულ სამიტს დაესწრო. ამ შეხვედრაზე ბრაზილიამ და არგენტინამ ბოლივიურ ნაციონალიზაციას მხარი დაუჭირეს (რასაკვირველია, ვენესუელამაც). ეს უკანასკნელები ბოლივიიდან საკმაოდ იაფად იღებენ ბუნებრივ გაზს და, აქედან გამომდინარე, ვითარების გამწვავება არ სურთ. ვითარება არც ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულამ გაამწვავა, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ბოლივიური ნაციონალიზაცია ბრაზილიურ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად კომპანიას, "პეტრობასსაც" შეეხო.

### დასავლეთი ერთიან პასუხს პოულობს?

თავის დროზე, დასავლეთს უკვე შეექმნა პრობლემები ნავთობქვეყნების მიერ "შავი ოქროს" შეგნებულად გაძვირების გამო. ეს 70-იან წლებში მოხდა, როცა ისრაელისადმი აღმოჩენილი მხარდაჭერის საპასუხოდ ოპეკმა ნავთობზე ფასი ასწია. საბოლოო ჯამში, ამან დასავლეთს ბევრი ვერაფერი დააკლო - განვითარდა ალტერნატიული წყაროები, ენერგორესურსებზე ფასები კი ისევ დავარდა. დღეს დასავლეთი კიდევ უფრო დაცული ჩანს, ვიდრე მაშინ: ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკა საკმაოდ სწრაფი ტემპებით ვითარდება, ტრადიციულად უფრო დინამიურ აშშ-ს ეკონომიკაზე რომ არაფერი ვთქვათ. ბოლოდროინდელი მონაცემებით, აშშ-ს მთლიანი ეროვნული შემოსავალი არა მხოლოდ იზრდება (წლის პირველ კვარტალში მან 4,8 პროცენტი შეადგინა), არამედ, ამავე დროს, მცირდება ბიუჯეტის დეფიციტიც. თუკი აქამდე ვარაუდობდნენ, რომ მიმდინარე ფისკალურ წელს (რომელიც 1 ოქტომბერს სრულდება) დეფიციტი 423 მილიარდი დოლარი იქნებოდა, ბოლოდროინდელი გათვლებით, ეს მაჩვენებელი 300 მილიარდზე ზემოთ არ უნდა ავიდეს. ეს მართლაც დამაიმედებელი მაჩვენებელია, თუკი გავითვალისწინებთ, რაოდენ დიდ ტვირთად აწევს აშშ-ს ომი ერაყში, კატრინას დამანგრეველი შედეგები და იგივე გაძვირებული ნავთობი.

ამის მიუხედავად, ვაშინგტონი არ აპირებს, შეეგუოს ენერგოშანტაჟისტებს და მას სულ უფრო და უფრო მეტად უჭერს მხარს ძველი კონტინენტიც. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ვილნიუსში თავისი ცნობილი გამოსვლის შემდეგ ყაზახეთს ესტუმრა. ასტანაში ჩავიდნენ ევროკომისიის წარმომადგენლებიც, მათ შორის, ენერგეტიკის კომისარი ანდრის პიბალგსი. ვიზიტის ერთ-ერთი უმთავრესი თემა კასპიის ზღვის გავლით ყაზახური გაზის აზერბაიჯანისათვის მიწოდება, იქიდან კი საქართველოსა და თურქეთის მეშვეობით დასავლეთში ტრანსპორტირება იყო. ვიზიტმა დიდი გაღიზიანება გამოიწვია მოსკოვში, სადაც მაშინვე ალაპარაკდნენ "რუსეთის ალყაში მოქცევის" ახალ მცდელობებზე. მოსკოვისათვის, ალბათ, განსაკუთრებით მძიმედ მოსანელებელია ის გარემოება, რომ ახალ "ანტირუსულ პროექტზე" ევროპა აშშ-სთან, და პირადად, დიკ ჩეინისთან ერთად მუშაობს, რომელმაც გასულ კვირას კრემლი სასტიკად გააკრიტიკა. რუსეთში უკვე შეუდგნენ იმ რუსი დემოკრატის ვინაობის კვლევას, რომელსაც "ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, ჩეინი თავის ცნობილ გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე შეხვდა. ამერიკული მხარე პიროვნების ვინაობას არ ამჟღავნებს. თუმცა, რუსმა მიმომხილველებმა უკვე გაარკვიეს, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩეინის იდუმალი თანამოსაუბრე - გოსდუმის დამოუკიდებელი დეპუტატი ვლადიმირ რიჟკოვი. ახლა ისღა დაგვრჩენია ვნახოთ, დადასტურდება თუ არა ეს ინფორმაცია და მოსთხოვენ თუ არა პასუხს რიჟკოვს "მტერთან" შეხვედრისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჩეინი რუსეთთან პოლიტიკის გამკაცრების მოთხოვნით, დიდი ხანია, გამოდის. აქამდე მოსკოვი თავს იმით ინუგეშებდა, რომ ჩეინის აზრს არ იზიარებდნენ აშშ-ს სხვა წამყვანი სახელმწიფო მოღვაწეები, უპირველეს ყოვლისა კი, კონდოლიზა რაისი. თუმცა, რაისის მიერ გაკეთებული ბოლოდროინდელი განცხადებები მოწმობს, რომ არა მხოლოდ პირადად ჩეინისა და მისი გუნდის, არამედ მთლიანად ვაშინგტონის პოლიტიკა რუსეთის მიმართ უკვე მკვეთრად იცვლება. "ჩვენ რუსებს სამ რამეს ვთხოვთ, - განაცხადა რაისმა ამერიკული გაზეთების რედაქტორებთან შეხვედრისას, - რომ მათ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ მიმდინარე უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიცაა ირანი, ახლო აღმოსავლეთი და სხვა. მეორეც, **რუსეთმა უნდა აღიაროს, რომ აშშ-ს კანონიერი ინტერესები გააჩნია ყოფილ საბჭოთა კავშირში**. მესამის, რომ ზოგჯერ ეს ძნელია. ზოგჯერ ჩნდება გარკვეული ეჭვები, მაგალითად, უკრაინასთან ჩვენი ურთიერთობების გამო, მაგრამ უკრაინა ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ეს ასეც გაგრძელდება. უკრაინას აშშ-სთან კარგი ურთიერთობები სურს, ჩვენ ასევე გვსურს კარგი ურთიერთობები ჰქონდეს რუსეთთან."

რაისის თქმით, მესამე საკითხი, რის გამოც მოსკოვი ამერიკული ადმინისტრაციის შეშფოთებას იწვევს, კრემლის შიდა პოლიტიკაა. აშშ-ს ახლანდელი საგარეო მინისტრისა და ადრე საუკეთესო ამერიკელი სოვეტოლოგის თქმით, რუსეთის მთელი ისტორია "ქაოსსა და ავტორიტარიზმს შორის მერყეობაა" და ახლა კვლავაც გაურკვეველია, საით მიდის ეს ქვეყანა.

ნავთობის ფასის გათვალისწინებით, ალბათ, ყველასათვის ცხადია, საით მიდის ეს ქვეყანა. რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, მხოლოდ 21-28 აპრილის პერიოდში ქვეყნის სავალუტო რეზერვები 8,6 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 225,7 მილიარდი შეადგინა. რუსეთმა ამ მაჩვენებლით აქამდე მეოთხე ადგილზე მყოფ სამხრეთ კორეას გაუსწრო და ახლა მხოლოდ ჩინეთს, იაპონიასა და ტაივანს ჩამორჩება. ძნელი სავარაუდოა, რომ ასეთი შემოსავლის პირობებში კრემლს დემოკრატიზაციისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის სტიმული ჰქონდეს.

თუმცა, არც იმის თქმა იქნება მართალი, რომ კრემლი თავის რეპუტაციაზე საერთოდ არ ზრუნავს. ახლახან რუსეთის მთავრობამ იმიჯის გასაუმჯობესებლად ამერიკული პი-არ ჯგუფი დაიქირავა. გარდა ამისა, გადაწყვეტილია "როსნეფტის" აქციათა ლონდონის საფონდო ბირჟაზე გაყიდვა (რაც, თითქოსდა, რუსული ენერგოსექტორის ლიბერალიზაციის ნიშანია). თუმცა, დასავლეთში ამ ნაბიჯს დიდი ენთუზიაზმით აღარ ხვდებიან. "როსნეფტი" სწორედ ის კომპანიაა, რომელსაც კრემლმა იაფად ჩააგდებინა ხელთ "იუკოსის" ქონება. "იუკოსის" ბედი ყველას კარგად ახსოვს და არავინ არის დარწმუნებული, რომ "როსნეფტის" აქციონერებსაც იგივე ბედი არ ეწევა, რა ბედიც ეწია "იუკოსის" მეპატრონეებს. ლონდონურმა საინვესტიციო ფირმა "ეფ ანდ სი ესეტ მენეჯმენტის" ხელმძღვანელობამ კი ისიც განაცხადა, რომ "როსნეფტის" აქციებს საერთოდ არ გაატარებს რეგისტრაციაში, სანამ ეს კომპანია არ წარმოადგენს ცნობებს, თუ როგორ იქნა დაკმაყოფილებული "იუკოსის" ყოფილ აქციონერთა სარჩელები.

## Dow Jones Index-ის ექვსწლიანი მაქსიმუმი

პარასკევს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გამართული ვაჭრობისას ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე კეთილისმყოფელი გავლენა ნავთობის ბირჟაზე შექმნილმა სიტუაციამ და დამაიმედებელმა მაკროეკონომიკურმა სიახლეებმა მოახდინა.

ამასთან, აშშ-ს შრომის სამინისტროს მონაცემებით, აპრილში ქვეყანაში უმუშევრობის დონე არ შეცვლილა და კვლავ 4,7 პროცენტი შეადგინა. ასე რომ, არ გამართლდა მისი ზრდის შესახებ არსებული ანალიტიკოსთა პროგნოზი.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 1,21 პროცენტით, 11.577,74 პუნქტამდე მოიმატა, რაც ბოლო 6 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. 0,8 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.342,57 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-ი 1,03 პროცენტით, 1.325,76 პუნქტამდე გაიზარდა.










## ნავთობს რუსეთი გააძვირებს

5 მაისს ნიუ იორკის ნავთობის ბირჟაზე გამართული ვაჭრობისას "შავი ოქროს" ღირებულებამ ცოტათი მოიმატა, თუმცა, ფიუჩერსების (სამომავლო კონტრაქტები) ფასებმა ბარელი ნავთობისათვის 71 დოლარს კვლავ არ გადააჭარბა. კერძოდ, Brent-ის მარკის 1 ბარელი ნავთობი 70,95 დოლარი, 1 ბარელი Light-ის მარკის ნავთობის ფასი კი 70,19 დოლარი ღირდა.

ნავთობის ფასის მატებას ხელი შეუწყო ირანის პრეზიდენტის მიერ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტის შესაძლო შეწყვეტის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ, აშშ-ში ბენზინის წარმოებისას მეთილტრიბუთილის გამოყენების აკრძალვამ, ერაყსა და ნიგერიაში შექმნილმა დაძაბულმა სიტუაციამ და ვენესუელასა და ბოლივიაში არსებულმა ვითარებამ. თუმცა, სიტუაცია შეარბილა აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის ნავთობის ნედლეულის მარაგი 346,7 მილიონ ბარელამდე, ხოლო ბენზინის მარაგი 202,7 მილიონ ბარელამდე გაიზარდა.

ექსპერტთა ვარაუდით, უახლოეს მომავალში ნავთობი კვლავ გაძვირდება, რასაც, ყველა არსებულ პრობლემასთან ერთად, ხელს რუსეთიდან ნავთობის ექსპორტზე გადასახადების გაზრდა შეუწყობს. ამიერიდან, რუსეთიდან ექსპორტირებულ 1 ტონა მსუბუქ ნავთობპროდუქტზე გადასახადი 137,9 დოლარი, 1 ტონა მძიმე ნავთობპროდუქტზე კი - 74,3 დოლარი იქნება. ადრე ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 120,7 და 65 დოლარი იყო.

ანალიტიკოსები ჯერჯერობით არაფერს ამბობენ, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს ნავთობის ფასებზე უახლოეს მომავალში დაგეგმილმა ირანის სანავთობე ბირჟის გახსნამ. იგი ნიუ იორკის, ლონდონის, სინგაპურის და ტოკიოს ბირჟების შემდეგ მსოფლიოს მეხუთე ამგვარი დაწესებულება იქნება.

ირანის ნავთობის ბირჟაზე ვაჭრობა ერთიანი ევროპული ვალუტით - ევროთი იწარმოებს. თუმცა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რომელ კომპანიებს მიეცემა ბირჟაზე საქმიანობის საშუალება. ანალიტიკოსთა აზრით, ამ იდეის წარმატების შემთხვევაში, ბევრი ქვეყნის ბანკი თავისი სავალუტო რეზერვის ნაწილს ევროში გადაიყვანს, რასაც დოლარის კურსის ვარდნა მოჰყვება.

## ესპანური ბანკი Santander-ი კონკურენტ Alliance & Leicester-ს 9,48 მილიარდ ევროდ ყიდულობს

ესპანეთის უმსხვილესი ბანკი Santander-ი ბრიტანეთის სიდიდით მეშვიდე ბანკ Alliance & Leicester-თან შერწყმის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს. მართალია, ამგვარი ინფორმაცია პირველად არ ჩნდება, მაგრამ ანალიტიკოსები იმედოვნებენ, რომ ბრიტანული ბანკის პრეზიდენტი რიჩარდ პიმი აქციონერებს დაარწმუნებს, მიიღონ კონკურენტის წინადადება, რომელიც გარიგების სანაცვლოდ 9,48 ევროს სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ ახლახან Alliance & Leicester-მა უარყო ფრანგული ბანკის Credit Agicole-ს წინადადება, რომელიც 8,46 მილიარდ ევროს იხდიდა. ესპანელები კი, როგორც მოგახსენეთ, მეტს სთავაზობენ და, ალბათ, ინგლისელები უარს აღარ იტყვიან.

საინტერესოა, რომ თუ ეს გარიგება შედგა, Santander-ი მეორე ბრიტანული ბანკს შეიერთებს. 2004 წელს უმსხვილესმა ესპანურმა ბანკმა Abbey National-მა 14,07 მილიარდ ევროდ შეიძინა. გასულ წელს Santander-ის სუფთა მოგებამ 6,22 მილიარდი შეადგინა, რაც 63 პროცენტით მეტია, ვიდრე 2004 წლის შემოსავალი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი მისი მოგება 22,5 პროცენტით, 2,84 მილიარდ ევრომდე გაიზარდა.

## Forbes-მა კასტროს მილიონები დაუთვალა

ავტორიტეტულმა ჟურნალმა Forbes-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს უმდიდრესი მეფეების, დედოფლების და დიქტატორების სია. პირველი ადგილი საუდის არაბეთის მეფემ აბდალა ბინ აბდულაზიზმა დაიკავა, რომელსაც 21 მილიარდი აქვს, მეორეზე კი, 20 მილიარდით, ბრუნეის სულთანი ჰაჯი ჰასან ალ ბოლკია გავიდა.

რეიტინგში მეშვიდე ადგილი დაიკავა კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ, რომელიც 900 მილიონ დოლარს ფლობს. ჟურნალის ინფორმაციით, ჯერ კიდევ 2003 წელს კასტროს ქონება მხოლოდ 100 მილიონ დოლარს შეადგენდა, მაგრამ "თავისუფლების კუნძულის" დიქტატორი ბოლო დროს ძალიან გამდიდრდა.

თავად კასტრომ განაცხადა, რომ მისი ქონება ნულის ტოლია და ამგვარი ცილისწამებისათვის უახლოეს მომავალში Forbes-ს აუცილებლად სასამართლოში უჩივლებს.



## თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ამოქმედდება

საქართველოს მთავრობა თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედების მიზნით შესაბამის დოკუმენტაციას ამზადებს.

"თურქეთი - ეს ის ქვეყანაა, რომელმაც პირველმა გამოუწოდა დახმარების ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და ყველაფერი გააკეთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. 2004 წელს, როდესაც აჭარაში პრობლემები შეიქმნა, თურქეთმა ყველაფერი გააკეთა, რომ აჭარის მოსახლეობა სისხლისღვრასა და სამოქალაქო დაპირისპირებას არიდებოდა. ეს არის ნიშანი დიდი მეგობრობისა," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის პრეზენტაციაზე.

მისივე თქმით, ამჟამად მზადდება დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც, ქართული პროდუქცია უფრო ადვილად შევა თურქეთის ბაზარზე.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ თურქული ინვესტიციები უფრო ინტენსიურად შემოდის საქართველოში.

"მარტო თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში მიმდინარე წელს 100 მილიონი დოლარი ჩაიდება. ეს ძალიან დიდი ინვესტიციაა საქართველოს ეკონომიკაში. თურქები აქტიურად დებენ ინვესტიციებს სამშენებლო ინდუსტრიაში, საწარმოების განვითარებაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამ მშენებლობებსა და საწარმოებში დასაქმებული იქნება უამრავი ქართველი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის," - განაცხადა პრეზიდენტმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სუფსას კალაპოტიდან ინერტულ მასალებს უკანონოდ მოიპოვებდნენ

გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ბიუროს თანამშრომლებმა ლანჩხუთის რაიონში წიაღისეულის უკანონოდ მოპოვების ფაქტი გამოავლინეს.

ინსპექციის დასავლეთის ბიუროს ხელმძღვანელის ერასტი მეტრეველის ინფორმაცით, ადგილობრივი კომპანია "ინტერმშენკომპანია" მდინარე სუფსას კალაპოტიდან ინერტულ მასალებს უკანონოდ მოიპოვებდა. ამოღებულია 1000 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ოდენობა 3000 ლარს აღემატება.

საქმე შემდგომი ძიებისათვის ოზურგეთის რაიონულ პროკურატურას გადაეცა. შპს "ინტერმშენკომპანიას" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სხვა დეტალებთან ერთად, გამოძიება იმასაც დაადგენს, ეს კომპანია წიაღისეულს უკანონოდ რამდენი ხნის განმავლობაში მოიპოვებდა. **მედიანიუსი**

## გაზპრომის აქციის ფასი 12,7 აშშ დოლარია

"გაზპრომის" საბაზრო კაპიტალმა დღეს 300 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

გაზის კონცერნის აქციების ბოლო გარიგებამ ერთი აქციისათვის 12,7 აშშ დოლარი შეადგინა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.

"გაზპრომის" საწესდებო კაპიტალის საფუძველზე, რომელიც 23 მილიარდ 673 მილიონ 512,9 ათას აქციას შეადგენს, დღეისათვის მისმა საბაზრო კაპიტალმა, ბოლო ფასის გათვალისწინებით, 300, 65 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამერიკაში უმუშევრობა იზრდება

ამერიკის შეერთებული შტატების შრომით ბაზარზე არც ისეთი კარგი სიტუაციაა, როგორც ამას თეთრი სახლი იუწყება.

მიმდინარე წლის აპრილში აშშ-ს ეკონომიკამ მხოლოდ 138 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. როგორც ქვეყნის დასაქმების დეპარტამენტი იუწყება, დასაქმების კუთხით ამერიკის ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილების დაცემის ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, მარტში შექმნილი იყო მხოლოდ 200 ათასი ახალი სამუშაო ადგილი.

ქვეყნის უმუშევრობის მაჩვენებელი ბოლო 4 წლის განმავლობაში სტაბილურია - არც იკლებს და არც იმატებს. გამონაკლისია თებერვალი, როდესაც სტატისტიკურად უმუშევრობის მცირეოდენი ზრდა დაფიქსირდა.ექსპერტები უმუშევრობის ტემპების ზრდის გამო სერიოზულად არიან შეშფოთებულები. განსაკუთრებით ალმაშფოთებელია ეს ფაქტი ნავთობის გაძვირებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ინფლაციის ფონზე. ისინი აკრიტიკებენ ამერიკის პრეზიდენტს, რომელიც აცხადებს, რომ ამერიკის ეკონომიკა სწრაფი ტემპებით იზრდება და განსაკუთრებული დადებითი ძვრები შრომით ბაზარზე შეინიშნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 8/05 | 9/05 | 10/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 17 | 21 |
| რიგა | 18 | 17 | 18 |
| ვილნიუსი | 16 | 15 | 15 |
| მოსკოვი | 15 | 18 | 15 |
| მინსკი | 16 | 16 | 15 |
| პარიზი | 12 | 15 | 18 |
| რომი | 21 | 19 | 22 |
| ლონდონი | 23 | 11 | 20 |
| მადრიდი | 24 | 23 | 24 |
| ბონი | 22 | 21 | 22 |
| ვარშავა | 22 | 19 | 20 |
| ათენა | 23 | 22 | 21 |
| ბერნი | 16 | 16 | 21 |
| ამსტერდამი | 17 | 18 | 18 |
| ოსლო | 22 | 23 | 23 |
| ანკარა | 21 | 22 | 26 |
| ვარნა | 20 | 21 | 18 |
| დელი | 51 | 49 | 46 |
| ტოკიო | 23 | 24 | 26 |
| კოპენჰაგენი | 17 | 16 | 20 |
| ბაქო | 26 | 27 | 23 |
| ერევანი | 30 | 28 | 30 |
| ასტანა | 12 | 16 | 16 |
| ჰელსინკი | 17 | 16 | 13 |
| დუბლინი | 12 | 8 | 11 |
| ლისაბონი | 21 | 21 | 23 |
| პრაღა | 20 | 18 | 17 |
| სოფია | 20 | 22 | 20 |
| ბუდაპეშტი | 20 | 22 | 19 |
| ბუხარესტი | 22 | 23 | 21 |

# სოფლის მეურნეობა

### რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე



პირველი გვერდიდან

## ავსტრია, ლიტვა და საქართველო - სოფლის მეურნეობის ძირითადი პარამეტრები

განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ძირითადი ნაწილი მრეწველობაზე და მომსახურების სფეროზე მოდის, ხოლო სოფლის მეურნეობის წვლილი, როგორც წესი, საკმაოდ მცირეა. ავსტრიის შემთხვევაში სოფლის მეურნეობის წვლილი მშპ-ში 2,3 პროცენტს შეადგენს. ამასთან, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება საქართველოზე 1,5-ჯერ მეტი, დაახლოებით, 1,5 მლნ ჰექტარი მიწა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 3,4 პროცენტი და საშუალო ფერმის ზომა შეადგენს 16,4 ჰექტარს (ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 17,8 ჰექტარია). ტრაქტორების საერთო რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით 300 000-ია, ანუ 20 ერთეული 100 ჰექტარზე.

როგორც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელის რაოდენობისა და მათ მიერ მშპ-ში შეტანილი წვლილის ანალიზი გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა საშუალო შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში და მომსახურების სფეროში დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერების 2/3-ს შეადგენს. განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, ბევრად დაბალია. ავსტრიის სოფლის მეურნეობაში შრომის მაღალი ნაყოფიერება პირდაპირ კავშირშია ფერმების ძალიან კარგ ტექნიკურ აღჭურვილობასთან, რაზეც ცხადად მიუთითებს ტრაქტორების სიმრავლე.

გარდამავალ ეტაპზე მყოფი ლიტვის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ მოყვანილისგან. სოფლის მეურნეობის წვლილი მშპ-ში 7,6 პროცენტს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გამოიყენება დაახლოებით 3 მლნ ჰექტარი მიწა, ხოლო სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის სრული რაოდენობის 18,5 პროცენტი. მაშასადამე, აგრარულ სექტორში დასაქმებული ადამიანის შრომის საშუალო ნაყოფიერება მრეწველობაში და მომსახურების სფეროში დასაქმებულის 40 პროცენტს შეადგენს. აგრარული ფერმის საშუალო ზომაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ავსტრიაში და დაახლოებით 10 ჰექტარია. ტრაქტორების საერთო რაოდენობა დაახლოებით 100 000-ია (აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ლიტვაში 1997 წლიდან 2000 წლამდე 76 000 დან 96 000-მდე გაიზარდა), ანუ 3 ერთეული 100 ჰექტარზე.

საქართველოსთვის იგივე პარამეტრები ასე გამოიყურება (გამოყენებულია აშშ ცენტრალური სადაზვერვო ბიუროსა და "Earth Trends"-ის მონაცემები): სოფლის მეურნეობის წვლილი მშპ-ში 16 პროცენტია. სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის სრული რაოდენობის 40 პროცენტი და, შესაბამისად, აგრარულ სექტორში დასაქმებული ადამიანის შრომის საშუალო ნაყოფიერება მრეწველობაში და მომსახურების სფეროში დასაქმებულის 40 პროცენტს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გამოყენებული მიწის რაოდენობა დაახლოებით 1 მლნ ჰექტარია. საშუალო ფერმერული მეურნეობის ზომა საქართველოში დაახლოებით 1,5 ჰექტარია. ტრაქტორების საერთო რაოდენობა - 17 000, ანუ 1,7 ერთეული 100 ჰექტარზე.

ნიშანდობლივია, რომ საშუალო ქართული ფერმის ზომა 11-ჯერ ნაკლებია ავსტრიულზე და 6-ჯერ - ლიტვურზე. აქვე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ლიტველები თავიანთი სოფლის მეურნეობის პრობლემების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, ევროპულთან შედარებით, ფერმების მცირე ზომას მიიჩნევენ, ნათელი გახდება ქართული სოფლის მეურნეობის კრიზისის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი: **1 მლნ ჰექტარი მიწა, როგორც წარმოების საშუალება, პრინციპში, საკმარისი არ არის საქართველოს რურალურ რეგიონებში მცხოვრები დაახლოებით 2 მლნ ადამიანისათვის საჭირო სამუშაო ადგილების შესაქმნელად**. თუ თანამედროვე ფერმის საშუალო ზომად 10 ჰექტარს ვიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ საქართველოში არსებულ 1მლნ ჰექტარზე შეიძლება სრულფასოვნად დასაქმდეს 100 000 ოჯახი. ეს პრობლემა სულაც არ არის ახალი და მას, ამა თუ იმ ფორმით, ყველა ქვეყანა წააწყდა. სწორედ ამიტომაა, რომ არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მომუშავეთა საერთო რაოდენობის 5 პროცენტს არ აღემატება. ამ პრობლემებზე ქვევით დაწვრილებით ვისაუბრებთ. გვინდა, ყურადღება კიდევ ერთ ნიშანდობლივ მონაცემზე გავამახვილოთ - ჩვენი სოფლის მეურნეობის ძალიან ცუდ ტექნიკურ აღჭურვილობაზე: ტრაქტორების რაოდენობით, სასოფლო-სამეურნეო ფართობების ერთეულზე ჩვენ თითქმის 2-ჯერ ჩამოვრჩებით ლიტვას და 12-ჯერ - ავსტრიას.

## აგრარული რეფორმა ლიტვაში, 1991-1994

მიწის რეფორმა ლიტვაში 1991 წელს დაიწყო, თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, კარგა ხანს გაიწელა და, საბოლოოდ, 1999 წელს დასრულდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოსგან განსხვავებით, ლიტვაში არსებობდა დოკუმენტაცია კომუნისტურ ოკუპაციამდე მიწის მფლობელების შესახებ და, შესაბამისად, მიწის ნაკვეთების მოსახლეობისათვის გადაცემა მიწის წინა მესაკუთრეების ინტერესების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. პირველ ეტაპზე კონსტიტუციაში შეტანილი იქნა მუხლი, რომლის მიხედვითაც მიწის მფლობელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ლიტვის მოქალაქე, თუმცა მოგვიანებით, ლიტვაში მიწის შეძენის უფლება უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც მიეცათ.

ლიტველებმა სწრაფად გაიაზრეს, რომ მათთან არსებულ მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებში შეუძლებელი იქნებოდა ევროპული ტიპის, კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის განვითარება. ამიტომ, ევროკავშირის პროგრამა PHARE-ის დახმარებით ინტენსიურად დაიწყეს მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. ამის გარდა, პროგრამა PHARE-ს ფარგლებში (ამ პროგრამის საერთო ღირებულებამ 29 მლნ ევრო შეადგინა) 1991-1994 წლებში განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იყო ლიტვის აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი სტრატეგიის შემუშავებაზე, კერძო ფერმერული მეურნეობების სამრჩევლო მომსახურების შექმნაზე, სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შესწავლაზე, მიწის საინფორმაციო სისტემის განვითარებაზე და რურალური საბანკო სისტემის განვითარებაზე.

1994 წელს ეს ღონისძიებები სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული გეგმის დამტკიცებით ლოგიკურად დასრულდა. დაისახა ქვეყნის აგრარული განვითარების შემდგომი ძირითადი მიზნები:

■ მაღალი ხარისხის საკვებ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

■ საკვები პროდუქტების ექსპორტის განვითარება;

■ ფერმერების საშუალო შემოსავლის ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიახლოება;

■ რურალურ რეგიონებში უმუშევრობის შემცირება;

■ რურალურ რეგიონებში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარების ხელშეწყობა.

ამ პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა აგრარული პროდუქციის ფასწარმოქმნის სისტემის რადიკალური რეფორმა. კომუნისტურ პერიოდში ლიტვაში, ისევე როგორც საქართველოში, აგრარული პროდუქციის შესყიდვას სახელმწიფო დადგენილი ფიქსირებული ფასებით ახდენდა. ეს სისტემა სწრაფად შეიცვალა საბაზრო ეკონომიკით, რამაც პირველ ეტაპზე ფერმერების შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია.

## ლიტვური რეფორმების მეორე ეტაპი, 1995-1997

1995-1997 წლებში განხორციელდა აგრარული რეფორმების მეორე ეტაპი. დაიწყო PHARE-ს ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ფინანსდებოდა რეფორმები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მათ შორის, გადამამუშავებელ მრეწველობაში. მოხდა საკვები პროდუქტების კონტროლის თანამედროვე ევროპული სისტემის დანერგვა და რურალურ რეგიონებში საკრედიტო სისტემის განვითარების ხელშეწყობა. ამ ღონისძიებების პარალელურად ლიტვის მთავრობა მივიდა აბსოლუტურად სწორ დასკვნამდე, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის საჭიროა დარგის სერიოზული სუბსიდირება. გამოყოფილი იქნა საკმაოდ დიდი სახსრები და სახელმწიფომ დაიწყო "მინიმალური შესყიდვის ფასების" (Miniamal Purchase Price - MPP) პროგრამის განხორციელება, რომელიც პოზიტიური მიზნების მიუხედავად, შემდგომში ერთ-ერთ ყველაზე წარუმატებელ ნაბიჯად იქნა შეფასებული.

MPP პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ განსაზღვრა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქციის ის რაოდენობები, რომელსაც ის შეიძენდა საბაზრო ფასად. ამას უნდა გამოეწვია სოფლის მეურნეობის პირველად პროდუქციაზე ფასების ზრდა, ფერმერებისთვის პროდუქციის გასაღების პრობლემის გადაწყვეტა და, შედეგად, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა. გარდა ამისა, პირველადი პროდუქციის მწარმოებლებზე ხორციელდებოდა პირდაპირი სუბსიდიები. სახელმწიფო ახორციელებდა ექსპორტირებული აგრარული პროდუქციის სუბსიდირებას, შედარებით მოუსავლიან და მწირ რეგიონებში ფერმერების პირდაპირ სუბსიდირებას და იძლეოდა სუბსიდიებს მოწეული პროდუქციის შენახვაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი ტიპის ნახევრადკომუნისტურმა მეთოდებმა, პრაქტიკულად, არანაირი პოზიტიური შედეგი არ გამოიღო. ხელისუფლებას არ ჰქონდა ფერმერებთან პირდაპირი კავშირის მექანიზმები, რის გამოც სუბსიდიების ოდენობის განსაზღვრისათვის იძულებული იყო პროდუქციის გადამმუშავებლების მონაცემებს დაყრდნობოდა, რომლებიც გასცემდნენ კიდევაც აღნიშნულ სუბსიდიებს ფერმერებზე. ასეთმა სისტემამ სწრაფად გამოიწვია სექტორში კორუფციის დონის მკვეთრი ზრდა. გარდა ამისა, ასეთი ღონისძიებები ხელს არ უწყობდა აგრარული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, ფერმერულ მეურნეობებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და მოდერნიზაციას. ყოველივე ამის გათვალისწინებით სახელმწიფომ 1997 წელს MMP პროგრამა შეწყვიტა.

ლიტვაში სოფლის მეურნეობის რეფორმის მესამე და მეოთხე, დასკვნით ეტაპებზე საუბარს "24 საათი ბიზნესის" ხვალინდელ ნომერში განვაგრძობთ. მოგითხრობთ თუ როგორ მიაღწიეს ლიტველებმა მშპ-ს განუხრელ ზრდას, დასაქმების დონის მატებას, შემოსავლებისა და ცხოვრების სტანდარტების ზრდას, ქვეყნის დაბალანსებულ რეგიონულ განვითარებას და დაბალანსებულ ურბანულ-რურალურ წინსვლას.

## ეკონომიკის სამინისტრო რამდენიმე ობიექტს ყიდის

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კიდევ რამდენიმე ობიექტი გამოაქვს გასაყიდად. კერძოდ, 8 მაისიდან განაცხადების მიღება იწყება ონში, კურორტ შოვში მდებარე სს "პანსიონატი მამისონის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 99,8482 პროცენტის პრივატიზაციის მიზნით. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 500 000 დოლარია. ობიექტი მოიცავს შენობა-ნაგებობებს: ახალი მე-4 კორპუსი; 500 და 700-ადგილიანი სასადილო; ფინური ხის კოტეჯები - 7 ცალი; აბანო; სახანძრო აუზი; მინერალური წყლის ბიუვეტი; საყარაულო სახლი და მეტეოსადგური; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წილობრივი მიწის ფართი 172 500 კვ.მ.

200 ათას დოლარად არის შეფასებული სს"გლდანულას" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 90 პროცენტი. ობიექტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხელოვნური ტყავის სატრიკოტაჟო, საგალანტერეო, სამკერვალო წარმოება და მანქანათმშენებლობა. ობიექტი სარაჯიშვილის გამზირზე N37-ა-ში მდებარეობს.

ამავე საწყის ფასად, კერძოდ, 200 ათას დოლარად არის შეფასებული სს "ენერგოტექკომპლექტის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 62,373 პროცენტი. ობიექტი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე N50-ში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფერო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებია.

შპს "რკინიგზის თბილისის საგანყოფილებო პოლიკლინიკა" კი 100 ათას დოლარად იყიდება. მისი საქმიანობის სფერო სამკურნალო დახმარება, კლინიკო-დიაგნოსტიკური გამოკვლევები, სამედიცინო პროფილაქტიკა, სამედიცინო რეაბილიტაცია, საექსპორტო სამედიცინო საქმიანობაა.

იყიდება ასევე, თბილისში, ვეზისის ქ.N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობები (№N1 და N2 664კვ.მ საერთო ფართით) და 910 კვ.მ მიწის ფართი, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 45 000 დოლარია. აუქციონი, აღნიშნული ობიექტების პრივატიზაციის მიზნით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 8 ივნისს 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ეკონომიკის სამინისტროს გასაყიდად ცხრა ენერგოობიექტი გამოაქვს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასაყიდად ქვეყნის ცხრა ენერგოობიექტი გამოიტანა. პირველი მათგანი - სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა N16 ა-ში მდებარეობს და 30 000 000 დოლარად არის შეფასებული.

მეორე ობიექტი - შპს "აჭარის ენერგოკომპანია" ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N103-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 5 000 000 დოლარი.

საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაშია სააქციო საზოგადოება "კახეთის ენერგოდისტრიბუცია", რომელიც თელავში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 2 მილიონ დოლარს შეადგენს. ამავე სიაშია ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთში არსებული ჰიდროელექტროსადგური "აწჰესი". იგი 4 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

პრივატიზაცია შეეხება თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში მდებარე ჰიდროელექტროსადგურ "ძევრულჰესს". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი. ასევე გაიყიდება ტყიბულში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "შაორჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 12 მილიონი დოლარი.

საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა ჰიდროელექტროსადგური "გუმათჰესების კასკადი". იგი ქუთაისში, გუმათის მარცხენა დასახლებაში მდებარეობს და 12 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

იყიდება ცაგერის რაიონის სოფელ ალპანაში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "ლაჯანურჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 26 მილიონი დოლარი. საპრივატიზაციოდ არის გამოტანილი ასევე ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის N5-ში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "რიონჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი. ზემოთ ჩამოთვლილი ცხრავე ენერგოობიექტი კონკურსის წესით, 16 ივნისს გაიყიდება. **მედიანიუსი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

დასველება ევროპულად



C2

"ბაიერნის" ოქროს დუბლი



C3

ცქიტიშვილმა ითამაშა - "სანზი" ისტორიას წერს!



C4

## ახალი ზელანდია და "დიადორა"

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველ სრულფასოვან შეკრებას ახალი მთავარი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით მაისის ბოლოს გაივლის. ეს შეკრება გერმანია-ავსტრიაში გაიმართება და პოსტზე დანიშვნიდან პირველად, გერმანელი სპეციალისტი თითქმის უძლიერეს შემადგენლობას მოუყრის თავს. უკვე დაგეგმილია ერთი ამხანაგური მატჩი, რომელსაც ჩვენი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე პარაგვაისთან გამართავს. ეს შეხვედრა ავსტრიის ქალაქ დორნბირში 31 მაისს გაიმართება. მანამდე ჩვენი ეროვნული ნაკრები ტოპმიოლერის სამშობლოში, გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში იქნება დაბანაკებული. შესაძლოა, ფრაიბურგში ყოფნისას ჩვენმა ეროვნულმა ერთი ამხანაგური თამაშიც ჩაატაროს. მოლაპარაკებები რამდენიმე ქვეყნის ნაკრებთან მიმდინარეობს. სავარაუდო მეტოქეთა შორის სერბეთის, უნგრეთისა და კოსტა რიკის ნაკრებთა სახელები ფიგურირებდა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კიდევ ერთ ქვეყანასთან, კერძოდ, ახალ ზელანდიასთან წამოიწყო ინტენსიური მოლაპარაკება. თუ შეთანხმება მოხერხდა, რაც უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, მატჩი ახალი ზელანდიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის 27 მაისს ფრაიბურგში გაიმართება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალი ტექნიკური სპონსორის ძიებაშია. დღემდე ამ მისიას ცნობილი გერმანული კომპანია "პუმა" ასრულებს. არ არის გამორიცხული, "პუმას" იტალიური "დიადორა" ჩაენაცვლოს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად თბილისში იმყოფება "დიადორას" გაყიდვების მენეჯერი რიკარდო მაცოლერი და სფფ-ს ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. როგორც შევიტყვეთ, ქართული მხარე ითხოვს, რომ "დიადორამ" სასინჯი ეგზემპლარები წარმოადგინოს. სავარაუდოდ, ახალ ეკიპირებას გასინჯავენ ავსტრიაში - საქართველოს ნაკრები პარაგვაის "დიადორას" ექსპერიმენტული ფორმით დაუპირისპირდება. იტალიური მხარე ქართული სპორტული ეკიპირების საგამსაღებლო ბაზარსაც სწავლობს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან სასპონსორო კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში თბილისში საფირმო მაღაზიების გახსნასაც გეგმავს.

## კალაძე ევროპის ნაკრებში მიიწვიეს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ზედიზედ მეორედ მიიწვიეს ევროპის ნაკრებში. ჩვენი გუნდის ლიდერი ძველი კონტინენტის სიმბოლურ ნაკრებში 4 ხმით, ევროპის სპორტულ გამოცემათა კავშირის აპრილის გამოკითხვის შედეგად მოხვდა. კალაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც წილად ხვდა პატივი მეორედ მოხვედრილიყო ევროპის ნაკრებში. მის გარდა, თვის სიმბოლურ გუნდში თავის დროზე გიორგი ქინქლაძე დაასახელეს. წელს კი თებერვლის გუნდში ჰოლანდიის "ალკმაარის" ქართველი ფორვარდი შოთა არველაძე მოხვდა.

აპრილის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება: იენს ლემანი (არსენალი), კარლეს პუიოლი (ბარსელონა), კრისი (ლიონი), კოლო ტურე (არსენალი), კახა კალაძე (მილანი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), კაკა (მილანი), რონალდინიო (ბარსელონა), დავიდ ვილია (ვალენსია), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), სამუელ ეტო`ო (ბარსელონა). საინტერესოა, რომ აპრილის სიმბოლურ ნაკრებში მარტის გუნდიდან კახა კალაძის გარდა ლემანი, ტურე, კრისი, კაკა და რონალდინიო მოხვდნენ.

## თასის ფინალს ვადაჭკორია გაუძღვება

გადაწყდა, რომ დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების ფინალურ მატჩს, რომელიც 13 მაისს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება, მოემსახურება მსაჯთა ბრიგადა გიორგი ვადაჭკორიას ხელმძღვანელობით. მას დაეხმარებიან გვერდითი მსაჯები - ფიფას ასისტენტები ლევან მიქელაძე და ზურაბ ჯვარიძე. სათადარიგო მსაჯი კი ეროვნული კატეგორიის არბიტრი არსენ ნონიკაშვილი იქნება. მატჩი 20 საათზე დაიწყება.

## გერმანული მაგალითი

ბერლინელმა მღვდელებმა საეკლესიო სამოსი საფეხბურთო მაისურებზე გაცვალეს და მუსულმანი იმამების წინააღმდეგ საფეხბურთო მატჩი გამართეს. ასეთი ამხანაგური მატჩის წყალობით გერმანიაში კონფესიებს შორის დიალოგის დამკვიდრებას აპირებენ. ამ საინტერესო მატჩის სამსაჯოდ რაბინი მოიწვიეს. თამაში საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა და არბიტრს საქმე თითქმის არ ჰქონია. 90 წუთის განმავლობაში ერთადერთი ჯარიმა დაინიშნა, ისიც შემთხვევითი უხეშობის გამო. შეხვედრა მოიგო კათოლიკე და პროტესტანტი მღვდელების ნაკრებმა 12:1, თუმცა, როგორც ამბობენ, არც მუსულმანი ღვთისმსახურები დარჩენილან უკმაყოფილონი.

## გარდაიცვალა ბესკოვი

შაბათს ხანგრძლივი ავაადმყოფობის შემდეგ 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი რუსი მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი. ბესკოვი არაერთ რუსულ კლუბს წვრთნიდა, თუმცა მისი სახელი ძირითადად მაინც მოსკოვის "სპარტაკს" უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე კონსტანტინ ბესკოვი საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც ედგა სათავეში.

## ულიემ კონტრაქტი გააგრძელა

მას შემდეგ, რაც "ლიონმა" ზედიზედ მეხუთედ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული, კლუბის ხელმძღვანელებმა გააგრძელეს კონტრაქტი "ლიონის" მთავარ მწვრთნელ ჟერარ ულიესთან. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდა. საქმე ისაა, რომ მოქმედ კონტრაქტში, რომლის ვადა, წესით, 2007 წელს იწურებოდა, ჩადებული იყო პუნქტი, რომლის თანახმად, თუ "ლიონი" ამ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს მოიგებდა, კონტრაქტი ავტომატურად გრძელდებოდა კიდევ ორი სეზონით.

# ჩემპიონი ბოლო ტურში გაირკვევა



გოგიტა ბახაიძის ფოტო

"დინამო" მხოლოდ "ინტერტოტოს" საგზურისთვის იბრძოლებს.

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურმაც ვერ გასცა პასუხი მთავარ შეკითხვას - ვინ დაიმშვენებს მკერდს ოქროს მედლებით. მხოლოდ ერთი რამ გახდა ცნობილი: გორის "დილასთან" ადვილად პროგნოზირებადი გამარჯვებით თბილისის "ვიტ ჯორჯიას" მდევრებზე ზრუნვა აღარ მოუწევს. ამ გუნდმა ბოლო ტურის წინ სატურნირო ცხრილის უახლოეს მეზობლებთან 6-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა და ბოლო მატჩში რომ დამარცხდეს კიდეც, ვერცხლის მედლებს მაინც ვერავინ შეეცილება.

ჩემპიონის ტიტულისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ბოლნისის "სიონმა". ამ მატჩში სასწაულს თვით "სიონის" მთავარი კონკურენტი "ვიტ ჯორჯიაც" კი არ ელოდა ერთი უბრალო მიზეზის გამო: "ამერს", რომელიც დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ფინალშია გასული, ეროვნულ ჩემპიონატში არავითარი მოტივაცია არ შერჩენია. მით უმეტეს, რომ საქართველოს თასის ნახევარფინალურ ეტაპზე "ამერმა" სწორედ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი "სიონი" გამოთიშა ტურნირს. ბოლნისელებს მაინცდამაინც არ მოუკლავთ თავი თასის ფინალში გასვლაზე ზრუნვით. განმეორებითი მატჩი, რომელიც 2 მაისს გაიმართა "ამერის" სტადიონზე, მათ 0:1 დათმეს (პირველი მატჩი 0:0 დასრულდა). "სიონის" მწვრთნელმა კახა ცხადაძემ მიანიშნა, რომ ორი კურდღლის დევნას არც აპირებდა და ხსენებულ თამაშზე პრაქტიკულად დუბლშემადგენლობა გამოიყვანა. პრინციპში, ეს გამართლებულიც იყო თუნდაც იმიტომ, რომ ამ მომენტისთვის ბოლნისელთა ძირითადი შემადგენლობის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის ზღვარზე იმყოფებოდა. რეგლამენტის მიხედვით, თასის ტურნირში მიღებული ყვითელი ბარათი ეროვნულ ჩემპიონატზეც ვრცელდება. ამიტომ "ამერისთვის" ბრძოლის შეთავაზების შემთხვევაში ყვითელი ბარათების მიღების ალბათობა მეტი იქნებოდა, რაც აუცილებლად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა "სიონის" საჩემპიონო ამბიციებს.

ანალოგიური აიტუაცია გამეორდა "სიონი"-"ამერის" ორი დღის წინანდელ მატჩშიც. "ამერის" მთავარი სამიზნე 13 მაისია, ანუ თასის ფინალის თარიღი. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმაც, წითელ-ყვითელი ბარათებისა და ტრავმებისგან თავის დაზღვევის მიზნით, ბოლნისში სათადარიგო შემადგენლობა წაიყვანა. ასეთი გუნდით კი, "ამერმა", რაღა თქმა უნდა, ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია საკუთარ კედლებში მოთამაშე და ოქროს მედლებზე დაგეშილ "სიონს". ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა ხუციშვილმა, რასაც მომდევნო ნახევარ საათში "სიონის" საუკეთესო ბომბარდირის მიკუჩაძის მიერ სტუმართა კარში გატანილი კიდევ ორი გოლი მოჰყვა. "სიონმა" 3:0 გაიმარჯვა, რითაც თითქმის დაიბევა ჩემპიონის ტიტული.

გაგრძელება C2 გვერდზე

## ინფოთეკა

### სერ ბობიმ კიბო დაამარცხა

ინგლისის ნაკრებისა და "ნიუკასლის" ყოფილი თავკაცის სერ ბობი რობსონის განცხადებით, მისმა ფილტვის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. რობსონს ფილტვის სიმსივნე მას შემდეგ აღმოუჩინეს, რაც თხილამურებით სრიალისას მიღებული ტრავმის გამო რენტგენი გადაუღეს. "თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ. მადლობა ღმერთს, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ჩემი მძიმე ავადმყოფობა წარსულს ჩაბარდა", - განაცხადა "ნიუკასლის" ყოფილმა თავკაცმა, რომელსაც მანამდე ორჯერ - 1992 და 1995 წლებში ამოკვეთეს სიმსივნური წანაზარდები. "მომავალ კვირას უკვე შემეძლება დუბლინში ჩასვლა და მუშაობის დაწყება", - თქვა სერ ბობიმ, რომელიც ირლანდიის მთავარი მწვრთნელის სტივ სტონტონის თანაშემწე გახლავთ. 24 მაისს ირლანდია ჩილეს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.

### რობერტო კარლოსი "ჩელსიში"?

ინგლისური პრესის ცნობით, მადრიდის "რეალის" ვარსკვლავთან, რობერტო კარლოსთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ბრაზილიელი მცველი მომავალი სეზონიდან ლონდონის "ჩელსიში" გააგრძელებს კარიერას. იმავე წყაროს მტკიცებით, "არისტოკრატთა" პორტუგალიელ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს კარლოსი მარცხენა ფლანგზე პრობლემების მოსაგვარებლად სჭირდება. სახელდება ოფიციალური თანხაც - რომან აბრამოვიჩი "რეალს" კარლოსის სანაცვლოდ 4 მილიონ ფუნტ სტერლინგს სთავაზობს, ანუ იმაზე 8 მილიონით ნაკლებს, რასაც იანვარში მადრიდელებს ყატარი სთავაზობდა. გარდა ამისა, "არისტოკრატები" მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ფეხბურთელს ორწლიან კონტრაქტს ჰპირდებიან.

### რუნის ლაზერული თერაპია გადაარჩენს

ინგლისელ ექიმთა განცხადებით, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი უეინ რუნი შესაძლოა ვადაზე ადრე გამოჯანმრთელდეს. ამისთვის კი საჭიროა კლუბის ექიმების თანხმობა, რათა რუნის სპორტულ მედიცინაში ბოლო გამოგონება - ლაზერული თერაპია ჩაუტარდეს. "თუ კლუბის ექიმები დათანხმდებიან და რუნის მკურნალობისას ლაზერულ თერაპიას გამოიყენებენ, პირობას გაძლევთ, რომ უეინი ოთხ-ხუთ კვირაში მწყობრში იქნება. მსგავსი მკურნალობა პირველად მოტომრბოლ ლეიტონ უოლკერს ჩავუტარეთ, როცა მან ხელი მოიტეხა და ექიმები 6-თვიან იძულებით დასვენებას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, ლაზერული თერაპიის შემდეგ უოლკერი ოთხ კვირაში მიუჯდა საჭეს", - განაცხადა სპორტული ტრავმების სპეციალისტმა ბრაიან სიმპსონმა. "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი კი მიიჩნევს, რომ უეინ რუნი სვენ გორან ერიქსონის გუნდისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს. "ბოლო დროს რუნის დიდი მოვალეობები დააკისრეს. დაავიწყდათ, რომ უეინი სულ რაღაც 20 წლისაა. ნაკრებში კი თამაშობენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან დევიდ ბექჰემი, სტივ ჯერარდი და ფრენკ ლამპარდი. ასე რომ, თუ ისინი უმაღლეს დონეზე ითამაშებენ, მაშინ არა მგონია, რუნის არყოფნა ინგლისის ნაკრებისთვის დიდი ტრაგედია იყოს", - თქვა სერ ალექსმა.

## ჯერ მხოლოდ 16

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა გამოაქვეყნა იმ 16 ფეხბურთელის სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ჩემპიტონატის ფინალური ეტაპის მოსამზადებელ საწვრთნელ შეკრებაში. ამავდროულად პეკერმანმა განაცხადა, რომ 15 მაისამდე იგი სიას 23 ფეხბურთელამდე გააფართოებს.

არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის 16 რჩეულის სია კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები**: აბონდანსიერი ("ბოკა ხუნიორსი"), ლეო ფრანკო ("ატლეტიკო")

**მცველები**: ბურდისო ("ინტერი"), გაბრიელ მილიტო ("სარაგოსა"), კოლოჩინი ("დეპორტივო"), კუფრე ("რომა"), აიალა ("ვალენსია"), ჰაინცე ("მანჩესტერი")

**ნახევარმცველები**: მაქსი როდრიგესი ("ატლეტიკო"), კამბიასო ("ინტერი"), სორინი ("ვილიარეალი"), რიკელმე ("ვილიარეალი"), ლუჩო გონსალესი ("პორტუ"), სკალონი ("ვესტ ჰემი")

**თავდამსხმელები**: მესი ("ბარსელონა"), კრესპო ("ჩელსი")

## ახალი სახელების გარეშე

სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმა განაცხადა, რომ მის 23-კაციან განაცხადში, რომელსაც 15 მაისამდე წარუდგენს საზოგადოებას, ახალი სახეები არ იქნებიან. "ყველა ის ფეხბურთელი, რომლებიც თამაშობდნენ შესარჩევ ციკლში და მოიპოვეს მუნდიალზე თამაშის უფლება, გაემგზავრებიან გერმანიაში. სწორედ მათ დაიმსახურეს ეს პატივი", - აცხადებს პეტკოვიჩი.

## სტადიონი რუსებისთვის

მოსკოვში, ბოტანიკური ბაღის რაიონში, აშენდება ახალი სტადიონი სპეციალურად რუსეთის ნაკრებისთვის. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო "რია ნოვოსტიმ". რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიტალი მუტკოს თქმით, სტადიონზე 55 ათასი გულშემატკივარი დაეტევა და ეს იქნება სრულიად თანამედროვე ტიპის ნაგებობა. აღსანიშნავია, რომ ახალი სტადიონის მშენებლობას "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი დააფინანსებს.

## ივანაუსკასი რჩება

შოტლანდიური "ჰართსის" მფლობელმა ვალდიმი რომანოვმა განაცხადა, რომ გუნდს მომავალ სეზონშიც ვალდას ივანაუსკასი გაწვრთნის. "დიახ, ის იქნება მომავალ სეზონში მწვრთნელი. მე ვესაუბრე გუნდის კაპიტანს და რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს. ისინი ვალდასს ენდობიან", - განაცხადა რომანოვმა.

## პაპენი "სტრასბურს" გაწვრთნის

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ჟან-პიერ პაპენი დაინიშნა კლუბ "სტრასბურის" მთავარ მწვრთნელად, კლუბისა, რომელმაც ამ სეზონის შედეგებით საფრანგეთის ელიტური დივიზიონი დატოვა და მომავალ წელს მეორე დივიზიონში იასპარეზებს.

"პაპენი მომავალ კვირაში გააფორმებს კონტრაქტს. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც ყველა დეტალს მოვაგვარებთ გუნდის ახლანდელ მწვრთნელ ჟაკი დიუგეპერუსთან", - განაცხადა "სტრასბურის" პრეზიდენტმა.

## ფიფამ ირანი არ გაწირა

ფიფას ხელმძღვანელობის განცხადებით, ირანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხსნიან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპიდან, თუ გაეროს უშიშროების საბჭო ამ ქვეყნის მიმართ სანქციებს დააწესებს.

საქმე ისაა, რომ ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკეინმა სენატში შეიტანა მოთხოვნა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ირანის ნაკრების მოხსნის შესახებ. თუმცა ფიფა ამერიკელთა მოთხოვნას არ იზიარებს. ასე რომ, ირანის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს, რადგან საეჭვოა, რომ მუნდიალის დაწყებამდე გაერომ ირანის წინააღმდეგ რაიმე სანქციები დააწესოს.

## კელმა შეიძლება ჩემპიონატი გამოტოვოს

დორტმუნდის "ბორუსიას" ნახევარმცველმა სებასტიან კელმა გერმანიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ტრავმა მიიღო, რის გამოც შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპიც კი გამოტოვოს.

კელს მყესები გაუწყდა და, "ბორუსიას" ექიმების განცხადებით, თუ რაიმე საოცრება არ მოხდა, მუნდიალის დაწყებამდე ტრავმას ვერ მოიშუშებს.






# ჩემპიონი ბოლო ტურში გაირკვევა

პირველი გვერდიდან

ჩემპიონობის ოფიციალურად გასაფორმებლად ბოლნისურ კლუბს ბოლო ტურის მატჩში, რომელსაც ქუთაისში, "ტორპედოსთან" გამართავს, ფრეც ხელს აძლევს.

"ვიტ ჯორჯიამაც" "მშრალი" ანგარიშით - 2:0 გაიმარჯვა. ვეტერინარებმა 56-ე წუთზე ფეიქრიშვილის მიერ რეალიზებული თერთმეტმეტრიანი დარტყმისა და ლუჭაშვილის მიერ 72-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით დაამარცხეს "დილა". შესაძლოა, ეს მარცხი ძალიან ძვირი დაუჯდეთ გორელებს. ახლა ეს გუნდი ეგრეთ წოდებულ "გადათამაშების ზონაშია" და თუ ბოლო ტურში ვერ ასცდა ამ ზონას, რაც მხოლოდ გორელებზე არ იქნება დამოკიდებული, მაშინ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ერთ-ერთ ქვედალიგელთან მოუწევს ეგრეთ წოდებულ "გადასასვლელ პლეიოფში" ურთიერთობის გარკვევა.

დაძაბული ბრძოლაა სეზონის დასაწყისში ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებად მიჩნეულ თბილისის "დინამოსა" და "ზესტაფონს" შორისაც. ამ გუნდებმა არასტაბილურად განვლეს სეზონი და მხოლოდ ბრინჯაოს მედალზე აცხადებენ პრეტენზიას. თუმცა, ამბიციების თვალსაზრისით ზესტაფონელებს გაცილებით უკეთ აქვთ საქმე. "ზესტაფონმა" მნიშვნელობით მეორე ტურნირში, საქართველოს თასზე მაინც ითამაშა წარმატებით და ზედიზედ მეორედ გავიდა ამ ტურნირის ფინალში. სხვათა შორის, მეოთხედფინალურ ეტაპზე ამ გუნდმა სწორედ თბილისის "დინამო" გამოთიშა გათამაშებას. თუმცა, ეროვნულ პირველობაზე მესამე ადგილის დაკავების ოდნავ უკეთესი შანსი თბილისის "დინამოს" აქვს.



ბურდულმა დიდი სამუშაო შეასრულა.

ანდრეი ჩერნიშოვის გუნდმა გუშინწინ ფოთის "კოლხეთს" უმასპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით - 5:0 დაამარცხა. "ჰეთ-თრიკი" შეასრულა ჯაბა დვალმა. განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა მისი მეორე გოლი: მეტოქის საჯარიმოში, კარისგან ზურგით მყოფმა დინამოელმა თავდამსხმელმა მაღალი ბურთი მიწაზე არ დაუშვა, ეგრეთ წოდებული "მაკრატელა" დაარტყა და ბურთი ფოთელთა კარის მარცხენა "ცხრიანში" შევარდა.

ასევე აღსანიშნავია "დინამოს" ახალწვეულის, 19 წლის ლადო კობახიძის ბრწყინვალე თამაში. კობახიძე მარცხენა გარემარბის პოზიციაზე თამაშობს და დღეს უკვე შეიძლება ითქვას: თუ ასე გააგრძელა, უახლოეს მომავალში ეროვნულ ნაკრებს კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი შეემატება.

დიდი ანგარიშით მოიგო "ზესტაფონმაც". კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა სოხუმის "დინამოს" უმასპინძლა და, ყველასთვის მოულოდნელად, უკვე მეოთხე წუთზე მდევრის როლში აღმოჩნდა. გოლი ზესტაფონელთა კარში კახელიშვილმა გაიტანა. თუმცა, ეს სტუმართა ერთადერთი შედეგიანი დარტყმა აღმოჩნდა. მასპინძლები მე-18 წუთიდან შეუდგნენ საქმეს. ჯერ თურმანიძემ, შემდეგ იონანიძემ და გიორგი ჭელიძემ სამი გოლი გაუტანეს სოხუმელებს. ერთი ავტოგოლიც მაჩალაძემ მიითვალა და "ზესტაფონმა" 4:1 გაიმარჯვა. თბილისის "დინამოს" და "ზესტაფონს" ქულათა თანაბარი რაოდენობა - 61-61 დაუგროვდათ, თუმცა, სხვა უკეთესი მაჩვენებლების წყალობით მესამე პოზიციას "დინამო" იკავებს.

**29-ე ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) - კოლხეთი | 5:0 |
| სიონი - ამერი | 3:0 |
| ვიტ ჯორჯია - დილა | 2:0 |
| ცხინვალი - დინამო (ბთ) | 1:2 |
| სპარტაკი - ტორპედო | 1:2 |
| ზესტაფონი - დინამო (სხ) | 4:1 |
| ბორჯომი - ლოკომოტივი | 2:0 |
| თბილისი - კახეთი | 3:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სიონი | 29 | 22 | 4 | 3 | 53-17 | 70 |
| 2 ვიტ ჯორჯია | 29 | 21 | 4 | 4 | 52-16 | 67 |
| 3 დინამო (თბ) | 29 | 19 | 4 | 6 | 55-21 | 61 |
| 4 ზესტაფონი | 29 | 18 | 7 | 4 | 44-21 | 61 |
| 5 ბორჯომი | 29 | 19 | 2 | 8 | 50-24 | 59 |
| 6 დინამო (ბთ) | 29 | 17 | 6 | 6 | 41-20 | 57 |
| 7 ამერი | 29 | 15 | 4 | 10 | 32-24 | 49 |
| 8 ლოკომოტივი | 29 | 10 | 4 | 15 | 38-47 | 34 |
| 9 კახეთი | 29 | 9 | 4 | 16 | 32-46 | 31 |
| 10 ტორპედო | 29 | 8 | 6 | 15 | 28-38 | 30 |
| 11 კოლხეთი | 29 | 8 | 5 | 16 | 23-36 | 29 |
| 12 დილა | 29 | 8 | 4 | 17 | 33-44 | 28 |
| 13 ცხინვალი | 29 | 8 | 3 | 18 | 30-58 | 27 |
| 14 თბილისი | 29 | 8 | 2 | 19 | 27-44 | 26 |
| 15 დინამო (სხ) | 29 | 5 | 3 | 21 | 25-64 | 18 |
| 16 სპარტაკი | 29 | 3 | 6 | 20 | 11-54 | 15 |

# დასველება ევროპულად

## ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა!

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მისია შეასრულა - საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. C ჯგუფისთვის კონტინენტის ჩემპიონატის საგზურები სოფიაში, "დიანას საწყლოსნო კომპლექსში" თამაშდებოდა. საკვალიფიკაციო ეტაპი გუშინ დასრულდა და საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში ექვს მეტოქეს შორის მეორე ადგილი დაიკავა.*

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაცო ეტაპზე გამგზავრების წინ ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე თავს იზღვევდა, სოფიაში გამოსვლა იოლი არ იქნება, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად კი ძირითადი ბრძოლა რუსეთთან და თურქეთთან გადაგვხვდებაო. პროგნოზი სწორი გამოდგა: შესარჩევი ეტაპის დასაწყისშივე თურქეთთან მოგვიწია შეხვედრა. ამ მატჩზე ვიუწყებოდით კიდეც. იმასაც ვწრდით, რომ ქართველ წყალბურთელებს მსაჯებმა ათჯერ დაატოვებინეს აუზი, თურქებს კი - ორჯერ. იმასაც, რომ შეხვედრა მაინც მოვიგეთ, თუმცა მინიმალური სხვაობით - 10:9. თურქეთთან მატჩის შემდეგ მაისურაძეს შიში შეეპარა: თუ აქ მსაჯობა ასე გაგრძელდა, ვეჭვობ, რაიმე წარმატებაზე ვიფიქროთო.

მაგრამ მოხდა ისე, რომ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა არც მეტოქეებს და არც მსაჯებს გასაქანი არ მისცა და, ფავორიტად შერაცხულ რუსეთის ნაკრებს თუ არ ჩავთვლით, ყველას აშკარა უპირატესობით მოუგო, მათ შორის მოლდოვას ნაკრებსაც (გუშინ დილით). გამარჯვება რუსეთთანაც შეიძლეობდა, მაგრამ თანაბარძალოვან მეტოქეთა მატჩში გარდამტეხი გამოდგა მესამე პერიოდი. დანარჩენი პერიოდები ფრედ დამთავრდა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება. ჩემპიონატი კი 22-29 ივლისს რუმინეთის ქალაქ ორადეაში გაიმართება.



ქართველი წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

**2006 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი**
**სოფია, ბულგარეთი**
**C ჯგუფი**

საქართველო-თურქეთი
10:9 (3-2; 2-3; 2-2; 3-2)
საქართველო-კვიპროსი
24-3 (6-1; 7-0; 6-1; 6-1)
საქართველო-რუსეთი
8:10 (2-2; 3-3; 1-3; 2-2)
საქართველო-ბულგარეთი
13:6 (3-1; 5-0; 2-2; 3-3)
საქართველო-მოლდოვა
19:10 (4-3; 7-0; 4-2; 4-5)

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 5 | 0 | 109-19 | 10 |
| საქართველო | 5 | 4 | 1 | 74-38 | 8 |
| თურქეთი | 5 | 3 | 2 | 68-40 | 6 |
| მოლდოვა | 5 | 2 | 3 | 44-82 | 4 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 4 | 29-67 | 2 |
| კვიპროსი | 5 | 0 | 5 | 28-106 | 0 |

# მცირე ოქრო კასაბიევისაა

*დასრულდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველო ოთხკაციანი შემადგენლობით ასპარეზობდა. ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვანო გრიქუროვის თქმით, ევროპულ ფიცარნაგზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას მსოფლიო ჩემპიონატის წინ ერთგვარი მოსამზადებელი დატვირთვა უნდა ჰქონოდა. ერთი სიტყვით, წინასწარ ვიცოდით, რომ წარმატების იმედი ნაკლებად უნდა გვქონოდა.*

ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქ ვლადისლავოვოში (პოლონეთი) საქართველოს ნაკრებიდან პირველი ზვიად სამუკაშვილი გავიდა ფიცარნაგზე და 56 კგ. წონით კატეგორიაში (ატაცისა და აკვრის ჯამში) მეშვიდე ადგილი დაიკავა, რაზეც ვიუწყებოდით კიდეც, მაგრამ არაფერი გვითქვამს დანარჩენებზე, რომლებიც პარასკევსა და შაბათს გამოდიოდნენ. ვგულისხმობთ რაულ ცირეკიძეს (85კგ.), გუნდის ლიდერს ახალგაზრდებს შორის, მსოფლიოს ჩემპიონს არსენ კასაბიევსა და ალბერტ კუზილოვს (94კგ.).

ცირეკიძემ ატაცში პირველ ორ მცდელობაზე, შესაბამისად, 145 და 150კგ. გამოიყენა, მაგრამ მესამეში 153 კილოგრამი ვერ დაძლია და ატაცი მეშვიდე ადგილით დაასრულა. გაცილებით ცუდი შედეგი ჰქონდა აკვრაში. სამი მცდელობიდან მხოლოდ მეორე გამოიყენა - 177კგ. ხოლო ორჭიდის ჯამში 327 დააგროვა. ეს შედეგი მხოლოდ მეშვიდე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

ერთი სიტყვით, სამუკაშვილმა და ცირეკიძემ ევროპის ჩემპიონატი მეშვიდე ადგილებით დაასრულეს.

გაცილებით მეტ ინტერესს იწვევდა 94 კგ. წონითი კატეგორია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ წონაში არსენ კასაბიევი გამოდიოდა, მეორეც ის, რომ საქართველოს სახელით პირველად უნდა გამოსულიყო ალბერტ კუზილოვი, რომელიც აქამდე რუსეთის მოქალაქე გახლდათ. კუზილოვმა ორჭიდის ჯამში (375 კილოგრამით) 26 მონაწილეს შორის მე-13 ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება კასაბიევს, რომელიც წლეულს პირველად გავიდა ფიცარნაგზე, პირველ დისციპლინაში სამი მცდელობდან მან ვერც ერთი ვერ გამოიყენა. ატაცში ბოლო ადგილზე გასულმა აკვრაში იმდენი მოახერხა, რომ მცირე ოქროს დაეუფლა. თავდაპირველად 210 კგ დაძლია, მერე კი 216 კგ შეუკვეთა. ეს მცდელობა მისთვის წარუმატებელი გამოდგა. მესამე მცდელობაზე 220 შეუკვეთა და დაძლია კიდეც.

## ინფოთეკა

### კრიშტიანუ რონალდუ საუკეთესოობაზე ოცნებობს

პორტუგალიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს კრიშტიანუ რონალდუს მიაჩნია, რომ მას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოპოვებაც კი შეუძლია. "ფანტასტიკურ გუნდში ვთამაშობ და თუ ოდნავ მეტს ვიმუშავებ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოპოვებაც შემიძლია. მიმაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ამ მიზნის მიღწევისთვის ტრამპლინი იქნება", - აცხადებს ფეხბურთელი.

### არაგონესმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა დაასახელა ის 27 ფეხბურთელი, რომელთაგანაც საბოლოოდ შეარჩევს 23 და გერმანიაში, მუნდიალზე წაიყვანს.

**მეკარეები:** კასილიასი (რეალი), რეინა (ლივერპული), კანისარესი (ვალენსია)

**მცველები:** ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო), პაბლო იბანიესი (ატლეტიკო), პუიოლი (ბარსელონა), ხუანიტო (ბეტისი), დელ ორნო (ჩელსი), კაპდევილია (დეპორტივო), მიჩელ სალგადო (რეალი), სერხიო რამოსი (რეალი), მარჩენა (ვალენსია), ხავი ვენტა (ვილიარეალი)

**ნახევარმცველები:** ფაბრეგასი (არსენალი), რეიესი (არსენალი), ინიესტა (ბარსელონა), ხავი (ბარსელონა), ხოაკინი (ბეტისი), ლუის გარსია (ლივერპული), ხაბი ალონსო (ლივერპული), ალბელდა (ვალენსია), ბარახა (ვალენსია), მარკოს სენა (ვილიარეალი)

**თავდამსხმელები:** ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), მორიენტესი (ლივერპული), რაული (რეალი) დ. ვილია (ვალენსია).

### შევჩენკოს ტრანსფერს აბრამოვიჩი მიხედავს

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ "ჩელსის" ანდრეი შევჩენკოს გადაბირება სწადია, მაგრამ ჯერჯერობით ამ საქმიდან არაფერი გამოდის. ახლა კი უკრაინელი ფორვარდის გადაბირების საკითხს თავად რომან აბრამოვიჩი მოაგვარებს. ბრიტანულ გაზეთ The Times-ის ინფორმაციით, რუსი მილიარდერი მზადაა ნებისმიერი თანხა გადაუხადოს "მილანს" ანდრეის ტრანსფერში. ინგლისელმა ჟურნალისტებმა ისიც დაწერეს, რომ რომან აბრამოვიჩს უკვე ჰქონდა სატელეფონო საუბარი ანდრეი შევჩენკოსთანაც, სეზონის დასრულების შემდეგ კი რუსი მილიარდერი თავად ეწვევა შევჩენკოს ტრანსფერის დეტალდების მოსაგვარებლად. აღსანიშნავია, რომ თავად შევჩენკოს არაერთხელ უთქვამს, აბრამოვიჩთან მეგობრობა მაკავშირებსო.

### "ჩელსიმ" ტევესზე უარი თქვა

მას შემდეგ, რაც ბრაზილიურმა "კორინთიანსმა" არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი 100 მილიონ ევროდ შეაფასა, მისი ყიდვის სურვილი ერთდროულად დაკარგა ყველა გრანდმა.

ტევესის გადაბირება ყველაზე მეტად ლონდონის "ჩელსის" სურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, 100 მილიონი თავად რომან აბრამოვიჩსაც ეძვირა.

### ერთგული ფერნანდო ტორესი

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის "ატლეტიკოსა" და ესპანეთის ნაკრების ფორვარდის ფერნანდო ტორესის შეძენა არაერთ გრანდს სურს, ფეხბურთელი მაინც არ აპირებს მშობლიური კლუბის დატოვებას. "ატლეტიკოში", სულ ცოტა, კიდევ სამი სეზონის განმავლობაში ვითამაშებ. ამიტომაც ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ ჭორებს, რომლებიც ჩემს შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით ვრცელდება", - განაცხადა ფორვარდმა ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

### "მანჩესტერი" დიარაში 27 მილიონს იხდის

ესპანური პრესის ცნობით, შესაძლოა, ახალი სეზონიდან საფრანგეთის "ლიონის" ფეხბურთელი მაჰამადუ დიარა ინგლისურ "მანჩესტერ იუნაიტედში" აღმოჩნდეს.

გაზეთ "მარკას" ცნობით, კლუბი მზადაა დიარას სანაცვლოდ 27 მილიონი ევრო გადაიხადოს.

შეგახსენებთ, რომ მალელი ფეხბურთელით დაინტერესებულია მადრიდის "რეალიც".

## ინფოთეკა

### "ბაიერნი" პოდოლსკით დაინტერესდა

გერმანიის ჩემპიონის მიუნხენის "ბაიერნის" გენერალური მენეჯერის ული ჰიონესის განცხადებით, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ჩემპიონებს "კიოლნისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ლუკაშ პოდოლსკი დაემატოთ. ჰიონესის თქმით, ბოლო სიტყვა ახლა "კიოლნის" ხელმძღვანელობაზეა, რადგან თავად ფეხბურთელმა თანხმობა განაცხადა მიუნხენში გადასვლაზე.

თავის მხრივ, გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში "კიოლნის" გერნერალურმა დირექტორმა მიხაელ მაიერმა განაცხადა, რომ პოდოლსკისთან დაკავშირებულ საკითხზე მხარეები უახლოეს დღეებში დაიწყებენ მოლაპარაკებას. შეგახსენებთ, რომ ლუკაშ პოდოლსკის ოფიციალური კონტრაქტი ახლანდელ კლუბთან 2007 წლამდე აკავშირებს.

### იგლესიასი "დეპორტივოდან" არ გაუშვეს

ესპანური "დეპორტივოს" ახალგაზრდა ნახევარმცველმა იაგო იგლესიასმა კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი სეზონით გაახანგრძლივა.

პერსპექტიულმა ფეხბურთელმა, რომელიც "დეპორტივოს" საფეხბურთო სკოლის აღზრდილი გახლავთ, ამ სეზონში მხოლოდ ათი მატჩი ჩაატარა. თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაში საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა და გოლიც გაიტანა, რითაც, ბუნებრივია, გუნდის ხელმძღვანელობაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, იაგო იგლესიასი "დეპორტივოში" 2008 წლის ივნისამდე დარჩება.

### ბენიტესმა პელეგრინის თანამშრომლობა შესთავაზა

ინგლისური "ლივერპულის" თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა მაურო პელეგრინის "ლივერპულის" სამწვრთნელო შტაბის წევრობა შესთავაზა იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი სეზონის ბოლოს ფეხბურთელის კარიერას გამოეთხოვება. არგენტინელმა მცველმა, რომელიც თავის დროზე ბენიტესის მიერ გაწვრთნილ "ვალენსიაში" და "ლივერპულშიც" თამაშობდა, ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მწვრთნელის რანგში აპირებს კარიერის გაგრძელებას. 33 წლის არგენტინელმა ამ სეზონში "ალავესის" შემადგენლობაში მხოლოდ თორმეტი მატჩი გამართა.

### ლუკა ტონი არ იყიდება

"ფიორენტინას" პრეზიდენტის ანდრე დელა ვალეს განცხადებით, გუნდის ლიდერი ლუკა ტონი არ იყიდება. "ტონი ჩვენი გუნდის ხელშეუხებელი ფეხბურთელია. ასე რომ, ნურავის ექნება მისი გადაბირების იმედი", - განაცხადა "იების" პრეზიდენტმა მას შემდეგ, რაც იტალიურ პრესაში მუდმივად ქვეყნდებოდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ტონის შეძენას მილანის "ინტერი" ლამობდა.

"ჩვენ არ გვყავს გასაყიდი მოთამაშეები, მით უმეტეს ისეთები, როგორიც ტონია. საერთოდაც, ყველაფერს ვიღონებთ, რათა მომავალ სეზონში გუნდის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნოთ", - დაამატა ვალემ. შეგახსენებთ, რომ ლუკა ტონი ფლორენციულ გუნდში გასულ ზაფხულს გადავიდა "პალერმოდან" და პირველივე სეზონში სერია ა-ში 28 გოლი გაიტანა.

ანდრე დელა ვალეს თქმით, ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ბოლომდე გამოისყიდოს ფრანგი მეკარე სებასტიან ფრეი, რომელიც ნახევრად "პარმას" კუთვნილებაა. გოლკიპერის სანაცვლოდ ფლორენციელები მზად არიან 3,5 მლნ. ფუნტი გადაიხადონ.

### "ბენფიკა" რუი კოშტას დაბრუნებას ცდილობს

პორტუგალიური პრესის ცნობით, "ბენფიკას" ხელმძღვანელობამ მოლაპარაკება წამოიწყო იტალიურ "მილანთან" პორტუგალიური ნახევარმცველის რუი კოშტას თაობაზე. ვეტერანი პორტუგალიელი ნახევარმცველი "ბენფიკას" ღირსებას ცამეტი წლის წინ იცავდა და, მისივე თქმით, დიდი სურვილი აქვს სწორედ ამ კლუბში დაასრულოს კარიერა. "კლუბის გულშემატკივარს ახალ სეზონში სასიამოვნო სიურპრიზს ვპირდებით", - განაცხადა "ბენფიკას" პრეზიდენტმა ლუიშ ფელიპე ვიეირამ.

რუი კოშტას კონტრაქტი კიდევ ერთი წლით, 2007 წლამდე აკავშირებს "მილანთან".

# "კოლხეთი 1913" ფინანსური პრობლემების წინაშეა

ქეთინო ჭაკობია

მე-17 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ფოთის საფეხბურთო კლუბი "კოლხეთი-1913 " ხელახლა დაფუძნდა. ნავსადგურის ხელმძღვანელობამ კლუბის სპონსორობაზე კატეგორიული უარი განაცხადა და მიზეზად ფინანსთა

სამინისტროს დირექტივა დაასახელა. ბორის პაიჭაძის ქალაქში ფეხბურთის გადარჩენის მიზნით კლუბის დაფინანსება ადგილობრივმა ხელისუფლებამ ითავა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი დამატებით 6 გუნდთან ერთად "კოლხეთი-1913" უმაღლეს ლიგაში დააბრუნა. შემდგომი ინვესტორის მოძიების იმედი არ გამართლდა, ბიზნესმენების მხრიდან სპონსორობაზეც ფსონი ამაოდ გაკეთდა. სეზონის განმავლობაში მათ მიერ ნებაყოფლობით თუ იძულებით გაღებულმა თანხამ მხოლოდ 15800 ლარი შეადგინა.

კლუბის პრეზიდენტი, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი თემურ მიმინოშვილი ქალაქის მერმა ივანე საღინაძემ, მოგვიანებით კი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ასანიძემ შეცვალა. კლუბი კი რეგისტრირებული კავშირის სახით ჩამოყალიბდა.

"კოლხეთი-1913", რომელსაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი 365000 ლარი თავის სარჩენად არ ჰყოფნის, კვლავ სერიოზული პრობლემების წინაშეა. "24 საათის" ინფორმაციით, მას, შესაძლოა, სოლიდური დავალიანების გადახდა მოუხდეს.

"2004-2005 წლების საფეხბურთო სეზონიდან საკონტრაქტო და სახელფასო დავალიანება დაახლოებით 250000 ლარს შეადგენს, რის გამოც ევროტურებში სათამაშოდ ლიცენზირებას ვერ გავდივართ და უმაღლეს ლიგაში ყოფნაზეც გვექმნება პრობლემები", - ამბობს ასანიძე.

მცდელობის მიუხედავად, ჯერ ისევ დაუდგენელია ნავსადგურისა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის თანხის გაბნევის მიზეზი. არც დასკვნა არსებობს, თუ რატომ არის გაკოტრების ზღვარზე წინა წლებში 1200000 ლარის დაფინანსების მქონე გუნდი.

"გუნდი დამხვდა პირველ ლიგაში, უმაღლესი ლიგიდან გაგდებული. კოლოსალური რაოდენობის პრემიებია გაწერილი თამაშებზე. არც გუნდის შეკრება და წვრთანა მიმდინარეობდა. ფორმებზე, ბურთებზე, კვებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ასეთი

მდგომარეობის გამო მოვიწვიე აუდიტი, რომელიც დღემდე მუშაობს. მეეჭვება, რომ კლუბის ყოფილი პრეზიდენტი თემურ მიმინოშვილი მიზანმიმართულ პოლიტიკას აწარმოებდა. გაუგებარია, რატომ შეექმნა პრობლემები გუნდს, რომლის ვიცე-პრეზიდენტად მიმინოშვილმა მოიყვანა თავისი ბიძა, მთავარ

მწვრთნელად კი - მამიდაშვილი", - აცხადებს ასანიძე.

ერთ-ერთი მევალე, რომელიც სახელფასო-საკონტრაქტო დავალიანების გასტუმრებას "საქართველოს იურისტთა ასოციაცია 21-ის" დახმარებით ითხოვს, სწორედ ყოფილი მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაიაა. საბოლოო ფინანსური ანგარიშსწორების სახით მას 12000-მდე ლარი ეკუთვნის. ფეხბურთელ ზურაბ მინდაძეს აქვს საქართველოს ფეხბურთელთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლის

საფუძველზეც სახელფასო დავალიანება 6000 ამერიკული დოლარის ოდენობით უნდა მიეცეს.

"სიაში, რომელიც შევადგინეთ, 41 ადამიანის დავალიანებაა, მაგრამ ეს მევალეთა არასრული ოდენობაა. გარდა ამისა, გაუცემელია ფეხბურთელების, სტადიონის მომსახურე პერსონალის სამი თვის ხელფასები. არსებობს საშიშროება, რომ ვალების გადაუხდელობის პირობებში ანგარიში საერთოდ დაგვიყადაღონ. ადვილი შესაძლებელია, მომავალ სეზონზე, შედეგების მიუხედავად, "კოლხეთი-1913" უმაღლეს ლიგაში ვერ მოხვდეს", - ამბობს "24 საათთან" საუბრისას კლუბის პრეზიდენტი.

რა დასკვნას დადებს აუდიტი, დრო გვიჩვენებს. საბიუჯეტო თანხებით კლუბის დავალიანების გასტუმრება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. სხვა პატრონი

გუნდს არ ჰყავს. 365 ათასი ლარი სახელფასო ფონდის დეფიციტსაც ვერ ავსებს. "კოლხეთი-1913"-მა სეზონზე დასახულ მიზანს მიაღწია და ეროვნულ ჩემპიონატს მე-9 ადგილზე გასვლით ამთავრებს. კლუბის ახლანდელ ხელმძღვანელობას კი

სამომავლო დაფინანსებასთან ერთად ძველი ვალებიც სერიოზულ პრობლემად ექცა.

# "ბაიერნის" ოქროს დუბლი

როგორც მოსალოდნელი იყო, შაბათს ბუნდესლიგის 33-ე ტურში ჩემპიონის ვინაობა გაცხადდა - მიუნხენის "ბაიერნმა არავის დაუთმო" გერმანიის უძლიერესი კლუბის ტიტული და არსებობის ისტორიაში მეოცეჯერ გახდა ჩემპიონი.

ზედიზედ მეორე სეზონია "ბაიერნი" ოქროს დუბლს ახერხებს - ერთად იგებს ქვეყნის ჩემპიონატსა და თასს.

ჩემპიონობის ვადამდე ადრე განაღდებისთვის "ბაიერნს" საკუთარ მოედანზე "კაიზერსლაუტერნის" მოგებაც კი არ სჭირდებოდა. მეტიც, ფელიქს მაგათის შეგირდებს ჩემპიონობაში დამარცხებაც ვერ შეუშლიდა ხელს. ერთი სიტყვით, გუნდი ოპტიმალურ ვარიანტზე შეჩერდა: სტუმრად "კაიზერსლაუტერნთან" ფრე - 1:1 ითამაშა.

მიუნხენელთა ბედი, შეიძლება ითქვას, უახლოესი მდევრის "ჰამბურგის" "ჰერტასთან" მარცხმა გადაწყვიტა.

რაც შეეხება "ჰამბურგს", ახლა ჩრდილოელებს "ვერდერთან" მეორე ადგილისთვის მოუწევთ სერიოზული ბრძოლა. სწორედ მეორე ადგილზე გასული კლუბი ითამაშებს ავტომატურად ჩემპიონთა ლიგაზე.

იმავე ტურში ბრემენელებმა, თავის მხრივ, გაანადგურეს "კიოლნი", რომელიც ახლა უკვე ოფიციალურად გავარდა მეორე ბუნდესლიგაში.

"კაიზერსლაუტერნთან" მატჩის პირველ წუთებზე მომავალ ჩემპიონებს თითქოს გაუჭირდათ თამაში. ერთხანს შეიძლება ისიც გეფიქრათ, რომ "ბაიერნის" ფეხბურთელები იმდენად იყვნენ დარწმუნებული საკუთარ ჩემპიონობაში, რომ ფეხის განძრევაც ეზარებოდათ.

თუმცა, 26-ე წუთზე ოლივერ კანის კარში მასპინძელთა თავდამსხმელის ჰალიპ ალტინტოპის გოლმა ჩემპიონები გამოაფხიზლა - მაგათის ბიჭებს მომავალი სტატუსი გაახსენდათ და ჟინიანად ათამაშდნენ.

მაგრამ მათ გამოფხიზლებას კარგა ხანს არ მოჰყოლია შედეგი. ანგარიშის გათანაბრება სტუმრებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს - მიხაელ ბალაკის საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ახალგაზრდა ანდრეას ოტლმა პირდაპირ ფრომლოვიცის კარში გაგზავნა.

"ბალაკი ახლა მთელი გონებით "ჩელსისთანაა", - ამბობდა მატჩის



"ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონია.

წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრანც ბეკენბაუერი, - როცა ფეხბურთელს თავში ასეთი აზრები უტრიალებს, ის საერთოდ ველარ ფიქრობს ფეხბურთზე. იმის თქმა არ მინდა, რომ ბოლო მატჩებში ბალაკი ბურთს ხეირიანად ველარ აგორებს, მაგრამ მისგან გაცილებით უკეთეს თამაშს ველოდით".

თუმცა, "კაიზერსლაუტერნთან" შეხვედრისას მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელი, რომელმაც ამდენი გააკეთა გუნდისთვის, საჩემპიონო მატჩში თამაშის ღირსი იყო და მაგათმაც გერმანიის ნაკრების კაპიტანი მატჩის პირველივე წუთებიდან შეუშვა მოედანზე.

"ბაიერნის" წლევანდელი ჩემპიონობით ერთგვარი რეკორდი დაამყარა გუნდის ნახევარმცველმა მეჰმეთ შოლმა. 36 წლის ფეხბურთელმა კარიერის განმავლობაში მერვედ მოიგო ბუნდესლიგა.

"უკლებლივ ყველა გამარჯვება მახსოვს. ამათგან, რა თქმა უნდა, დაუვიწყარია პირველი. რვაჯერ გახდე გერმანიის ჩემპიონი - ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საოცნებო შედეგია. ვფიქრობ, ამჯერად ჩვენი კლუბის ყველა ოპონენტი დარწმუნდება, რომელია გერმანიის საუკეთესო გუნდი", - თქვა მატჩის შემდეგ რეკორდსმენმა შოლმა.

ჩემპიონთა ზეიმი კაიზერსლაუტერნში ერთმა მცირე ინციდენტმა დაჩრდილა. "კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელობამ, რომელმაც თავიდანვე იცოდა, რომ მიუნხენელებს მათ მოედანზე მოუწევდათ ჩემპიონობის განაღდება და, აქედან გამომდინარე, აღნიშვნაც, "ბაიერნის" ფეხბურთელებს მატჩის დაწყებამდე აუკრძალა გამარჯვების აღმნიშვნელი ტრადიციული ლუდით წუწაობა.

შარშან ქვეყნის ჩემპიონებმა გამარჯვებით გამოწვეული სიხარული თავიანთი თავკაცის ფელიქს მაგათის ლუდში ბანაობით გამოხატეს.

წლეულს მიუნხენელები "ფრიც უოლტერზე" ულუდობას დასჯერდნენ, თუმცა ერთმანეთი მაინც გაწუწეს. გამარჯვებით გახარებულმა ბასტიან შვაინშტაიგერმა პირდაპირ ცივი წყალი გადაასხა ოლივერ კანსა და ერთ-ერთი გერმანული გამოცემის ჟურნალისტს.

ბუნებრივია, ჩემპიონებმა ტრადიციული ლუდით ქეიფი კაიზერსლაუტერნიდან გზად, მდინარე რეინზე მოცურავე გემზე გააჩაღეს. თუმცა, საზეიმო სუფრას ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი ფელიქს მაგათი ერთი უბრალო მიზეზის გამო არ ესწრებოდა.

მაგათი თავად გამოუტყდა ჟურნალისტებს, რომ ავტობუსში ბევრი დალია და გემზე ქეიფის გაგრძელება ველარ შეძლო.

კლუბის კომერციული დირექტორის ული ჰიონესის თქმით, მაგათი მწვანე ჩაის მოყვარული გახლავთ, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში კი ალკოჰოლურ სასმელს საერთოდ არ გაჰკარებია. ასე რომ, ავტობუსში დალეულმა სამმა კათხა ლუდმა, რომელშიც შამპანურიც ყოფილა შერეული, "ბაიერნის" მწვრთნელი ზომაზე მეტად გამოათრო.

"უკვე კარგა ხანია ფელიქსს აღარ დაულევია, ამიტომ სამმა კათხა ლუდმა მასზე საშინლად იმოქმედა", - განაცხადა თავად შეზარხოშებულმა ული ჰიონესმა.

# აბრამოვიჩის საჩუქარი

ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი თავისი გუნდის ფეხბურთელებს ახალ სიურპრიზს უმზადებს, რათა ღირსეულად აღნიშნოს კლუბის ზედიზედ მეორე ჩემპიონობა.

ჩუკოტკის გუბერნატორს დასავლეთ ესექსის საგრაფოში საკუთარი მიწები აქვს, სადაც მთავრდება ფეშენებელური მშენებლობა. იქ "ჩელსის" საუკეთესო ფეხბურთელებს დასვენებისა და დროსტარების საშუალება ექნებათ. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გაზეთმა "სანმა". ცხადია, ამიერიდან აბრამოვიჩის სიურპრიზის შესახებ უკვე ლონდონური კლუბის ფეხბურთელებსაც ეცოდინებათ.

ვილა ტიუდორების ეპოქის სტილის არქიტექტურული სტილით აშენდება. დაგეგმილია, რომ ვილაში იქნება ოლიმპიური ზომების აუზი,



ვილა "არისტოკრატებისთვის"

სატრენაჟორო და დასასვენებელი დარბაზები, აგრეთვე საშინაო კინოთეატრი.

გაზეთ "სანის" ინფორმაციით, ვილა ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ტიპის იქნება. მშენებლობის დროს გაითვალისწინეს ყველაფერი, მომსახურე პერსონალის ფლიგელიც კი. ლონდონის "ჩელსის" მფლობელს სურს, რომ მისი გუნდის წარმატებულ ფეხბურთელებს დასვენებისთვის სრული კომფორტი შეექმნათ.

საინტერესოა, რომ აბრამოვიჩისთვის ასეთი საჩუქრების მომზადება ჩვეული საქმეა. გასულ სეზონში, მას შემდეგ, რაც "ჩელსი" ჩემპიონი გახდა, რუსმა მილიარდერმა თავისი ერთ-ერთი იახტა ორი კვირით დაუთმო ჯონ ტერისა და ფრენკ ლამპარდს, რომლებმაც იახტაზე ოჯახებთან ერთად დაისვენეს.

### არკას გადაწყვეტილება არ მიუღია

"სანდერლენდის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ხულიო არკამ ჯერაც არ იცის რას იზამს მომავალ სეზონში. მოგეხსენებათ, "სანდერლენდი" უკვე გავარდა პრემიერლიგიდან, არკას შეძენაზე კი ელიტური დივიზიონის კლუბებიც არ იტყოდნენ უარს. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, არგენტინელი ფეხბურთელი "შავი კატების" ერთგული დარჩეს და მომავალ სეზონში გუნდთან ერთად ქვედა დივიზიონში ითამაშოს.

### ნეში საუკეთესოა

ცნობილი გახდა, რომ NBA-ს რეგულარული სეზონის საუკთესო კალათბურთელად (MVP) ფენიქს "სანსის" ლიდერს სტივ ნეშს დაასახელებენ. აღსანიშნავია, რომ კალათბურთელი ზედიზედ მეორედ მოიგებს ამ ტიტულს. ნეშმა სეზონი მართლაც ბრწყინვალედ ჩატარა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ "ფენიქსი" ფლეიოფების სერიაში გავიდა.

### "პიტბულის" არჩევანი

ჰოლანდიის ნაკრებისა და "ტოტენჰემის" ნახევარმცველი ედგარ დავიდსი ფიქრობს, რომ მომავალ სეზონშიც ლონდონურ კლუბში გააგრძელებს კარიერას. "მართალია, კონტრაქტის ვადა იწურება, მაგრამ მსურს ლონდონში დავრჩე. აქ ყველაფერია - თამაშის საშუალება, ბრწყინვალე ფანები, მშვენიერი თანაგუნდელები. თუმცა, ბოლო ხანს ნოსტალგია მაწუხებს. მინდა ჩემს ახლობლებს მოვეთათბირო და გადაწყვეტილებას შემდეგ მივიღებ," - აცხადებს დავიდსი.

### ვან პერსი დაადანაშაულეს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ დაიწყო "არსენალის" ჰოლანდიელი ფეხბურთელის რობინ ვან პერსის საქმის გამოძიება, რომელსაც ბრალად ედება "მანჩესტერ სიტის" მცველის სომეის შეურაცხყობა. აღსანიშნავია, რომ "ქალაქელთა" ფეხბურთელის მტკიცებით, ვან პერსიმ მას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა.

თუ ვან პერსის ბრალეულობა დაუმტკიცდა, ყველაზე მეტად მისი კლუბი დაზარალდება, რადგან ფიფას განკარგულებით გუნდს, რომლის ფეხბურთელიც მეტოქეს რასისტულ შეურაცხყოფას მიაყენებს, ავტომატურად ჩამოეჭრება სამი ქულა. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ "არსენალს" კი სამი ქულის დაკარგვა, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს.

### პერუცის "მილანში" უხმობენ

"ლაციოს" 36 წლის მეკარემ ანჯელო პერუციმ, შესაძლოა, "მილანში" გააგრძელოს კარიერა. იტალიური მედიის ცნობით, მილანურ კლუბს ვეტერან მეკარესთან ერთი სეზონით სურს კონტრაქტის გაფორმება.

"ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, დავამთავრებ თუ არა კარიერას სეზონის დასრულების შემდეგ. თუ "მილანის" შემოთავაზება სერიოზულია, ალბათ კიდევ ერთი წლით დავრჩები დიდ ფეხბურთში", - აცხადებს პერუცი.

### ბექჰემი კაპიტნობას კარგავს

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ინგლისის ნაკრებს სტივ მაკლარენი ჩაიბარებს და, შესაძლოა, კაპტინის სამკლაური ჩამოართვას დევიდ ბექჰემს.

პრესკონფერენციაზე, რომელიც მაკლარენის დანიშვნის შემდეგ გაიმართა, ინგლისის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა უარი განაცხადა ესაუბრა გუნდის კაპიტნის თემაზე და აღნიშნა, რომ არჩევანს თავად გააკეთებს.

### დ'ალესანდროს ბრიტანეთში დარჩენა სურს

"პორტსმუთში" იჯარით მოთამაშე არგენტინელი ნახევარმცველი ანდრეს დ'ალესანდრო აცხადებს, რომ ბრიტანულ კლუბთან სურს კონტრაქტის გაფორმება და არ უნდა დაბრუნება გერმანულ "ვოლფსბურგში".

"ინგლისში თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ და აქ მინდა დარჩენა. არ ვიცი, საბოლოოდ რა მოხდება, მაგრამ თუ არჩევანის გაკეთება ჩემზე იქნება დამოკიდებული, აუცილებლად დავრჩები "პორტსმუთში", - აცხადებს არგენტინელი ფეხბურთელი.

### იტალიელებმა გამოძიება დაიწყეს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო "იუვენტუსის" გენერალური დირექტორის ლუჩანო მოჯის სატელეფონო საუბრების გამოძიება. სააგენტო "როიტერის" ცნობით, აუდიოჩანაწერზე ისმის, თუ როგორ აძლევს მითითებებს მოჯი პიერლუიჯი პარიეტოს, რომელიც იტალიის ჩემპიონატის მატჩებზე არბიტრებს ნიშნავს.

"არ მსურს ამაზე საუბარი. "იუვენტუსის" წარმომადგენლებს პრესასთან ურთიერთობა აგვეკრძალა და კომენტრასაც ვერ გავაკეთებ", - განაცხადა ამასთან დაკავშირებით მოჯიმ.

### შირერი "ნიუკასლში" დარჩება

მართალია, ალან შირერმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა, მაგრამ იგი მაინც დარჩება "ნიუკასლში". კლუბის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ალან შირერი "ნიუკასლის" ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე იმუშავებს. ამავდროულად გადაწყდა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტს გლენ როიდერი შეინარჩუნებს.

### ვან ნისტელროი შეიძლება ჰოლანდიაში დაბრუნდეს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და პსვ-ში გააგრძელოს კარიერა. გაზეთ "სანის" ცნობით, პსვ მზადაა ნისტელროიში 5 მილიონი ევრო გადაიხადოს.

### "ატლეტიკო" როსიცკის შეუთანხმდა

ესპანურ გაზეთ "მარკას" ცნობით, დორტმუნდის "ბორუსიას" ჩეხი ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი უკვე შეუთანხმდა მადრიდის "ატლეტიკოს" კონტრაქტის თაობაზე. ესპანური მედიის ინფორმაციით, "ატლეტიკოს" როსიცკის ტრანსფერი 10 მილიონი ევრო დაუჯდება.

## ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები

### იტალია სერია A

რომა - ტრევიზო ........................1:0
ასკოლი - ლაციო........................1:4
ფიორენტინა - რეჯინა ..............5:2
ინტერი - სიენა ...........................1:1
იუვენტუსი - პალერმო..............2:1
ლეჩე - კიევო .............................0:0
ლივორნო - სამპდორია.............0:0
მესინა - ემპოლი........................1:2
პარმა - მილანი..........................2:3
უდინეზე - კალიარი....................2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 26 | 10 | 1 | 69-24 | 88 |
| 2.მილანი | 37 | 27 | 4 | 6 | 83-30 | 85 |
| 3.ინტერი | 37 | 23 | 6 | 8 | 66-28 | 75 |
| 4.ფიორენტინა | 37 | 21 | 8 | 8 | 64-41 | 71 |
| 5.რომა | 37 | 19 | 12 | 6 | 69-40 | 69 |
| 6.ლაციო | 37 | 15 | 14 | 8 | 56-47 | 59 |
| 7.კიევო | 37 | 13 | 15 | 9 | 54-47 | 54 |
| 8.პალერმო | 37 | 12 | 13 | 12 | 49-52 | 49 |
| 9.ლივორნო | 37 | 12 | 12 | 13 | 37-44 | 48 |
| 10.პარმა | 37 | 12 | 9 | 16 | 46-59 | 45 |
| 11.ემპოლი | 37 | 13 | 6 | 18 | 45-60 | 45 |
| 12.უდინეზე | 37 | 11 | 10 | 16 | 39-52 | 43 |
| 13.სამპდორია | 37 | 10 | 11 | 16 | 46-48 | 41 |
| 14.რეჯინა | 37 | 11 | 8 | 18 | 39-63 | 41 |
| 15.ასკოლი | 37 | 8 | 16 | 13 | 41-52 | 40 |
| 16.კალიარი | 37 | 8 | 14 | 15 | 40-53 | 38 |
| 17.სიენა | 37 | 9 | 11 | 17 | 42-60 | 38 |
| 18.მესინა | 37 | 6 | 13 | 18 | 34-57 | 31 |
| 19.ლეჩე | 37 | 6 | 8 | 23 | 27-56 | 26 |
| 20.ტრევიზო | 37 | 2 | 12 | 23 | 22-55 | 18 |

### იტალია სერია B

ბრეშა - ვიჩენცა ........................0:3
რიმინი - ტერნანა.......................2:1
ტრიეტინა - ტორინო .................0:2
ვერონა - პიაჩენცა.....................1:0
ალბინოლეფე - მანტოვა...........2:1
აველინო - კროტონე .................1:0
პესკარა - ჩეზენა........................3:2
მოდენა - კატანია.......................2:1
კრემონეზე - ბოლონია..............2:2
არეცო - ბარი.............................0:0
კატანძარო - ატალანტა............1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატალანტა | 39 | 23 | 8 | 8 | 57 - 36 | 77 |
| 2.კატანია | 39 | 19 | 12 | 8 | 59 - 40 | 69 |
| 3.ტორინო | 39 | 18 | 13 | 8 | 46 - 31 | 67 |
| 4.მანტოვა | 39 | 17 | 13 | 9 | 45 - 35 | 64 |
| 5.მოდენა | 39 | 15 | 15 | 9 | 55 - 39 | 60 |
| 6.არეცო | 39 | 15 | 15 | 9 | 41 - 30 | 60 |
| 7.ჩეზენა | 39 | 16 | 12 | 11 | 60 - 51 | 60 |
| 8.ბრეშა | 39 | 15 | 14 | 10 | 50 - 37 | 59 |
| 9.კროტონე | 39 | 16 | 9 | 14 | 47 - 42 | 57 |
| 10.ბოლონია | 39 | 13 | 16 | 10 | 47 - 41 | 55 |
| 11.პიაჩენცა | 39 | 13 | 15 | 11 | 51 - 44 | 54 |
| 12.პესკარა | 39 | 14 | 10 | 15 | 39 - 45 | 52 |
| 13.ბარი | 39 | 11 | 15 | 13 | 38 - 42 | 48 |
| 14.ვერონა | 39 | 10 | 17 | 12 | 39 - 37 | 47 |
| 15.რიმინი | 39 | 11 | 14 | 14 | 41 - 45 | 47 |
| 16.ტრიესტინა | 39 | 11 | 14 | 14 | 39 - 46 | 47 |
| 17.ვიჩენცა | 39 | 13 | 8 | 18 | 37 - 47 | 47 |
| 18.ალბინოლეფე | 39 | 9 | 15 | 15 | 34 - 48 | 42 |
| 19.აველინო | 39 | 9 | 13 | 17 | 38 - 59 | 40 |
| 20.ტერნანა | 39 | 7 | 16 | 16 | 32 - 52 | 37 |
| 21.კრემონეზე | 39 | 6 | 11 | 22 | 33 - 52 | 29 |
| 22.კატანძარო | 39 | 7 | 7 | 25 | 24 - 53 | 28 |

### გერმანია ბუნდესლიგა

არმინია - დუისბურგი ................0:2
ბაიერი - ნიურნბერგი.................2:2
დორტმუნდი - აინტრახტი.........1:1
ჰერტა - ჰამბურგი .....................4:2
კაიზერი - ბაიერნი......................1:1
მაინცი - შალკე...........................1:0
გლადბახი - ჰანოვერი ................2:2
შტუტგარტი - ვოლფსბურგი ....2:1
ვერდერი - კიოლნი .....................6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 33 | 22 | 8 | 3 | 64-29 | 74 |
| 2.ჰამბურგი | 33 | 21 | 5 | 7 | 52-28 | 68 |
| 3.ვერდერი | 33 | 20 | 7 | 6 | 77-36 | 67 |
| 4.შალკე | 33 | 15 | 13 | 5 | 44-29 | 58 |
| 5.ბაიერი | 33 | 14 | 9 | 10 | 62-47 | 51 |
| 6.ჰერტა | 33 | 12 | 12 | 9 | 51-46 | 48 |
| 7.დორტმუნდი | 33 | 11 | 12 | 10 | 42-39 | 45 |
| 8.შტუტგარტი | 33 | 9 | 16 | 8 | 35-36 | 43 |
| 9.ნიურნბერგი | 33 | 11 | 8 | 14 | 47-50 | 41 |
| 10.გლადბახი | 33 | 9 | 12 | 12 | 40-50 | 39 |
| 11.მაინცი | 33 | 9 | 10 | 14 | 46-47 | 37 |
| 12.ჰანოვერი | 33 | 7 | 16 | 10 | 41-45 | 37 |
| 13.არმინია | 33 | 10 | 7 | 16 | 30-43 | 37 |
| 14.აინტრახტი | 33 | 9 | 9 | 15 | 42-49 | 36 |
| 15.ვოლფსბურგი | 33 | 7 | 12 | 14 | 31-53 | 33 |
| 16.კაიზერი | 33 | 8 | 8 | 17 | 45-69 | 32 |
| 17.კიოლნი | 33 | 6 | 9 | 18 | 45-69 | 27 |
| 18.დუისბურგი | 33 | 5 | 11 | 17 | 34-63 | 26 |

### გერმანია მეორე ბუნდესლიგა

ალემანია - ფრაიბურგი.............0:1
ბოხუმი - კარლსრუე .................2:3
ბრაუნშვაიგი - უნტერჰახინგი ..3:0
დინამო -ალენი...........................3:1
ფიურტი - ჰანზა........................2:0
ოფენბახი - კოტბუსი.................2:0
მუინხენი - ზაარბრუკენი...........1:0
პადერბორნი - აუე .....................0:2
ზიგენი - ბრაუნშვაიგი...............2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბოხუმი | 33 | 19 | 8 | 6 | 55-26 | 65 |
| 2.ალემანია | 33 | 20 | 4 | 9 | 60-35 | 64 |
| 3.კოტბუსი | 33 | 15 | 10 | 8 | 46-32 | 55 |
| 4.ფიურტი | 33 | 15 | 9 | 9 | 51-41 | 54 |
| 5.კარლსრუე | 33 | 15 | 8 | 10 | 53-2 | 53 |
| 6.ფრაიბურგი | 33 | 15 | 8 | 10 | 40-33 | 53 |
| 7.აუე | 33 | 13 | 9 | 11 | 38-4 | 48 |
| 8.ბურგჰაუზენი | 33 | 12 | 10 | 11 | 44-8 | 46 |
| 9.პადერბორნი | 33 | 12 | 7 | 14 | 43-8 | 43 |
| 10.ჰანზა | 33 | 13 | 4 | 16 | 43-6 | 43 |
| 11.ბრაუნშვაიგი | 33 | 13 | 4 | 16 | 37-46 | 43 |
| 12.ოფენბახი | 33 | 12 | 7 | 14 | 42-52 | 43 |
| 13.მიუნხენი | 33 | 11 | 9 | 13 | 40-41 | 42 |
| 14.უნტერჰახინგი | 33 | 12 | 5 | 16 | 42-48 | 41 |
| 15.დინამო | 33 | 10 | 8 | 15 | 36-44 | 38 |
| 16.ზაარბრუკენი | 33 | 10 | 5 | 18 | 35-63 | 35 |
| 17.ალენი | 33 | 8 | 8 | 17 | 35-50 | 32 |
| 18.ზიგენი | 33 | 7 | 7 | 19 | 33-54 | 28 |

### საფრანგეთი

ლე მანი - ლანსი ........................0:0
ლილი - ლიონი...........................4:0
მარსელი - სტრასბური .............2:2
ნანსი - ოსერი ............................1:3
ნანტი - ბორდო .........................0:1
ნიცა - მეცი ................................2:1
პსჟ - აიაჩო................................2:4
სტ.ეტიენი - რენი .......................0:0
სოშო - ტრუა .............................1:1
ტულუზა - მონაკო.....................3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 37 | 24 | 9 | 4 | 65-30 | 81 |
| 2.ბორდო | 37 | 18 | 14 | 5 | 42-24 | 68 |
| 3.ლილი | 37 | 16 | 13 | 8 | 54-29 | 61 |
| 4.მარსელი | 37 | 16 | 11 | 10 | 43-34 | 59 |
| 5.რენი | 37 | 18 | 4 | 15 | 46-47 | 58 |
| 6.ლანსი | 37 | 13 | 18 | 6 | 45-33 | 57 |
| 7.ოსერი | 37 | 16 | 8 | 13 | 46-39 | 56 |
| 8.ნიცა | 37 | 15 | 10 | 12 | 34-30 | 55 |
| 9.პსჟ | 37 | 13 | 13 | 11 | 44-37 | 52 |
| 10.ლე მანი | 37 | 13 | 13 | 11 | 32-28 | 52 |
| 11.მონაკო | 37 | 13 | 12 | 12 | 40-34 | 51 |
| 12.ნანსი | 37 | 12 | 11 | 14 | 33-35 | 47 |
| 13.სტ.ეტიენი | 37 | 11 | 14 | 12 | 28-36 | 47 |
| 14.ნანტი | 37 | 11 | 12 | 14 | 36-38 | 45 |
| 15.ტულუზა | 37 | 10 | 11 | 16 | 35-45 | 41 |
| 16.სოშო | 37 | 10 | 11 | 16 | 32-46 | 41 |
| 17.ტრუა | 37 | 9 | 12 | 16 | 36-45 | 39 |
| 18.აიაჩო | 37 | 7 | 9 | 21 | 24-52 | 30 |
| 19.სტრასბური | 37 | 5 | 14 | 18 | 33-52 | 29 |
| 20.მეცი | 37 | 5 | 11 | 21 | 25-59 | 26 |

### შოტლანდია

აბერდინი - სელტიკი .................2:2
კილმარნოკი - ჰიბერნიანი.........3:1
რეინჯერსი - ჰართსი .................2:0
დანფერმლაინი - ინვერნესი......0:1
ფოლკირკი - ლივინგსტონი.......3:1
მოზერველი - დანდი იუნ ...........1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 38 | 28 | 7 | 3 | 93-37 | 91 |
| 2.ჰართსი | 38 | 22 | 8 | 8 | 71-31 | 74 |
| 3.რეინჯერსი | 38 | 21 | 10 | 7 | 67-37 | 73 |
| 4.ინვერნესი | 38 | 15 | 13 | 10 | 51-38 | 58 |
| 5.ჰიბერნიანი | 38 | 17 | 5 | 16 | 61-56 | 56 |
| 6.კილმარნოკი | 38 | 15 | 10 | 13 | 63-64 | 55 |
| 7.აბერდინი | 38 | 13 | 15 | 10 | 46-40 | 54 |
| 8.მოზერველი | 38 | 13 | 10 | 15 | 55-61 | 49 |
| 9.დანდი იუნ | 38 | 7 | 12 | 19 | 41-66 | 33 |
| 10.ფოლკირკი | 38 | 8 | 9 | 21 | 35-64 | 33 |
| 11.დანფერმლაინი | 38 | 8 | 9 | 21 | 33-68 | 33 |
| 12.ლივინგსტონი | 38 | 4 | 6 | 28 | 25-79 | 18 |

### რუსეთი

სპარტაკი - ტორპედო ................2:0
რუბინი - მოსკვა ........................2:0
ლუჩი - შინიკი.............................1:0
სპარტაკი (ნ) - დინამო ...............1:0
ცსკა - ამკარი .............................2:0
ლოკომოტივი - ზენიტი.............3:1
როსტოვი - სატურნი .................0:2
კრილია - ტომი ...........................2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუბინი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-8 | 17 |
| 2.ცსკა | 8 | 5 | 1 | 2 | 14-6 | 16 |
| 3.კრილია | 8 | 4 | 2 | 2 | 8-6 | 14 |
| 4.ტომი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-6 | 14 |
| 5.სპარტაკი | 8 | 3 | 4 | 1 | 15-11 | 13 |
| 6.სპარტაკი (ნ) | 8 | 3 | 3 | 2 | 11-10 | 12 |
| 7.სატურნი | 8 | 2 | 5 | 1 | 7-3 | 11 |
| 8.ლოკომოტივი | 8 | 3 | 2 | 3 | 15-14 | 11 |
| 9.მოსკვა | 8 | 3 | 2 | 3 | 8-12 | 11 |
| 10.როსტოვი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-8 | 8 |
| 11.ზენიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-14 | 8 |
| 12.ლუჩი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-10 | 8 |
| 13.ტორპედო | 8 | 1 | 4 | 3 | 5-8 | 7 |
| 14.ამკარი | 8 | 1 | 4 | 3 | 4-8 | 7 |
| 15.შინიკი | 8 | 1 | 3 | 4 | 3-11 | 6 |
| 16.დინამო | 8 | 1 | 2 | 5 | 6-10 | 5 |

### ბელგია

ვესტერლო - ლუვიე....................2:1
ანდერლეხტი - ვარეგემი ...........3:0
სტანდარდი - გენტი ..................0:2
ლიერსი - რუზელარე ................1:0
სტ.ტრიუდენი - ბრიუსელი........0:1
ბევერენი - მუსკრონი................1:0
ბრიუგე - გენკი..........................3:0
ლოკერენი - ბეერსხოტი ............1:2
შარლერუა - სერკლი.................0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ანდერლეხტი | 34 | 20 | 10 | 4 | 72 - 27 | 70 |
| 2.სტანდარდი | 34 | 19 | 8 | 7 | 51 - 28 | 65 |
| 3.ბრიუგე | 34 | 18 | 10 | 6 | 51 - 33 | 64 |
| 4.გენტი | 34 | 18 | 7 | 9 | 48 - 34 | 61 |
| 5.გენკი | 34 | 16 | 9 | 9 | 48 - 38 | 57 |
| 6.ვარეგემი | 34 | 14 | 7 | 13 | 51 - 49 | 49 |
| 7.ლოკერენი | 34 | 12 | 11 | 11 | 48 - 48 | 47 |
| 8.ბეერსხოტი | 34 | 13 | 8 | 13 | 45 - 45 | 47 |
| 9.ბრიუსელი | 34 | 12 | 10 | 12 | 30 - 30 | 46 |
| 10.ვესტერლო | 34 | 13 | 7 | 14 | 42 - 47 | 46 |
| 11.შარლერუა | 34 | 11 | 12 | 11 | 39 - 39 | 45 |
| 12.რუზელარე | 34 | 10 | 11 | 13 | 44 - 42 | 41 |
| 13.სერკლი | 34 | 10 | 8 | 16 | 37 - 56 | 38 |
| 14.მუსკრონი | 34 | 11 | 4 | 19 | 43 - 43 | 37 |
| 15.სტ.ტრიუდენი | 34 | 8 | 10 | 16 | 36 - 49 | 34 |
| 16.ბევერენი | 34 | 9 | 6 | 19 | 34 - 55 | 33 |
| 17.ლიერსი | 34 | 8 | 8 | 18 | 22 - 52 | 32 |
| 18.ლუვიე | 34 | 4 | 14 | 16 | 26 - 52 | 26 |

### ინგლისი პრემიერლიგა

მანჩესტერი - ჩარლტონი...........4:0
ბლექბერნი - სიტი ......................2:0
ევერტონი - ვესტ ჰემი ...............2:2
ბოლტონი - ბირმინგემი.............1:0
ფულემი - მიდლსბრო.................1:0
პორტსმუთი - ლივერპული .......1:3
ასტონ ვილა - სანდერლენდი ....2:1
ვესტ ჰემი - ტოტენჰემი .............2:1
არსენალი - უიგანი ....................4:2
ნიუკასლი - ჩელსი ......................1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 38 | 29 | 4 | 5 | 72-22 | 91 |
| 2.მანჩესტერი | 38 | 25 | 8 | 5 | 72-34 | 83 |
| 3.ლივერპული | 38 | 25 | 7 | 6 | 57-25 | 82 |
| 4.არსენალი | 38 | 20 | 7 | 11 | 68-31 | 67 |
| 5.ტოტენჰემი | 38 | 18 | 11 | 9 | 53-38 | 65 |
| 6.ბლექბერნი | 38 | 19 | 6 | 13 | 51-42 | 63 |
| 7.ნიუკასლი | 38 | 17 | 7 | 14 | 47-42 | 58 |
| 8.ბოლტონი | 38 | 15 | 11 | 12 | 49-41 | 56 |
| 9.ვესტ ჰემი | 38 | 16 | 7 | 15 | 52-55 | 55 |
| 10.უიგანი | 38 | 15 | 6 | 17 | 45-52 | 51 |
| 11.ევერტონი | 38 | 14 | 8 | 16 | 34-49 | 50 |
| 12.ფულემი | 38 | 14 | 6 | 18 | 48-58 | 48 |
| 13.ჩარლტონი | 38 | 13 | 8 | 17 | 41-55 | 47 |
| 14.მიდლსბრო | 38 | 12 | 9 | 17 | 48-58 | 45 |
| 15.სიტი | 38 | 13 | 4 | 21 | 43-48 | 43 |
| 16.ასტონ ვილა | 38 | 10 | 12 | 16 | 42-55 | 42 |
| 17.პორტსმუთი | 38 | 10 | 8 | 20 | 37-62 | 38 |
| 18.ბირმინგემი | 38 | 8 | 10 | 20 | 28-50 | 34 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 38 | 7 | 9 | 22 | 31-58 | 30 |
| 20.სანდერლენდი | 38 | 3 | 6 | 29 | 26-69 | 15 |

# ცქიტიშვილმა ითამაშა - "სანზი" ისტორიას წერს!

მამუკა ხოშტარია

"ფენიქს სანზი" ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში შევიდა, როგორც მერვე გუნდი, რომელმაც ჩამორჩენის შემდეგ სერიის მოგება (1:3) მოახერხა.

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" წინააღმდეგ მეშვიდე მატჩი ცქიტიშვილის გუნდმა 19 000 გულშემატკივრის თანდასწრებით საკუთარ პარკეტზე გამართა და კალიფორნიელებს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა.

"მზეები" შვიდივე მატჩში უფრო საკუთარ თავს ებრძოდნენ, ვიდრე მეტოქეს. სათამაშო კლასით რომ "ფენიქსი" "ლეიკერსზე" ძლიერი გუნდია, ეს რეგულარულმა ჩემპიონატმაც ცხადყო, მაგრამ ფლეი-ოფში ცქიტოს გუნდს აშკარად დაღლილობა დაეტყო. ამას დაემატა ფატალური უიღბლობაც (გავიხსენოთ თუნდაც მეოთხე მატჩი, როცა "სანზს" ჯერ ძირითად დროში უნდა მოეგო, მერე კი დამატებითში, მაგრამ ელემენტარული შეცდომების გამო ეს ვერ მოახერხა) და მეხუთე მატჩის წინ ფენიქსელებს უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. "მზეები" ამ რთული მდგომარეობიდან ღირსეულად გამოვიდნენ.

სერიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა მეექვსე მატჩი, რომელიც ანგელოზთა ქალაქში გაიმართა. დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში "ფენიქსმა" გაიმარჯვა.

მეშვიდე და გადამწყვეტი მატჩი "სანზის" სრული უპირატესობით წარიმართა. ლიგის ყველაზე შედეგიანმა გუნდმა პირველი მეოთხედი 17-ქულიანი სხვაობით მოიგო და ამ უპირატესობის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია: 121:90 "მზეების" სასარგებლოდ. ქართველი გულშემატკივრისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ გამარჯვებაში თავისი მოკრძალებული წვლილი ნიკა ცქიტიშვილმაც შეიტანა.



ფინიქსელი "მზეების" ლიდერი სტივ ნეში გამარჯვებას ზეიმობს.

მაიკ დ'ანტონიმ ქართველი თამაშის ბოლოს შეუშვა მოედანზე. ნიკამ ორი წუთი ითამაშა, ერთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ერთი პერსონალური შენიშვნა მიიღო.

მეორე წრეში "ფენიქს სანზის" მეტოქე კვლავ ლოს ანჯელესის გუნდი, ამჯერად "კლიპერსი" იქნება. "კლიპერსის" ბარიერის გადალახვა "მზეებს" არ უნდა გაუჭირდეთ. ასე რომ, ცქიტოს დიდი შანსი აქვს დასავლეთ კონფერენციის ფინალში ითამაშოს.

"სან-ანტონიო სპურზს", როგორც სამხრეთ-დასავლეთ დივიზიონის გამარჯვებულს, ამავე დივიზიონის მერვე ადგილზე გასული "საკრამენტო ქინგსი" ერგო მეტოქედ. ამ გუნდების მეექვსე მატჩი საკრამენტოში გაიმართა. პირველი მეოთხედი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და 22:20 დამთავრდა "სან-ანტონიოს" სასარგებლოდ. მასპინძლებს უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ, რადგან სერიაში, რომელიც ოთხ მოგებამდე გრძელდება, მეფეები 2:3 აგებდნენ. მეორე მეოთხედში "საკრამენტომ" სიტუაციის გამოსწორება სცადა და ხუთი ქულითაც დაწინაურდა. თუმცა ეს წარმატება მხოლოდ დროებითი გამოდგა. "სან-ანტონიომ" მათი ლიდერის ტიმ დანკანის კარგი თამაშის წყალობით მეორე მეოთხედიც მოიგო და დიდ შესვენებაზე შვიდქულიანი უპირატესობით გავიდა.

გადამწყვეტი მესამე პერიოდი გამოდგა. "საკრამენტოს" არაფერი გამოსდიოდა არც შეტევაში და არც დაცვაში. ამით კარგად ისარგებლეს ტეხასელებმა და მეოთხე მეოთხედის წინ ოცი ქულით გავიდნენ წინ. მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა "სან-ანტონიოს" არ გასჭირვებია: 83:105. სერია "სპურზმა" 4:2 მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ტეხასელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათი ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი. მან ამ შეხვედრაში 31 ქულა მოაგროვა. კარგად ვერ ითამაშეს "მეფეების" ლიდერებმა რონ არტესტმა და ბრენტ მილერმა. ამ მატჩში ორივემ ერთად სულ 14 ქულა მოაგროვა, მხოლოდ მაიკ ბიბის კარგი თამაში კი "საკრამენტოსთვის" საკმარისი არ აღმოჩნდა.

მეორე მატჩში ასევე სტუმრებმა - "კლივლენდ კავალიერსის" კალათბურთელებმა გაიმარჯვეს. თუმცა მათთვის დედაქალაქში სტუმრობა და ადგილობრივ "ვიზარდსთან" თამაში ისევე იოლი არ გამოდგა, როგორც "სან-ანტონიოსთვის". საგრძნობი უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა, გამარჯვებულის გამოსავლენად კი დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო. გადამწყვეტი მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე დედაქალაქელთა ლიდერის ჯილბერტ არნასის მიერ გამოუყენებელი საჯარიმო სროლა გადამწყვეტი გამოდგა. მატჩი დამთავრდა 114:113 "კავალიერსის" სასარგებლოდ.

სერია კლივლენდმა 4:2 მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა. კლივლენდელთაგან, როგორც ყოველთვის, გუნდის უდავო ლიდერი და ლიგის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი გამოირჩეოდა (32 ქულა). სწორედ მისი კარგი თამაშის წყალობით კანადელები 1993 წლის შემდეგ პირველად გადიან ფლეი-ოფის მეორე რაუნდში.

# დაბრუნდა, ნახა, გაიმარჯვა!

## დე ლა ჰოია ჩემპიონად დაბრუნდა

გიგა გურასაშვილი

*როდესაც რინგზე აბიჯა, ალბათ იმასაც ფიქრობდა, რომ ბრწყინვალე კარიერის დასრულებამდე რამდენიმე წუთი აშორებდა. ამასობაში "MGM Grand Garden"-ის სავარძლებზე მოკალათებული კრივის 13 ათასზე მეტი გულშემატკივარი მის სახელს სკანდირებდა - ოსკარ, ოსკარ, ოსკარ... მეტოქეს კი ფუუ, ფუუ შეძახილებით ამკობდნენ - აქ შენი ადგილი არ არისო. ამერიკელების მიერ ათვალწუნებული კრივის მსოფლიო საბჭოს უმთავრესი ქამრის აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი, ნიკარაგუელი რიკარდო მაიორგა კი იქადნებოდა, "ოქროს ბიჭუნას" "ოქროს გოგონად" გადავნათლავო. მიხვდებოდით, ვისზეცაა საუბარი - ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონზე ოსკარ დე ლა ჰოიაზე, რომელსაც ბრწყინვალე სპორტული კარიერისა და კარგი გარეგნობის გამო გულშემატკივრებმა "ოქროს ბიჭუნა" შეარქვეს.*

დაახლოებით ოცი თვის განმავლობაში რინგისგან მოწყვეტილმა შეძლო მოკლე ხანში სათანადოდ მომზადებულიყო და უმაღლეს დონეზე ეჩხუბა.

ყოველთვის დიდი მოკრივე იყო, მაგრამ ამჯერად საკუთარ თავსაც აჯობა და მეტოქესაც. არადა, კრივის გარდა, ამ ოცი თვის განმავლობაში რას აღარ აკეთებდა. ერთი რამ უდავოა: მისგან ასეთ დამაჯერებელ ჩხუბს თითქმის არავინ ელოდა. ოსკარი ორი







ოსკარის მუშტებს ნოკდაუნი მოჰყვა, შემდეგ კი - გამარჯვებაც.

ორთაბრძოლით დაუბრუნდა კრივს. ერთი გუშინ, გამთენიისას გაიმართა ლას ვეგასში, მეორეს 16 სექტემბერს ველით. მერე კი წავა და წავა...

გუშინდელ შერკინებამდე "მატადორად" წოდებული მაიორგა იქადნებოდა, დე ლა ჰოიას ნოკაუტში გასაშვებად ექვსი რაუნდიც არ დამჭირდებაო. ყველაფერი კი პირიქით მოხდა: პირველივე რაუნდში აწ უკვე ყოფილ ჩემპიონ მაიორგას დე ლა ჰოიას მუშტების კორიანტელი დაატყდა თავს, რაც მალე ნოკდაუნში გადაიზარდა. ოსკარის უპირატესობა არც მომდევნო რაუნდებში მინავლებულა. გარდა იმისა, რომ იოლად არიდებდა თავს ნიკარაგუელის შეტევებს, რამდენჯერმე ლაზათიანადაც უთავაზა. ნოკდაუნები ამით არ დასრულებულა - ჩემპიონმა მეექვსე რაუნდშიც იგემა. მართალია, მსაჯის "ცხრაზე" წამოდგომა მოახერხა, მაგრამ აშკარა იყო: ოსკარს წინააღმდეგობას ველარ გაუწევდა. შეხვედრის რეფერი ჯეი ნედი იძულებული გახდა ორთაბრძოლა შეეჩერებინა და ტექნიკური გამარჯვება მიენიჭებინა დე ლა ჰოიასთვის (38 გამარჯვება, აქედან 30 ნოკაუტით და 4 წაგება).

"შენ უდიდესი ჩემპიონი ხარ, - ორთაბრძოლის შემდეგ ეუბნებოდა გამარჯვებულს მაიორგა, - შენ უდიდესი მოჩხუბარი ხარ. ბოდიშს გიხდი ყველაფრისთვის, რასაც შენზე აქამდე ვამბობდი".

მაიორგამ (28 გამარჯვება, აქედან 23 ნოკაუტით, 6 წაგება და ერთიც ფრე) მარცხი კაცურად აღიარა. ნიკარაგუელს ოსკარმა ესღა უპასუხა: "გპატიობ"!

დე ლა ჰოიას 2004 წლის სექტემბრიდან აღარ მოურგია ხელთათმანები, იმ დღიდან, რაც ბერნარდ ჰოპკინსთან მეცხრე რაუნდში გამანადგურებელი მარცხი იწვნია. სწორედ მაშინდელი ორთაბრძოლა გახდა იმის მიზეზი, რომ ოსკარი რინგს დაუბრუნდა. რატომ? იმიტომ, რომ რინგიდან სირცხვილნაჭამს არ უნდოდა წასვლა - საკუთარ თავს ამის უფლებას ვერ მივცემო.

ოსკარმა წადილი აისრულა. ექვს რაუნდში ფედერაციათა შორის ყველაზე პრესტიჟულ საბჭოს საჩემპიონო ქამარს დაეუფლა.

საინტერესოა ერთ-ერთი ინგლისურენოვანი ინტერნეტ-საიტის მიერ ყოფილ და მოქმედ პროფესიონალ მოკრივეებს შორის ჩატარებული გამოკითხვა. კითხვა ასეთი გახლდათ: როგორ წარმოგიდგენიათ ოსკარ დე ლა ჰოიასა და რიკარდო მაიორგას შორის ჩასატარებელი ორთბრძოლის შედეგი? გამოკითხულთა ცხრა წარმომადგენელმა დე ლა ჰოიას მიაკუთვნა უპირატესობა, სამმა - მაიორგას, ხოლო ერთმა განაცხადა, ორივე მოკრივეს თანაბარი შანსი აქვსო. დანარჩენები, რომლებიც ოსკარს ანიჭებდნენ უპირატესობას, მიიჩნევდნენ, რომ ამერიკელი მოკრივე ორთაბრძოლის მეორე ნახევარში ტექნიკური ნოკაუტით მოიპოვებდა გამარჯვებას. ხოლო ისინი, ვინც მომავალ გამარჯვებულს მაიორგაში ხედავდნენ, აცხადებდნენ, რომ ნიკარაგუელი მხოლოდ ნოკაუტით შეძლებდა ტიტულის შენარჩუნებას.

ერთი სიტყვით, დე ლა ჰოიას გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ მიეცემათ მისი ოსტატობით დატკბობის საშუალება. ამისთვის 16 სექტემბერია დათქმული. თუ არაფერი შეიცვალა, ოსკარის მეტოქე ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი იქნება. მეივეზერისა და დე ლა ჰოიას შერკინება იმითაც იქნება საგულისხმო, რომ გუშინდელი ორთაბრძოლის გმირს მომავალი მეტოქის მამა ფლოიდ მეივეზერ-უფროსი წვრთნის.

ასე რომ, სექტემბერში კრივის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი ჩხუბი გველის.

# შუმიმ საშინაო რბოლა მოიგო

მიხაელ შუმახერმა საშინაო ტრასაზე ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი მოიგო და ჩემპიონობისთვის ბრძოლა საგრძნობლად გამწვავდა.

ევროპის გრან პრის ნიურბურგრინგის ტრასა მასპინძლობდა. კვალიფიკაციების შემდეგ პოლ პოზიშენი მსოფლიოს ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ მოიგო. ალონსოსთვის ეს პირველი პოლ პოზიშენი იყო ამ სეზონში. მიუხედავად ამისა, ესპანელმა პილოტმა პირველობა ვერ შეინარჩუნა და ეტაპზე გამარჯვება მიხაელ შუმახერს დაუთმო.

"ფერარის" საჯინიბოსთვის რბოლა წარმატებული გამოდგა - ევროპის გრან პრის პოდიუმზე შუმახერთან ერთად ფელიპე მასაც ავიდა. ახალგაზრდა პილოტისთვის ეს პირველი პოდიუმია.

ამ გამარჯვებით "ფერარიმ" დაამტკიცა, რომ პრობლემები დაძლეულია და წელს ეს გუნდი ტიტულისთვის იბრძოლებს. თუ ორი კვირის წინ იმოლაში მოპოვებული გამარჯვება ზოგიერთმა შემთხვევითობად ჩათვალა, ახლა ცხადი გახდა, რომ "ფერარისა" და შუმახერის ჩამოწერა ნაადრევია.

რაც შეეხება თავად რბოლას, ყველაფერი შუმახერისა და "ფერარის" საჯინიბოს მიერ შერჩეულმა ტაქტიკამ გადაწყვიტა. მეორე პიტსტოპის წინ ალონსო შუმახერს რამდენიმე




შუმიმ ზედიზედ მეორედ მოიგო.

წამს უგებდა. პიტებში პირველი სწორედ ესპანელი პილოტი შევიდა. შუმიმ კი მსუბუქი მანქანით სიჩქარეს უმატა და ერთი წრე კიდევ გააკეთა. შემდეგ კი პიტებში შევიდა და როცა ტრასაზე დაბრუნდა, უკვე წამზე მეტს უგებდა ალონსოს.

ამის შემდეგ გერმანელს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია. მეტიც: მიხაელმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და იოლად მიიყვანა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე.

"რბოლა საკმაოდ რთული გამოდგა. მე და ალონსო დაახლოებით ერთი სიჩქარით ვმოძრაობდით, გასწრება ჯერ კიდევ პირველ პიტ სტოპზე მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდა. მთლიანობაში მიმაჩნია, რომ რბოლამ თანაბრად ჩაიარა. ზოგჯერ ფერნანდო იყო უფრო სწრაფი, ზოგჯერ - მე. უბრალოდ, გადამწყვეტ მომენტში უკეთესი სტრატეგია შევარჩიეთ", - განაცხადა რბოლის შემდეგ მიხაელ შუმახერმა.

**ევროპის გრან პრის შედეგები**

1. მიხაელ შუმახერი (ფერარი)
2. ფერნანდო ალონსო (რენო)
3. ფელიპე მასა (ფერარი)
4. კიმი რაიკონენი (მაკლარენი)
5. რუბენს ბარიკელო (ჰონდა)
6. ჯანკარლო ფიზიკელა (რენო)
7. ნიკო როსბერგი (უილიამსი)
8. ჟაკ ვილნევი (BMW)

**პილოტების ჩემპიონატი**

1. ფერნანდო ალონსო.....................44
2. მიხაელ შუმახერი .......................31
3. კიმი რაიკონენი...........................23
4. ჯანკარლო ფიზიკელა................18
5. ხუან პაბლო მონტოია .................15
6. ფელიპე მასა................................15
7. ჯეისონ ბატონი...........................13
8. რალფ შუმახერი............................7
9. ჟაკ ვილნევი..................................6
10. რუბენს ბარიკელო .....................6
11. მარკ ვებერი ...............................6
12. ნიკ ჰაიდფელდი ..........................5
13. ნიკო როსბერგი...........................4
14. დევიდ კულტჰარდი.....................1
15. კრისტიან კლინი .........................1

**კონსტრუქტორების ჩემპიონატი**

1. რენო .............................................62
2. ფერარი ........................................46
3. მაკლარენი ...................................38
4. ჰონდა ..........................................19
5. BMW...............................................11
6. უილიამსი .....................................10
7. ტოიოტა...........................................7
8. რედ ბული .......................................2

# განცხადება

## სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის, მისი მომსახურებისა და ავტონომიური დენის წყაროების შესყიდვაზე

**მარჯანიშვილის ქ. N16ა. თბილისი, 0102 ტ:911192**
შესყიდვის ობიექტებია:

| ლოტი | კატეგორია | რაოდენობა | კომპონენტები | აღწერა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი, მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი, პროგრამული უზრუნველყოფა | 140 | Operating system | Windows XP Professional SP2 | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | 10.06.06-25.08-06 |
| | | | Processor | Intel Based Pentium 3,2GHz HTT | | |
| | | | Cache External (L2) | 1MB | | |
| | | | Memory type | DDR PC3200 | | |
| | | | Chipset | Intel Based | | |
| | | | Front Side Bus | 800MHz FSB | | |
| | | | Standard Memory | 512MB | | |
| | | | Memory Slots | 4 DIMM | | |
| | | | Internal Hard Drive | 80GB (SATA) | | |
| | | | Harddrive disk speed | 7200rpm | | |
| | | | Floppy drive | 3,5" | | |
| | | | Internal drive bays | (2) 3,5" bays | | |
| | | | DVD-ROM | 16x | | |
| | | | Video adapter bus | PCI | | |
| | | | Video card memory | 64MB DDR or larger | | |
| | | | Video card resolution | Vertical refresh rate 85Hz for XGA or greater | | |
| | | | Network Interface | Integrated Gigabit Ethernet 10/100/1000 | | |
| | | | External I/O ports | 2 (or more) USB 2,0; 1 standard serial port; 1 parallel port, 2 PS/2, 1 RJ-45, 1 VGA, audio in/out | | |
| | | | Keyboard | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Mouse | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Monitor | Multi-frequency, anti-glare and anti-static coating; 17 inches diagonal; Pixels: 0.28mm | | |
| | | | Offline UPS | APC 650 VA | | |
| | | | Warranty | 1 year or more | | |
| | **Workstation** - (პროფესიული სამუშაო სადგური), მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი, პროგრამული უზრუნველყოფა | 20 | Operating system | Windows 2003 Server - standard edition - 5 licenses (CAL) | | |
| | | | Processor | Intel Based 64-bit Pentium 4 - speed 3.6GHz or more HTT | | |
| | | | Cache External (L2) | 2 MB | | |
| | | | Chip Set | Intel 955X Express | | |
| | | | Memory type | DDR2-533 ECC or DDR2 667 MHz ECC | | 10.06.06-25.08-06 |
| | | | Memory slots | 4 DIMM | | |
| | | | Front Side Bus | 800 MHz FSB | | |
| | | | Standard Memory | 1GB (2x512MB) DDR2-533 ECC | | |
| | | | Internal Hard Drive | 160GB (SATA) | | |
| | | | Internal drive bays | (2) 3,5" bays | | |
| | | | Hard drive disk speed | SATA 3Gb/s 7200 RPM | | |
| | | | Drive controllers | Integrated four-channel SATA 3 Gb/s controller with NCQ RAID support, optional Ultra320 SCSI controller/drives | | |
| | | | CD/DVD | 16X DVD+/-RW | | |
| | | | Network Interface | Integrated 10/100/1000 LAN with PCI Express interface | | |
| | | | External I/O ports | 2 (or more) USB 2,0; 1 standard serial port; 1 parallel port, 2 PS/2, 1 RJ-45, 1 VGA, audio in/out | | |
| | | | Keyboard | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Mouse | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Monitor | Multi-frequency, anti-glare and anti-static coating; 17 inches diagonal; Pixels: 0.28mm | | |
| | | | Offline UPS | 1400 VA | | |
| | | | Warranty | 3 year manufacturer's warranty | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | |
| | უწყვეტი კვების წყარო **650VA** | 200 | 650ვა | | | |
| | ქსელური **A4** ფორმატის ლაზერული პრინტერი | 40 | სიმძლავრე 15,000 გვერდი/თვე, სიჩქარე 20-25 გვ/წთ | | | |
| | ქსელური **A4** ფორმატის ლაზერული პრინტერი | 30 | სიმძლავრე 150,000 გვერდი/თვე, სიჩქარე 40-45 გვ/წთ | | | |
| | **A4** ფორმატის მცირე სიმძლავრის ასლგადამღები აპარატი (ქსეროქსი) | 30 | სიჩქარე 4-8გვ/წთ | | | |
| | ფაქსის აპარატი | 15 | A4 ფორმატის ჩვეულებრივი ქაღალდის მომხმარებელი | | | |
| | ლეპტოპი | 10 | Operating system | Installed license version of Windows XP Professional SP2 | | |
| | | | Processor | Pentium M(Centrino) - speed 1,6GHz or more | | |
| | | | Architecture Design | PCI 2 Type I/II or 1 Type III (minimum) | | |
| | | | Cache (L2) | 2MB | | |
| | | | Front Side Bus | 400 MHz | | |
| | | | Memory | 512MB DDR SDRAM | | |
| | | | InternalHard Drive | 40GB or more | | |
| | | | CD-RW/DVD-ROM | 24x/24x/24x/8x Combo | | |
| | | | Network Interface | Ethernet 10/100 | | |
| | | | Wireless | Wi-Fi Wireless 802 b/g | | 10.06.06-25.08-06 |
| | | | Modem | 56Kpbs V.92 International | | |
| | | | External I/O ports | 2 USB2.0, Parallel, RJ-11, RJ-45, I/R | | |
| | | | Display | TFT 15" 1024x768 Backlit 64MB DDR Video RAM External display supported | | |
| | | | Battery Life | 3.5 hrs typical | | |
| | | | Application Software | Licensed version of Microsoft Office XP | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | |
| | | | Bag | Bag for transporting laptop and cables | | |
| | | | Warranty | 1 year manufacturer's warranty | | |
| 2 | სერვერი | 2 | 1XCPU 3,8GHz Intel Xeon CPU with EM64T / 800MHz/ 2048KB ECC L2 cache, up to 2XCPU, 1 GB PC2-3200 ECC DDR2 SDRAM w/o Chipkill™ (up to 16GB), Dual channel U320 SCSI Controller, O/Bay U320 (up to 1800.8GB), using RAID 0,1, 2XEthernet 1000Mb, DVD 8x, 3XUSB Ports, 1x625W HS p/s, 2U Rack. Three-year worldwide warranty ; | | | |
| | | | მეორე პროცესორი - 3,8GHz Intel Xeon DP Upgr CPU/ 800MHz/ 2048KB ECC L2 cache | | | |
| | | | 5 ცალი - 146.8GB 10K-rpm Ultra320 SCSI HS SL HDD | | | |
| | | | ServeRAID-7K RAID Controller w/128MB cache | | | |
| | | | xSer 625W HotSwap PowerS (for 346 Ser) | | | |

ლოტი 3:

| № | კატეგორია | რაოდენობა | აღწერა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქსელის კაბელი 5-ე კატეგორია, **UTP** | 20 | ბარაბანი | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | 10.06.06-25.08-06 |
| 2 | კაბელის დაბოლოებანი **RJ-45** | 2000 | ცალი | | |
| 3 | პერსონალური კომპიუტერის ქსელის პლატები | 30 | ცალი | | |
| 4 | 8 პორტიანი ქსელის სვიჩი | 20 | ცალი | | |
| 4 | კომპიუტერის მეხსიერება **RAM** | 20 | 512MB – DDR | | |
| 5 | კომპიუტერის მეხსიერება **RAM** | 20 | 512MB – DDR2 | | |
| 6 | კომპიუტერული ქსელის ტესტერი | 7 | კომპიუტერული ქსელის გამართული მუშაობის შესამოწმებლად | | |
| 7 | კომპიუტერის ხისტი დისკი | 10 | 80GB | | |
| 8 | ხელსაწყოების ყუთი | 7 | კომპიუტერის დაშლა/აწყობისათვის საჭირო ხელსაწყოების ერთობლიობა | | |
| 9 | კლავიატურა **(keyboard)** | 20 | | | |
| 10 | თაგვი **(mouse)** | 20 | ოპტიკური USB პორტზე | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | 10.06.06-25.08-06 |
| 11 | დამაგრძელებელი **(surge protector)** | 40 | რამოდენიმე კომპიუტერის ელექტროქსელში ჩასართველად | | |
| 12 | პრინტერების **USB** კაბელი | 30 | | | |
| 13 | ჩამწერი მოწყობილობა **USB Flash drive – 512MB** | 50 | | | |
| 14 | ჩამწერი მოწყობილობა **USB Flash drive – 2GB** | 10 | | | |
| 15 | დისკები **CD-R** | 2000 | | | |
| 16 | დისკები **CD-RW** | 500 | | | |
| 17 | **PCI Express** ვიდეოკარტები | 15 | HP 4300 კომპიუტერისთვის | | |

ლოტი 4: - კომპიუტერული მომსახურეობა – პრინტერებისა და ფაქსების შეკეთება

| № | კატეგორია | რაოდენობა | აღწერა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაზიანებული პრინტერების შეკეთება | | გთხოვთ მოგვაწოდოთ ქვემოთჩამოთვლილ პრინტერებზე სხვადასხვა სამუშაოთა ჩატარების ფასები (მაგ. თერმოფირის გამოცვლა, ბარაბნის შეკეთება, ლუმელის გამოცვლა) | აღდგენილი აპარატურის მიტანა უნდა მოხდეს, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობში | მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | დაზიანებული ფაქსის აპარატების შეკეთება | | გთხოვთ მოგვაწოდოთ ზემოთმოყვანილი აპარატებზე სხვადასხვა სამუშაოთა ჩატარების ფასები | | |

ლოტი 5: - კომპიუტერული მომსახურეობა – ასლგადამღები აპარატური შეკეთება

| № | კატეგორია | რაოდენობა | აღწერა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაზიანებული **Xerox** ფირმის ასლგადამღები აპარატების შეკეთება | | გთხოვთ მოგვაწოდოთ ზემოთმოყვანილი აპარატების თვიური მომსახურეობისა და სხვადასხვა სარემონტო სამუშაოთა ჩატარების ფასები (შესაძლო გამოსაცვლელი ნაწილების ფასების ჩავლით) | აღდგენილი აპარატურის მიტანა უნდა მოხდეს, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობში | მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | დაზიანებული **Canon**-ის ფირმის ასლგადამღები აპარატების შეკეთება | | გთხოვთ მოგვაწოდოთ ზემოთმოყვანილი აპარატების თვიური მომსახურეობისა და სხვადასხვა სარემონტო სამუშაოთა ჩატარების ფასები (შესაძლო გამოსაცვლელი ნაწილების ფასების ჩათვლით) | | |

ლოტი 6: ავტონომიური დენის წყაროები

| № | კატეგორია | რაოდენობა | აღწერა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გენერატორი | 18 | მინიმუმ 2,4/2,5კვ | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | ძაბვის სტაბილიზატორი | 25 | სიმძლავრე 6კვა | | |

ლოტი 7:
კარტრიჯების შესყიდვა დატენვა.

| № | კატეგორია | დასახელება | რაოდენობა შესყიდვა | რაოდენობა დატენვა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაზერული პრინტერები | HP1300 | 60 | 120 | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | მოთხოვნის შესაბამისად |
| | | HP1320 | 40 | 80 | | |
| | | HP4100 | 10 | 20 | | |
| | | HP4200 | 70 | 140 | | |
| | | HP4250 | 70 | 140 | | |
| | | HP1000 | 10 | 20 | | |
| | | HP1005 | 10 | 20 | | |
| | | Canon LBP-810 | 5 | 10 | | |
| | | HP1160 | 5 | 10 | | |
| 2 | ჭავლური პრინტერები | HP Deskjet 1100d | 30 | | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | მოთხოვნის შესაბამისად |
| | | HP Deskjet 120 | 30 | | | |
| 3 | ფაქსის აპარატები | Panasonic KX-FP362CX | 150 | | | |
| | | Panasonic KX-F230 | 10 | | | |
| | | Panasonic KX-FL502 | 10 | | | |
| 4 | ასლების გადამღები აპარატები (ქსეროქსი) | Canon FC120 | 60 | 120 | | |
| | | Canon PC860 | 10 | 20 | | |
| | | Canon PC-890 | 10 | 20 | | |
| | | Canon FC-2245 | 10 | 20 | | |
| | | Cenon NP-6621 | 5 | | | |
| | | Xerox-CC 45 | 35 | | | |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის და მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს **2006 წლის 10 ივნისიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის, მომსახურების მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 29 მაისიდან 1 ივნისის 1500 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია - ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 %-ის ოდენობით.

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 30 ივნისის ჩათვლით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
5. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი ფიზიკური პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
4. ცნობა ბანკიდან ანგარიშის თაობაზე;
5. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მარჯანიშვილის ქ. N16ა, მეორე სართული. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე**: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905, სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარი.** პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის I ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) **ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. E-mail : giwi.khvedaguridze@uedc.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ ლოტებად დაყოფილ ხელოვნურ ნაგებობათა სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი N1 ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზაზე, სოფ. ჩინთთან, მდ. არაგვზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ტენდერი ცხადდება ხელმეორედ);

ლოტი N2: საჩხერის რაიონში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის სოფ. უზუნთასთან მისასვლელი, საავტომობილო გზაზე მდებარე ხიდის აღდგენა;

ლოტი N3: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 42-ე კმ.-ში არსებული მილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2. სამუშაოების შესრულების ვადები - თითოეულ ლოტზე მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციების მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 17 მაისიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე სამივე ლოტზე. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 29 მაისის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 30 მაისის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს თითოეულ ლოტზე ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**ვ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

შენიშვნა: ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- განაცხადი კონკრეტული ლოტების მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

